



ჯემს ალენი

ატომური  
ენერგია  
და

სახოგადოება

ტეპნიკა და მროვა  
19 თბილისი 51

ՀԵԱԾ ԱՌԵՆՈ

# აშოთები ვნერგის და საზოგადოებრივი

on  $K^{8750}$



გენერალური შეკვეთი 19 თებერვალი 51

დიდი ხანია განვლო იმ დრომ, როდესაც მოგებით გატაცებული კაპიტალი ხელს უწყობდა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას.

XX საუკუნეში, განსაკუთრებით კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ხანაში, მონოპოლისტური ტრესტები და კომპანიები, რომლებმაც ხელთ იგდეს კაპიტალისტური ქვეყნების საწარმოო ძალების ძირითადი მასა, ბარბაროსულად ზღუდავენ და აფერხებენ ამ ძალების განვითარებას, უდიდესი მასშტაბით სპობენ და ანიავებენ მათ კრიზისებისა და ომის წლებში. და თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ საწარმოო ძალები მონოპოლისტური კაპიტალიზმის ეპოქაშიაც განაგრძობენ განვითარებას,—ამ განვითარების სიმახინჯე წლიდან წლამდე სულ უფრო საშინელი და საზარელი ხდება.

თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების საწარმოო ძალების პოტენციური შესაძლებლობანი გამოიყენება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ესაჭიროება ექსპლოატატორთა მცირე ხროვას თავისი უსაზღვრო გამდიდრებისა და ბატონობის შესანარჩუნებლად; ხოლო ხალხის ფართო მასებისათვის, კაპიტალისტურ სამყაროში, საწარმოო ძალების განვითარებას თან სდევს მხოლოდ სილატაკის ზრდა, შემშილი და მასობრივი უმუშევრობა.

მაგრამ ასობით მილიონ მშრომელებს კაპიტალისტურ ქვეყნებში არ შეუძლიათ და არც სურთ იცხოვრონ ძველებურად; ისინი მოითხოვენ, რომ მათ მიერ შექმნილი მატერიალური ლირებულებანი ხმარდებოდეს ხალხთა ფართო მასების საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეს.

სულ უფრო და უფრო მზარდი უფსკრული კაპიტალიზმის საწარმოო ძალების არსებულ დონესა და საზოგადოების სასარგებლოდ მათ უმნიშვნელო გამოყენებას შორის, ამ ძალების წარმართვა ნგრევება და განადგურებისაკენ—ესაა კაპიტალიზმის ერთ-ერთი, ყველაზე უფ-

რო მეაფიოდ გამოხატული წინააღმდეგობა, რაც მოასწავებს მისა დალუპყის გარდაუგალობას.

მეცნიერების და ტექნიკის ისტორია წარმოადგენს საწარმოო ძალების განვითარების ისტორიის ნაწილს და კაპიტალიზმის საერთო კრიზისი, მისი საწარმოო ძალთა კრიზისი, გამოვლინდება კაპიტალისტური ქვეყნების მეცნიერებასა და ტექნიკაში.

ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1913 წელს წერდა: „კაპიტალიზმის ტექნიკა დღითი დღე და უფრო და უფრო უსწრებს წინ იმ საზოგადოებრივ პირობებს, რომლებიც მშრომელებს დაქირავებულ მონობას არგუნებენ“.

კაპიტალისტური სამყაროს საწარმოო ძალების კრიზისის, მეცნიერებისა და ტექნიკის მახინჯი განვითარების, მსხვილი მონოპოლიების ანტიხალხური, მტაცებლური ინტერესებისაღმი მათი დაქვემდებარების უახლეს და ყველაზე უფრო მეაფიო ნიმუშს წარმოადგენს. ატომური ენერგიის გამოყენება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მრავალი სხვადასხვა ქვეყნის ფიზიკოსთა თავგამოდებული კვლევების შედეგად, ნაპოვნი იქნა იმ პროცესებზე ზეგავლენის გზები, რომლებიც ატომის გულის მიკრო სამყაროში მიმდინარეობენ. 1939 წლის დასაწყისს ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ნაპოვნი იქნა ატომის ბირთვის დაშლის ლაბორატორიული ხერხები, რასაც მოჰყვა უდიდესი ენერგიის გამოყოფა. უკვე მაშინ მეცნიერული კვლევები იმის წინასწარგანვირეტის შესაძლებლობას იძლეოდა, თუ რა განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა ექნებოდა ენერგიის სამრეწველო მიღების ახალი უმძლავრესი საშუალების—ურანის ბირთვის დაშლას.

როდესაც მეორე მსოფლიო ომი გაჩაღდა და გერმანელ ფაშისტთა ბინძური ურდოები დასავლეთ ევროპას შეესია, მაშინ ევროპის გამოჩენილ ფიზიკოსთა მთელმა რიგმა, რათა თავი დაეხსნათ ფაშისტური წყვდიადისაგან, ევროპის ოკუპირებული ქვეყნებიდან ამერიკის შეერთებულ შტატებს მიაშურა იმედით, რომ იქ თავისი ძალების გამოყენებას შესძლებდა მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის. მრავალი თვის მანძილზე ისინი ამაღლ ცდილობდნენ დახმარება-მიელოთ ამერიკის მსხვილი ფირმებისაგან და მთავრობის დაწესებულებებისაგან—ატომური ენერგიის გამოყენების დარგში თავიანთი პროექტების განხორციელების საჭმეში. არც თვით ამერიკელ მეცნიერთა მდგომარეობა იყო უკეთესი. ისეთი რეაქციული ორგა-

წოც კი, როგორიცაა უურნალი „ფორჩენი“, რომლის გამომცე-  
მელია ამერიკის პრესის ერთ-ერთი მაგნატი ჰენრი ლიუსი, იძულე-  
ბული იყო ელიარებინა, რომ თეორიულ გამოკვლევათა შოცულობა  
შეერთებულ შტატებში მეტად მცირე იყო და განუწყვეტლივ კლე-  
ბულობდა.

„თეორეტიკოს-მეცნიერთა უზრუნველყოფა, — აღნიშნავდა ერთ-  
ერთ თავის მიმოხილვაში უურნალი, — სულ უფრო მცირდებოდა.  
საუკეთესო თეორეტიკოს-მკვლევარები იძულებული იყვნენ თვით  
ემუშავნათ შავ მუშად და დაკმაყოფილებულიყვნენ წლიურად რამ-  
დენიმე ასეულ დოლარად ლირებული ექსპერიმენტული სამუშაოს  
შესრულებით“.

და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამერიკულ მონოპოლიებისათვის და  
მათი ნების შემსრულებელ შმართველ და სამხედრო წრეებისათვის  
ნათელი გახდა, თუ რა დიდი უპირატესობანი შეუძლია მიანიჭოს  
შეერთებულ შტატებს ატომური ენერგიის გამოყენებამ სამხედრო  
გეგმებისათვის, რაც მიზნად ისახავდა ამერიკის შეერთებული შტა-  
ტების მსოფლიო ბატონობას, — ამერიკის შეერთებულ შტატებში  
იწყება გაცხარებული მუშაობა ატომგულური ფეთქებადი ნივთიე-  
რების მისაღებად და ატომური ბომბის დასამზადებლად. ამერიკის  
შეერთებული შტატების მთავრობამ ორ მილიარდამდე დოლარი  
გაიღო ატომური ენერგიის სამუშაოებისათვის, რომლებიც „მანქენ-  
ტენის პროექტის“ სახელწოდებით ტარდებოდა: მან იწყო ლაპო-  
რატორიიებისა და ქარხნების აგება, ურანის მაღნისა და მეცნიერულ-  
ტექნიკურ საიდუმლოებათა შესყიდვა საზღვარგარეთ და ფიზიკოს-  
ემიგრანტების გამოყენება სამხედრო სამუშაოებზე.

პიტლერული გერმანიის განადგურების შემდეგ, სულ მოკლე დრო-  
ში, მრავალი ქვეყნის მეცნიერთა ძალლონით, შეერთებულ შტატებ-  
ში დამთავრდა მუშაობა აღამიანისათვის წინათ მიუწვდომელი ატომ-  
გულური ენერგიის გამოსაყოფად, იშ ენერგიისა, რომელიც დიდი  
რაოდენობითაა ატომის გულში.

და თუ რამდენიმე წლის წინათ ატომგულური ენერგიის მიღება  
შეეძლოთ უნიშვნელოდ მცირე რაოდენობით და ისიც მეტად  
რთული დანადგარების მეშვეობით მსხვილ ფიზიკურ ლაბორატო-  
რიიებში, ახლა იგი გადაიქცა სასარგებლო ენერგიის ახალ რეალურ  
შეკაროდ, რომელსაც მრავალგვარი და ფართო პრაქტიკული გამო-  
უნება აქვს.

მაგრამ შეერთებულ შტატებში ატომური ენერგია, რა თქმა უნდა, არ გახდა ხალხის საკუთრებად,— მას დაეუფლნენ უოლ-სტრიტის ბირეის მტაცებლები და მათი ერთგული მსახურნი პენტაგონში. მთელს მსოფლიოზე თავისი ბატონობის მოწვევის გიუური იდეით შეპყრობილმა ამერიკელმა მონოპოლისტებმა წარმოიდგინეს, რომ დადგა დრო, როცა ატომური ბომბის მუქარით მათ შეუძლიათ დააჩოქონ მსოფლიოს ყველა ხალხი.

ატომგულის ფინიკის დარგში ცნობილი ინგლისელი სპეციალისტის ბლეკეტის გამოთქმით ატომური ბომბის აფეთქება ხიროსიმოში და ნაგასაკში იყო „მეორე მსოფლიო ომის არა უკანასკნელი აქტი, არამედ პირველი აქტი იმ „ცივი“ დიპლომატიური ომისა, რომელიც იმუამად რუსეთის წინააღმდეგ გაიშალა“.

ჯერ კიდევ არ მინელებულიყო მეორე მსოფლიო ომის ბრძოლების გრიალი, რომ ამერიკელი იმპერიალისტები დაადგნენ აშკარა ეკონომიკური და სამხედრო ექსპანსიის, ახალი გამალებული შეიარაღების, ატომური შანტაჟის პოლიტიკისა და ანტისაბჭოთა პროვოკაციების გზას, შეუდგა „მარშალის გეგმისა“ და ჩრდილო ატლანტიკის“ პაქტის მეშვეობით დასავლეთ ევროპის დამონების პოლიტიკას და სამხედრო ბაზათა სარტყლის შექმნას სსრკ-ს საზღვრებთან.

დოლარის ქვეყანაში დაიწყო აღვირახსნილი მილიტარისტული პროპაგანდა და სამხედრო ფსიქოზის გაღვივება, კერპთაყვანისმცემ. ლობა ატომური ბომბის წინაშე, როგორც „აბსოლუტური“ და „უდიდესი სტრატეგიული“ იარაღის წინაშე, რომელიც ვითომდა წყვეტილეს ომის ბედ-ილბალს; იწყება ატომური რაკეტების, შორს-მოქმედი ბომბებისა და მომაკვდინებელი რადიოაეტიური გაზების გაღმერთება, ისტერიული კივილი წყალბადის „ზებომბის“ შესახებ და ყოველივე ამას აგვირგვინებს შიზოფრენიით შეპყრობილი ფორესტოლის სულელური ბოლვა ხელოვნური „ატომური მთვარის“ შესახებ, რომლედანაც ის აპირებდა საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დაბომბვას.

ამ საშინელი ორომტრიალის ამტებმა შეერთებული შტატების მსხვილმა მონოპოლისტებმა წარამოთხუ არ მოხსნეს ის ბორკილები, რომლითაც მათ ომის დროს შებორკილი ჰქონდათ ატომგულის ფიზიკის განვითარება, არამედ, პირიქით, ომის შემდგომ პერიოდში, კიდევ უფრო მეტად გააძლიერეს კონტროლი ატომურ მრეწველობაზე და მეცნიერულ კვლევებზე ამ კვლავინდებურად დასაიდუმლოე-

ბულ დარგში, დაუქვემდებარეს რა ისინი ატომგულური ფეთქადი მასალის დაგროვებისა და ატომური იარალის გაუმჯობესების ამოცანებს.

ამერიკის ატომურ მრეწველობაში, რომელიც დღემდეც განსაკუთრებით სამხედრო ხასიათს ატარებს, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დაბანდება უკვე 4 მილიარდ დოლარს აღემატება.

სხვადასხვა ქვეყნის ბევრი მეცნიერ-ფიზიკოსი, რომლებიც შეერთებულ შტატებში მუშაობდნენ ატომგულის ენერგიის მიღებაზე იმ იმედით, რომ კაცობრიობას მოუპოვებდნენ სასარგებლო ენერგიის ახალ წყაროს, ნათლად დარწმუნდნენ, რომ მათი ილუზიები გაცამტვერებულია და რომ მათი შრომის ნაყოფი, მითვისებული უოლსტრიტის მონოპოლისტ შტატებლების მიერ, მხოლოდ ახალ დიდ-ძალ მსხვერპლსა და ნგრევას უქადის ხალხს.

ატომგულის მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მდგომარეობა, როგორც არაერთხელ იყო აღნიშნული მეცნიერ-ატომისტების მიერ, სრულ საშუალებას იძლევა ატომგულური საწვავიდან მიღებულ იქნას უდიდესი რაოდენობის ენერგია და ეს ენერგია გამოყენებულ იქნას სამშვიდობო მრეწველობისათვის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობისათვის. ცნობილმა ამერიკელმა სპეციალისტმა ატომგულის ფიზიკის დარგში, პროფესორმა გლენ სიბორგმა განაცხადა: „თუ კაცობრიობა შეძლებს ატომური ენერგიის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებას, მაშინ ახლომ მრეწველობაში ისე-თი რევოლუციური გარდაქმნები, როგორიც მსოფლიოს ჯერ არა-სოდეს არ უნახავს“.

მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამერიკელ მონოპოლისტთა წყალობით, ატომურმა ენერგიამ ვერ მოიპოვა ტექნიკური არასამხედრო გამოყენება და კვლევითი მუშაობის მოცულობა ამ მიმართულებით სრულიად უმნიშვნელოა. „არც ერთი ატომი სამშვიდობო მიზნებისათვის“ — აი ასე დაახასიათა მდგომარეობა შეერთებული შტატების ატომურ მრეწველობაში ერთ-ერთმა ამერიკელმა უურნალისტმა.

შეერთებულ შტატებში ატომური მეცნიერებისა და ტექნიკის ეს კრიზისი, რაც კაპიტალისტური საწარმოო ძალების კრიზისისა და კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ყველაზე უფრო მკაფიო გამოვლინებას წარმოადგენს, იწვევს ამერიკის საზოგადოებრიობის სულ უფრო ფართო წრეების აღელვებას.

შეერთებულ შტატებში ატომგულის ფიზიკისა და ატომური მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობის სოციალური მიზეზებისა და შედეგების საკითხს ეხება ამერიკელი პროგრესული მწერალ-ეკონომისტის ჯემს ალენის წინამდებარე წიგნი „ატომური ენერგია და საზოგადოება“. საბჭოთა მკითხველი უკვე იცნობს ავტორს მისი მთელი რიგი წინა შრომებიდან, რომელთა რესულა თარგმანი უკვე გამოიცა.

ალენის წიგნი „ატომური ენერგია და საზოგადოება“ მკვეთრ კონტრასტს წარმოადგენს იმ უნაყოფო ფანტასტიკურ ლაყბობას-თან „მოახლოებული ატომური საუკუნის“ შესახებ, რომელიც გავრცელებულია ამერიკულ ლიტერატურაში მოცემულ საკითხზე და რომელიც გაანგარიშებულია გულუბრყვილო მკითხველის ყურადღების იმ მწვავე საკითხებიდან ასაცილებლად, რომლებსაც ბადებს ატომური მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ალენი თავის წიგნში ეხება უკელაზე უფრო აქტუალურ საჭიროობორო საკითხებს—ერთის მხრივ მეცნიერების კრიზისს შეერთებულ შტატებში, როგორც კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის ანარეკლს, და მეორეს მხრივ ატომური ენერგიის სამშვიდობო გამოყენების იმ ფართო შესაძლებლობას, რომელსაც მას უქმნის სოციალისტური წყობილება.

ალენი თავის წიგნს იწყებს ატომური ენერგიის სამშვიდობო გამოყენების პოტენციურ შესაძლებლობათა მოკლე აღწერით.

ლაპარაკობს რა ატომიკის<sup>1)</sup> მნიშვნელობაზე საწარმოო ძალების განვითარებისათვის, ივტორი გამოდის იმ ტექნიკური შესაძლებლობიდან, რასაც იძლევა ატომური მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობა. მას მოჰყავს ცალკეულ მეცნიერ-ატომისტებისა და სპეციალისტთა კომიტეტების აზრი, რომლებიც ადასტურებენ ატომური ენერგიის სამშვიდობო გამოყენების ტექნიკურ შესაძლებლობას. სულ უახლოეს დროში. ასეთი გამოყენების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარღს, ამ სპეციალისტთა აზრით, წარმოადგენს ატომური საწვავის გამოყენება ენერგეტიკულ მრეწველობაში. მაგრამ, ვინაიდან ამერიკის უმსხვილესი ტრანსტენი—„დიუპონი“, „ჯენერალ ელექტრიკი“, „ვესტინგაუზი“, „უნიონ კარბონ ენდ კარბაიდი“ და სხვები—რომლებიც შეერთებულ შტატებში ფაქტიურად სრულ კონტ-

1) ამ სახელწოდებით ალენი აღნიშნავს ატომგულის მეცნიერებას და ტექნიკას.

როლს ანხორციელებენ მრეწველობასა და კვლევებზე ატომური ენერგიის გამოყენების დარგში, არ არიან დაინტერესებულნი მის არასამხედრო გამოყენებაში; ეს უდიდესი პოტენციური შესაძლებლობანი გამოუყენებელი რჩება.

ატომიკის საშვიდობო განვითარების პერსპექტივები ამერიკის შეერთებული შტატების მონიპოლისტურმა კაპიტალმა მსხვერპლად შესწირა ატომური იარაღის დაგროვებას და გაუმჯობესებას. მეცნიერულ-კვლევით მუშაობას ატომის გულის ფიზიკის დარგში და ატომგულური დაყოფის პროცესის ენერგეტიკულ მრეწველობაში გამოყენების დარგში უმნიშვნელო ადგილი უკავია.

„ძხელია, —წერს ალენი, —შეერთებული შტატების ატომური მრეწველობის გარდა, მის თანამედროვე მდგომარეობაში, კიდევ სადმე ვიპოვოთ მეცნიერების გადავარებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ახალი აღმოჩენების გამოყენებისაკენ ხალხის პისწრაფების ჩაბშობის ასეთი მკვეთრი მაგალითი.

ატომიკის ამ მეტად მრავალგვარ გავლენაში ჩვენი დროის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე მეტად მწვავე ფორმებში გამოვლინდება კაპიტალისტური საზოგადოების ლრმა კრიზისი“.

ატომური მრეწველობის მილიტარიზაციის გაძლიერება ომის შემდგომ პერიოდში წარმოადგენს ამერიკის იმპერიალიზმის აგრძესიული პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მკაფიო გამოვლინებას, რასაც ქვეყანა მიჰყავს ზრდადი ფაშიზაციის გზით.

„მანხენტენის ოლქის“ სამუშაოთა სათავეში მდგომ გენერალ გროვუსის სამხედრო ხელმძღვანელობის ფორმალურ შეცვლას ატომურ ენერგიაზე შინაგანი კონტროლის „სამოქალაქო“ კომისიით, სრულიადაც არ შეუცვლია ატომიკის სამხედრო მიმართულება. კომისია ამ მრეწველობის ყველა ძალასა და რესურსებს რაზმავს ატომგულურ ფეთქად ნივთიერებათა რაც შეიძლება სწრაფი დაგროვებისა და ატომური იარაღის სერიული წარმოების ორგანიზაციისათვის.

ამ მიზნებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების ატომურ მრეწველობაში, აღნიშნავს ავტორი, მეტად უყაირაოთ და არაეფექტური ტექნოლოგიური პროცესებია შენარჩუნებული.

„მრეწველობის მთელი სტრუქტურა, —წერს ალენი, —შებოჭილია უმნიშვნელოვანესი დადგენილებებით მასალისა და ტექნოლოგიის შესახებ, რომლებიც მიღებული იყო ომის დროს. ეს დადგენილებები ყოველთვის როდი ეყრდნობოდნენ საუკეთესო მეცნიერულ და

ტექნიკურ მოსაზრებებს, არამედ ხშირად სასწრაფო სამხედრო სა-  
ჭიროებით განისაზღვრებოდა“.

მოჰყავს რა უყაირათობისა და უზარმაზარი დანაკარგების მაგა-  
ლითები, რასაც აღილი აქვს შეერთებულ შტატებში შლად მასა-  
ლათა წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიაში, ავტორი აკეთებს  
შემდეგ დასკვნას:

„საქმის არსებული მდგომარეობა ისეთია, რომ გამოყენებული  
ტექნიკა, რომლის ლირებულება სახელმწიფოს მიერ გაღებული სამი  
მილიარდი დოლარით განიზომება, სულ მოკლე ხანში შეიძლება  
უკვე მოძველებული აღმოჩნდეს ატომიკის დარგში ახალი აღმოჩე-  
ნების შედეგად. ტექნიკა, რომლის შექმნას ესოდენ დიდი ხარჯები  
დასჭირდა, შეიძლება ამ შემთხვევაში გადაიქცეს ატომიკის განვი-  
თარებისათვის სერიოზულ დაბრკოლებად“.

სავსებით გასავებია, რომ მხოლოდ მონოპოლიების იმპერიალის-  
ტური ინტერესები წარმოადგენს იმის მიზეზს, რომ ამერიკის შეერ-  
თებული შტატების ატომური მრეწველობა გადაიქცა მხოლოდ და-  
მხოლოდ სამხედრო მრეწველობად. არაეფექტური და მეტად ძვი-  
რი ტექნოლოგიური პროცესების შენარჩუნება, უპირველეს ყოვლი-  
სა, გამოწვეულია გამალებული შეიარაღების პოლიტიკით, რომელ-  
საც ახორციელებენ ამერიკის უმსხვილესი მონოპოლიები.

ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული და რეაქციული სა-  
გარეო პოლიტიკა, რომელსაც ქვეყნის შიგნით თან სდევს ბურუუ-  
ზიული დემოკრატიის ისედაც უბადრუკი ნაშთების ურცხვი მოსპო-  
ბა; ატომური დიპლომატია, როგორც პოლიტიკური შანტაჟის და-  
სხვა ქვეყნების დაშინების საშუალება, რათა აიძულონ ისინი დაემორ-  
ჩილონ ვაშინგტონის დიქტატუს; გამალებული შეიარაღება და უზარ-  
მაზარი სამხედრო ხარჯები; ატომური მრეწველობას მილიტარიზა-  
ციის გაძლიერება; თითქმის ყველა ომამდელი და ომის შემდგომი  
მეცნიერული და ტექნიკური მილწევების უმკაცრესი დასაიდუმლოე-  
ბა და დამუხრუკება; ამ მილწევათა სამშვიდობო გამოყენების გზაზე  
ყოველგვარი ზღუდის აგება; გამოძიების ყბადაღებული ფედერა-  
ლური ბიუროს მიერ „არასაიმედოთა შავი სიების“ შედგენა და მუ-  
შაკების „ლოიალობის“ დაუსრულებელი შემოწმება სამხედრო და  
არასამხედრო სახელმწიფო დაწესებულებებსა და კერძო დაწესებუ-  
ლება-წარმოებებში – ყოველივე ეს იწვევს ზრდად აღშფოთებას შე-  
ერთებული შტატების ხალხის ფართო წრეებში, რომლებიც სულ

უფრო ერკვევიან, თუ რა უფსკრულისაკენ მიძღვნებს მათ ომის გამ-  
ჩალებელთა თავალებული გაბოროტებული ხროვა.

აჯამებს რა მის მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებში ატომიკის  
მილიტარიზაციის შესახებ თქმულს, ალენი წერს: „ერთი მხრივ,  
ატომური ენერგიის სამხედრო გამოყენებამ მძლავრი ბიძგი მიიღო,  
რაც მეცნიერებისა და ტექნიკის მხოლოდ ერთ დარგს ავითარებს.  
მეორე მხრივ, მეტად შეფერხებულ იქნა მეცნიერების განვითარე-  
ბა მთლიანად და მისი ეკონომიური და სოციალური პროგრესის  
ფართო დარგებისათვის გამოყენების საქმე. ატომური მეცნიერება  
შეერთებულ შტატებში წარმოადგენს სამხედრო ტყვეს, რომელსაც  
მხოლოდ ხანდახან, მაგრამ უეჭველად ზედამხედველობის ქვეშ, ნე-  
ბას აძლევენ გამოვიდეს ციხიდან გასასეირნებლად... ატომური  
მრეწველობა ისეთივე რჩება, როგორიც იყო იყო თავის საწყის სტა-  
დიაში—მასობრივი განადგურების იარაღის მრეწველობად“.

თუმცა ამერიკის შეერთებული შტატების ატომური მრეწველობა  
ფორმალურად „ნაციონალიზირებულად“ ითვლება, ხოლო მისი სა-  
ჭარმონი—„მთავრობის საკუთრებად“, სინამდვილეში ამ დარგს განა-  
გებენ „ნაციონალიზაციის“ ფარს ამოფარებული უმსხვილესი მონო-  
პოლისტური გაერთიანებანი—მორგანის, მელონის, როკფელერის,  
დიუპონის და „უნიონ კარბონ ენდ კარბაიდის“ დაჯგუფებანი. ამ  
მონოპოლისტური ჯგუფების წარმომადგენლები დიდ უმრავლესობას  
შეადგენენ კონგრესის ატომურ კომისიაში, მის კომიტეტებში და  
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ატომურ კომისიაში შეერ-  
თებული შტატების დელეგაციის შემადგენლობაში.

ამ „სახელმწიფო ორგანოების“ პოლიტიკა ასახავს გააფთრებულ  
ბრძოლას ცალკეულ მონოპოლისტურ დაჯგუფებათა შორის ატო-  
მიკაში ბატონობისთვის. მაგრამ, მიუხედავად ამ ბრძოლის სიმძაფ-  
რისა, მონოპოლიები ერთიანი ფრონტით გამოდიან ატომური ენერ-  
გიის სამშვიდობო მიზნებისა და ხალხთა მასების მატერიალური  
დონის გაუმჯობესების მიზნებისათვის გამოყენების წინააღმდეგ.

„როცა საქმეში ასეთი მსხვილი მონოპოლიები ჩაერევიან,—წერს  
ალენი,—მაშინ მათი ძირითადი მისწრაფება იმაში მდგომარეობს, რომ  
ხელი შეუშალონ ახალი ტექნიკის გამოყენებას მრეწველობაში, იმი-  
ტომ, რომ ატომიკის ფართო გამოყენებას, მისი განვითარების თანა-  
მედროვე დონეზედაც კი შეუძლია სულ მოკლე ხანში ისეთი მდგო-  
მარეობა შექმნას, რომ ელექტროსადგურებსა და ზოგიერთ სხვა

სამრეწველო საწარმოებში არსებული კაპიტალური მოწყობილობა მოძველებული აღმოჩნდეს; ნავთისა და ნახშირის, როგორც საწვავის, გამოყენება შეიძლება არახელსაყრელი გახდეს; მნიშვნელოვნად შემცირდეს ტვირთვადაზიდვის მოცულობა და წარმოიშვას მონიპოლიებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების სისტემის ნგრევის საშიშროება».

„ბიზნესის ქურუმები, რომლებმაც ამერიკის შეერთებული შტატების ატომური მრეწველობა ომის გიგანტურ ფაბრიკად გადააქციეს, ატომგულური ენერგეტიკის განვითარებას, მის გამოყენებას შშვი. დობიან მრეწველობისათვის „მეოთხეხარისხოვან საქმედ“ სთვლიან.

ჯერ კიდევ 1949 წლის ნოემბერში აშერიკის შეერთებულ შტატებში ატომური ენერგიისადმი შიდა კონტროლის კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ 1950 წლის გაზაფხულზე ნოლის ლაბორატორიაში, სკენერტედის მახლობლად (ნიუ-იორკის შტატი), დაიწყება მშენებლობა „რეაქტორაბრიდერის“ — საცდელი დანადგარისა, ატომური ენერგიის შემცველობაში გამოყენების შესაძლებლობის შესამოწმებლადო. შედარებით იმ უზარმაზარ ხარჯებთან, რომლებიც ატომური ბომბების წარმოებაშია დაბანდებული, ასიგნობანი ამ დანადგარების ასაგებად სრულიად უმნიშვნელო იყო (რაღაც 0, 5%). მაგრამ ასეთი მცირე მოცულობის სამუშაოს ფაქტიური შესრულებაც კი განუსახლერელი ვალით იქნა გადადებული.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სანამ მონიპოლიები მმართველობის სათავეში იმყოფებიან და შეერთებული შტატების ატომურ პოლიტიკას განავრცენ, მანამ ლაპარაკიც კი ზედმეტია ატომური მრეწველობის უმდიდრესი შესაძლებლობების ხალხის ინტერესებისა თვის გამოყენებაზე.

აღნი წერს: „ატომიკას — მსგავსად მეცნიერებისა და ტექნიკისა საზოგადოდ — თავის სრულ განვითარებას მხოლოდ სოციალიზმის ხანაში შეუძლია მიაღწიოს, ვინაიდან მხოლოდ ამ წყობილების პირობებშია შესაძლებელი სოციალისტური დაგეგმვა და ამის შედეგად საწარმოო ძალების გამოყენება ხალხის საკეთილდღეოდ“.

ამერიკელი მონიპოლიების ატომური პოლიტიკა, რაც ატომიკის მილიტარიზაციაში და შისი არასამხედრო გამოყენების განვითარების დაბრკოლებაში გამოიხატება, წარმოადგენს შეერთებული შტატების მონიპოლიისტური კაპიტალის იმ აგრესიული პოლიტიკის ერთ-ერთ გამოვლინებას, რომელიც თავშეუკავებლად ისწრაფვის დამყაროს თავისი მსოფლიო ბატონობა.

ჯერ კიდევ 1946 წელს შეერთებული შტატების მმართველი წრე-  
ები შეეცადნენ თავზე მოეხვიათ გაერთიანებული ერების ორგანი-  
ზაციისათვის ყბადალებული „ბარუხის გეგმა“.

ამ გეგმის თანახმად, ატომური ნედლეულის მთელი მსოფლიო მა-  
რაგი და ატომური მრეწველობის ყველა საწარმო უნდა გადაცე-  
მოდა ეგრეთ წოდებულ „საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს“,  
რომელიც არსებითად ამერიკის შეერთებული შტატების უმსხვილეს-  
მონოპოლისტურ დაჯგუფებათა გამგებლობაში მყოფი გიგანტური  
ამერიკული ჰეტრესტი იქნებოდა.

„ბარუხის გეგმა“, არ შეუშლიდა რა ხელს ატომური იარაღის-  
დამზადებას შეერთებულ შტატებში, საშუალებას მისცემდა ამერი-  
კის იმპერიალიზმს ჩარცოდა („კონტროლის“ მომიზებით) სხვა  
ქვეყნების შინაურ საქმეში, დაექვემდებარებინა ამ სახელმწიფოთა ეკო-  
ნომიური და პოლიტიკური განვითარება ამერიკის ინტერესებისათვის.

უოლ-სტრიტის მესვეურები, რომლებმაც თავის სამსახურში ჩააყე-  
ნეს ამერიკის შეერთებული შტატების ატომური მრეწველობა,  
იმედოვნებ დნენ გაევრცელებინათ თავისი მონოპოლიური ბატონობა  
ატომური ენერგიის წარმოებასა და მოხმარებაზე მთელს მსოფლიოში.

ამერიკული დიპლომატია ფართოდ იყენებდა ატომური ბომბის  
საფრთხობელას, როგორც სხვა სახელმწიფოებზე ზემოქმედების სა-  
შუალებას. ინგლის-ამერიკული პრესა ამ დროს სავსე იყო სენსა-  
ციურ-პანიკორული „გამოთქმებით“ და „განცადებებით“ ატომური  
ბომბის, როგორც—ყოვლის შემმუსვრელი აბსოლუტური იარა-  
ღის—შესახებ, რომელიც ვითომდა შეერთებულ შტატებს ნებას  
აძლევს მთელი დედამიწის ხალხთა ბეჭ-იღბალი განაგოს.

მაგრამ იშ დროს, როცა იმპერიალიზმის ბანაქში ომის გამჩაღებ-  
ლები თავისი შემზარავი ლრიალითა და კივილით ცდილობდნენ გაე-  
ღვივებინათ საომარი ისტერია, მთელს მსოფლიოში ნათლად და  
დამაჯერებლად გაისმა საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის ამხანაგ  
სტალინის სიტყვები, რომლითაც მან ამხილა ატომური შანტაჟის  
პოლიტიკის არსი.

„ატომური ბომბები გათვალისწინებულია სუსტნერვებიან ადა-  
მიანთა დასაშინებლად, მაგრამ მათ არ შეუძლიათ ომის ბედის გა-  
დაწყვეტა, ვინაიდან ამისათვის საესებით არ არის საქმარისი ატო-  
მური ბომბები. რა თქმა უნდა, ატომური ბომბის საიდუმლოების  
მონოპოლიური მფლობელობა ჰქმნის საფრთხეს, მაგრამ ამის წინა-  
აღმდეგ არსებობს, სულ ცოტა, ორი საშუალება: ა) ატომური ბომ-

ბის მონოპოლიური ნფლობელობა არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს; ბ) ატომური ბომბის გამოყენება აკრძალული იქნება”<sup>1)</sup>.

მაგრამ იმის შემდეგაც კი, რაც 1947 წლის ნოემბერში ამხანაგმა მოლოტოვმა განაცხადა, რომ ატომური ბომბების წარმოება აღარ შეადგენს ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიურ საიდუმლოებას, შეერთებული შტატების შპართველი წრეები განაგრძოდდნენ მითის გაბერვას, „დოლარის იმპერიის“ ატომური მონოპოლიის შესახებ.

არაჟეშმარიტი ატომური მონოპოლია საფუძვლად ედო უოლ-სტრიტის ფინანსიური მაგნატების უკელა შემდგომ აგრესიულ გეგმებსა და საქმიანობას, რომლებიც განაცრძოდდნენ შანტაჟისა და მუქარის პოლიტიკას, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა სხვადასხვა „ბლოკებისა“ და „კავშირების“ შექმნის პოლიტიკას.

1949 წლის 25 სექტემბრის საკდესის ცნობის შემდეგაც კი, როცა უფრო „თავგამოდებული ომის გამჩალებლები და ატომური ღიპლომატიის შემოქმედნი იძულებული გახდნენ ელიარებინათ, რომ მათ ლაყბობას ამერიკის შეერთებული შტატების ატომურ მონოპოლიაზე ბოლო მოელო, მათ ხელი არ აუღიათ თავის აგრესიულ პოლიტიკაზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე სესიაზე ინგლის-ამერიკელთა ბლოკი დაუინებით ცდილობდა მოეხვია ორგანიზაციისათვის ეგრეთ წოდებული „საერთაშორისო კონტროლის“ ამერიკული გეგმა, ე. ი. იგივე ყბადალებული „ბარუხის გეგმა“.

1950 წლის თებერვლის პრეს-კონფერენციაზე გამოსვლის დროს ტრუმენი ჯიუტად იმეორებდა:

„ბარუხის გეგმა“ ახლა ისევე კარგია, როგორც იმ დროს, როდესაც ის გამომუშავებულ იქნა. ის არ გადასინჯულა და არც არსებობს მისი გადასინჯვის საბაზი. ის ისევე კარგია, როგორც ყოველთვის“.

1950 წლის იანვრის ბოლოს დაიწყო ომის გამჩალებელთა ახალი ცოდნორეული გვემულება: უოლ-სტრიტის მითითებით ტრუმენმა ხელი მოაწერა განკარგულებას ეგრეთ წოდებულ „წყალბადის ზე-

1) ი. ბ. სტალინი, პასუხები გასეფთ „სანდი ტაიმსის“ მოსკოველი კორესპონდენტის შეკითხვებზე „პრავდა“, 23 სექტემბერი, 1946 წ. და „ბოლშევიკი“ № 9—10, 1946 წ. სექტემბერ-ოქტომბერი.

ბომბის” შექმნის შესახებ, ხოლო შეერთებული შტატების სინდის-გარეცხილმა პრესამ „ატომური ფერხული“ გამართა ამერიკელი აგრესიული მონოპოლიების ამ,—მრავალი ცნობილი ატომისტ-მეცნიერის აზრით—მეტად საეჭვო-განხრახვის გარშემო.

მაგრამ რარიგ არ ცდილობენ ამერიკელი ფაშისტები გაბერონ ატომური შანტაჟის ეს ახალი საპნის ბუშტი, რარიგ არ გაჰკივიან ფორესტოლის ფეხდაფეხ მიმღევარნი, სიგიურით შეპყრობილი კონ-გრესმენები, მათ მიერ ატეხილი განგაში არადამაჯერებელი დარჩა აგრესიის ისეთი მქადაგებლებისთვისაც კი, როგორიცაა მეტად ამ-ხედრებული ამერიკელი უურნალისტი უოლტერ ლიპმანი.

დაინახა რა ამერიკის ატომური შანტაჟის პოლიტიკის გაცრუება და ჩინეთში შეერთებული შტატების ინტერვენციის სამარცხვინო აღსასრული, ლიპმანმა მწუხარების მძიმე ამოოხვრით აღიარა:

„ატომური მონოპოლია, რომელზედაც 1949 წლის სექტემბრამ-დე ამდენ იმედს ვამყარებდით, გაქრა სამუდამოდ, და ვერავითარი ლაპარაკი წყალბადის ატომური ბომბის დამატებით ნგრევით ძა-ლაზე ვერ შეცვლის ჩვენი მსოფლიო დიპლომატიისა და სტრატე-გიის გადაფასების საჭიროებას, რაც ახლა აუკილებელი გახდა“.

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად ააშკარავებს შეერთებული შტატების ამ პოლიტიკის იმპერიალისტურ, ანტიხალხურ ხასიათს და, მოუხედავად იმისა, რომ ის კარგა ხანია ჰავლობს ატომურ იარაღს, ურცევად იცავს მისი გამოყენების აკრძალვისა და მკაცრი საერთაშორისო კონტროლის დადგენის აუკილებლობას.

იხილავს რა ატომური ენერგიის გამოყენების საკითხს, როგორც უფრო ფართო საკითხის—ორი საზოგადოებრივი სისტემის სოცია-ლიზმისა და კაპიტალიზმის შეჯიბრების—ნაწილს, ალენი წერს:

„ატომიკის, ისევე როგორც საზოგადოდ ტექნიკის გამოყენების ხასიათი საზოგადოების ცხოველუნარიანობის ერთ-ერთი მაჩვენე-ბელია. საცხებით ცხადია, რომ იმ საზოგადოებას, რომელსაც უნა-რი შესწევს გამოიყენოს ახალი ტექნიკა შემოქმედებითი მიზნები-სათვის, შეუძლია გაცილებით მეტი მისცეს მსოფლიოს ხალხებს, ვიღრე იმ საზოგადოებას, რომელიც ავითარებს ატომიკას მხოლოდ ნგრევის მიზნებისათვის“.

ჩვენი სამშობლოს არნახული სწრაფი და მძლავრი ეკონომიკური გაფურჩქვნა დამაჯერებლად მოწმობს, თუ რა ფართო პერსპექტი-ვებს გადაგვიშლის მეცნიერებისა და ტექნიკის გამოყენება მთელი მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის.

„ჩვენ საბჭოთა კავშირში,—ამბობდა ამხ. ვიშინსკი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე სესიაზე 1949 წლის 10 ნოემბერს,—ატომის ენერგიის ვიუქნებთ არა იმისათვის, რომ დავაგროვოთ ატომის ბომბების მარავი, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ როცა ისინი დაგვჭირდება—თუ საუბრდუროდ ეს მოხდა—იმდენი გვექნება, რამდენიც საჭიროა, ჩვენ ატომის ენერგიის ვიყენებთ ჩვენი სამეურნეო გეგმებით, ჩვენი ეკონომიკური და სამეურნეო ინტერესებისათვის. ჩვენ გვსურს ატომის ენერგიას შევასრულებინოთ მშევიდობიანი მშენებლობის დიალი ამოცანები, რათა ავაფეთქოთ მთები, შევცვალოთ მდინარეთა მიმართულება, მოვრწყათ უდაბნოები, ახალი ცხოვრება შევიტანოთ იქ, სადაც იშვიათად დადგმულა ადამიანის ფეხი<sup>1)</sup>).

სოციალიზმის დიალი ქვეყნის წარმატებანი, სადაც მოკლე დროში უახლოესი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები მთელი ხალხის კუთვნილებად იქცა და ეს მიღწევები საბჭოთა ადამიანების მატერიალური დონის ამაღლებას ხმარდება, გამამხნევებელ მაგალითს წარმოადგენენ სხვა ქვეყნების ხალხებისათვის.

უოლ-სტრიტის იმპერიალისტურ მტაცებელთა აღვირახსნილი აგრძესიული პოლიტიკა დღითი დღე სულ უფრო და უფრო მძლავრ აღმფოთებას იწვევს ჟუვლა მშვიდობის მომხრეთა შორის. მსოფლიოს ჟველა ქვეყანაში—მათ შორის თვეთ შეერთებულ შტატებშიაც, სულ უფრო ფირთოვდება ატომის იარაღის აკრძალვისათვის ბრძოლა, რომელიც უერთდება მშვიდობისა და დემოკრატიის დაცვისათვის ხალხთა გრანდიოზული მოძრაობის მძლავრ ნაკადს.

1950 წლის მარტში სტოკოლმში შედგა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მესამე სესია. კონგრესის მიერ მიღებულ მოწოდებაში ნათქვამია:

„ჩვენ მოვითხოვთ ატომური იარაღის, როგორც ადამიანთა დაშინებისა და მასობრივი მოსპობის იარაღის, აუცილებელ აკრძალვას.

ჩვენ მოვითხოვთ ამ გადაწყვეტილების შესრულებისადმი სასტიკი საერთაშორისო კონტროლის დაწესებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ის მთავრობა, რომელიც პირველი გამოიყენებს ატომურ იარაღს რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ, ჩაიდენს დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ და განხილული უნდა იქნას. როგორც სამხედრო დამნაშავე.

1) გან. „კომუნისტი“ 1949 წ. 15 ნოემბერი, რედ.

ჩვენ მოეუწოდებთ მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ყველა ადა-  
მიანს ხელი მოაწეროს ამ მოწოდებას”<sup>1</sup>).

სესიის შედეგებმა ჯვიჩვენა, რომ მსოფლიოს ხალხთა დიადი მო-  
ძრაობა ახალი ომის მზადების წინააღმდეგ და აგრესიის მიზნები-  
სათვის ატომური იარალის გამოყენების წინააღმდეგ, ახალ ეტაპზე  
იმყოფება, ლებულობს ახალ, უფრო ქმედ ფორმებს. საფრანგეთის  
და იტალიის, ბელგიისა და პოლანდიის დოკერები უარს ამბობენ  
გადმოტვირთონ ამერიკული იარალი; მათ მაგალითს ბაძავენ სხვა  
ქვეყნებისა და კონტინენტების მუშებიც.

ამერიკელი ხალხის სულ უფრო ფართო წრეები გადაჭრით გამო-  
სთქვამენ თავის აღმფოთებას უოლ-სტრიტის იმპერიალისტთა  
„ტოტალური დიპლომატიის“ გამო, რომელიც აღიარებულია აქე-  
სონის მიერ, გამალებული ატომური შეიარაღების პოლიტიკის გამო.  
შეერთებულ შტატებში მშეიდობისათვის მასობრივ მოძრაობაში  
მონაწილეობას ლებულობენ მრავალი პროფესიონალი—რომლებიც  
ამერიკის შრომის ფედერაციაში და საწარმოო პროფესიონალების  
კორპორაციაში შედიან, და აგრეთვე დაბოუეიდებელი პროფესიონა-  
ლური ორგანიზაციები.

ატომური იარალის დაბზადების საწინააღმდეგო პროცესტებით,  
მშეიდობისაკენ მოწოდებებით გაშოდიან ქვეყნის სხვადასხვა რელი-  
გიური და საეკლესიო ორგანიზაციები.

ფართოვდება და მტკიცდება ბრძოლა მშეიდობისათვის. ხალხთა  
ფართო მასები უფრო და უფრო აქტიურად ებმება მშეიდობის  
მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტს სტოკოლმის  
მოწოდებაზე ხელის მოწერის შეგროვების კამპანიაში.

მშეიდობის მომხრეთა უძლეულ ფრონტს, რომელიც უკვე აერ-  
თიანებს და რაზმავს კაცობრიობის ნახევარს, სათავეში უდგას  
სოციალიზმის დიადი ქვეყანა—საბჭოთა კავშირი.

მშეიდობისაკენ მოწოდების ეს მოძრაობა, რომელიც დადამიწის  
ყველა ქვეყანას მოედო, ახელებს და შიშის ჰგვრის ომის გამჩალებე-  
ლთა იმპერიალისტურ ბანაკს.

აღნიშნავს რა შეერთებული შტატების ატომურ და უკიდურესობისა  
და ეკონომიკის სხვადასხვა მნიშვნელოვანი დარგების გადამისახული  
მილიტარიზაციით გამოწვეული ომის საშიშროების ზორდას, ამინავრ უოლ-სტრიტის აგრესიული პოლიტიკის მუკუთრ დამოვლინებას,

1) კომუნისტი. 4/IV—1950 წ.

2. ჯემს ალენი.

ალენი თავის წიგნს ამთაცრებს მოწოდებით შეერთებული შტატების მპრომელების ტიმართ, წინააღმდევობა გაუწიონ ამ საშაშროებას.

„შეცნიერებსაც, — წერს ალენი, მოუცდებათ გააკეთონ აზჩევანი— ეის ემსახურონ: მონაპოლიება და პილიტარაზეს, თუ ხალხს.

შეორე შსოფულიო ომაცი ფაშიზმის გან, დგურების შედეგად მიღწეული დემოკრატიული და სოციალისტური მონაპოვარით გაძლიერებული ხალხთა ძშვიდობის დიადი საერთაშორისო ფრონტის დახმარებით აძერაკელი ხალხი თავის საწმობლოში შეაძლებს შეცვალოს მოვლენათა მცელელობა, აიძულოს ქვეყანა რეაქციის გზიდან გადავიდეს პროგრესის გზაზე. მხოლოდ აპ გზით შევძლება ჩეცნ ჩვენი უხარმაშარი საწარმოო ძალების ხალხის სამსახურში ჩაყენებას.“

ამ სტატიაში ჩეცნ ეცხაბით მხოლოდ ზოგიერთ საკითხა, რომელიც ჯემს ალენის წიგნშია გაშუქებული.

წიგნი ლირსია საბჭოთა მეითეველის ყურადღებისა, არა მარტო იმისათვის, რომ ის შეიცავს ამერიკული ატომური მრეწველობის განვითარებაზე მონოპოლიების გავლენის მეტად საინტერესო ფაქტებს; მისი მნიშვნელობა, უპირვესეს ყოვლისა, მდგომარეობს იქაში, რომ ის ასახავს შეერთებული შტატების როგორც პროგრესულად განწყობილი ინტელიგენციის, ისე ამერიკის ბშრომელთა ფართო მასების სულისკვეთებას, რომელიც გამოსთვავამენ პროტესტს ატომური და „ზეატომური“ ბომბებით ბოროტი თამაშის წინააღმდეგ და მოთავერენ ატომური იარაღის აქრძალვას.

ააშეარაკებს რა უოლ-სტრიტის აკრესიულ ატომურ პოლიტიკას, ეს წიგნი წარმოადგენს ძერფას საკანძურტს მთვლი მსოფლიოს ხალხთა ძშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის საქმეში.

### 3. ვომულებელი

## ავტორის შენასიტუაცია

ეს შრომა წარმოადგენს ატომიკის სოციალური მნიშვნელობის შეფასების წინასწარ ცდას. ესარგებლობ რა ტერმინით „ატომიკა“, მე ამ ცნების ქვეშ ვკულისხმობ ატომური საწვავის წარმოებისა და გამოყენების ხალ ტექიკას.

ატომური ენერგიის საკითხი უკვე აღარ წარმოადგენს მხოლოდ პროგნოზების თემას. იმ ფორმით, რა ფორმებშიაც ის გამოიყენება ამჟამად, ატომური ენერგია შეიქმნა თანამედროვე ცხოვრების შიშის-მომგვრელ რეალობად, მისი გამოყენების განჩსახლვრელი პოტენციური შესაძლებლობით რაგორც ნგრევას, ისე შემოქმედებითი ძიწნებისათვის. არსებითად ატომიკა განსაკუთრებულ მყაფიო ფორმაში გამოსახავს კაპიტალიზმის საერთო კრიზისს, რომელიც გამწვავდა წარსული ობის შემდეგ.

ეს თემა რომ სავსებით ამოიწუროს, საჭირო იქნებოდა ეკონომიკის, საზოგადოების განვითარების, მეცნიერების, ტექნიკის, დიპლომატიის, სამხედრო სტრატეგიისა და ჩეენი დროის პოლიტიკის ისტორიების დაწერა.

ჩემი შრომა პრეტენზიას არ აცხადებს ასეთ ამომწურიდვ სისრულეზე. ამ პატარა წიგნში მთავარი ყურადღება დათმობილი აქვს იმ ეკონომიურ და პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც ატომიკის განვითარებასა და გამოყენებაზე ახდენენ გაელენას.

მეტად ძნელია ახალი უმნიშვნელოვანები აღმოჩენის სოციალური და ეკონომიური მნიშვნელობის შეფასება მხოლოდ მისი პირველადი გამოყენების მიხედვით მაშინ, როცა ამ დარგში უახლოეს მომავალშივე სავსებით მოსალოდნელია ახალი აღმოჩენები და ახალი ტექნიკური გაუმჯობესებანი. მაგრამ ეს სიძნელე კიდევ მეტად ძლიერდება სასტრიკი სამხედრო ცენტურის არსებობით, რომელიც უამრავ შეზღუდვებით ბორკავს მეცნიერული და ტექნიკური ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას. მეცნიერთა შორის დისკუსიის და მათსა და საზოგადოებას შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლის ის მეტად შეზღუდული თავისუფლება, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს ავერიკის შეერთებულ შტატებში, თისტების სრულ არარაობამდე დაიყვანება „შპიონომიანით“, გამოძიებებით, რომელთაც დაუსრულებლივ ატარებენ კონგრესის კომისიები, და მოსამსახურეთა „ლოიალობის“ შემოწ-

მებით, რაც იმ აგრესიული პოლიტიკას ელემენტებს შეადგენენ. რომელსაც ატომიკის შემდგომ მილიტარიზაციისაკენ მივყავართ. შეერთებულ შტატებში ამ ატომისტეროში სრულიად მოისპო ამ საკითხის აუცილებელი სასიცოცხლო საზოგადოებრივი განხილვა.

იმ დროისათვის, როდესაც ეს წიგნი გადაცემული იყო დასაბეჭდად, საბჭოთა კავშირმა დაადასტურა, რომ 1947 წლიდან ის ფლობს ატომურ იარაღს.<sup>1)</sup> მასთან ერთად განაახლა თავისი წინადადებები ამ იარაღის აკრძალვისა და ატომურ ენერგიაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქონტროლის დაწესების შესახებ. აშგვარად მთელი იმ პერიოდის მანძილზე, რომლის განმავლობაში შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა ძირითადად ატომური იარაღის მფლობელობის მოჩვენებით მონოპოლიას ეყრდნობოდა. შეერთებული შტატები სინამდვილეში ალარ ჰფლობდნენ მას.

შეერთებული შტატების ატომური მონოპოლიის მითთან ერთად მოსპობილ იქნა აგრეთვე საიდუმლოების კულტიც და შეერთებული შტატების ტექნიკური უპირატესობის მითიც. საბჭოთა კავშირმა ატომიკას დაცუფლა თავისი საკუთარი მეცნიერული და ტექნიკური პროგრესის საფუძველზე და დღეისათვის ბევრად გაუსწრო. შეერთებულ შტატებს, ენერგიის ამ ახალი წყაროს შემოქმედებით მიზნებისათვის გამოყენების საქმეში. ეს ფაქტი ადასტურებს ამ წიგნის ძირითად დასკვნებს.

ტექნიკური საკითხების დარგში მე იძულებული ვიყავი ძირითადად დაგურდნობოდი ოფიციალური ორგანოების ანგარიშებს. ატომური ენერგიის პრობლემის შეტაც მწვავე პოლიტიკური შინშენელობის გამო ამ ანგარიშებს უნდა მივუდგეთ დიდი სიფრთხილით და კრიტიკულად. სხვა ავტორების მსგავსად, მე ხშირად ვსარგებლობდი სმიტის მიერ შედგენილი ოფიციალური ანგარიშით ატომურ ენერგიაზე მუშაობის შესახებ ომის პერიოდში; ამ ცნობებს ვუმატებდი მასალას სხვადასხვა მეცნიერული ცნობარებიდან და შრომებიდან ფიზიკის დარგში. ჩემ მიერ გამოყენებულია ორიგინალური და გადანაბეჭდი მასალები და აგრეთვე საღისკუსიო სტატები, რომლებიც ქვეყნდებოდა ჩიკაგოს „მეცნიერ ატომისტთა ბიულეტენის“ პირველ გამოცემებში. მართალია, დღეისათვის ეს ეურნალი ჰყარგავს თავის მნიშვნელობას, როგორც მეცნიერული დისკუსიის ორგანო, რადგან უურნალი დღითი დღე უფრო და უფრო ემორჩილება ოფიციალურ შეხედულებას ამ საკითხებში. კერძო შემთხვევებში გამოყენებულია ცნობები სხვა პერიოდული გამოცემები-დანაც.

<sup>1)</sup> იხ. საკდესის 1949 წ. 25 სექტ ცნობა (რედ. შენიშვნა).

## ატომიკის პოლიტიკური შესაძლებლობანი

**პ**ოლიტიკის პირველი გამოყენება — ეს იყო არნახული ნერევითი უნარის იარაღის შექმნა. მაგრამ იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია ატომიკის განვითარების ძირითადი ხაზის განვირება, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ მისი დადებითი მნიშვნელობა მდგომარეობს იმ ენერგეტიკული რესურსების მრავალჯერად გადიდებაში, რომლებიც გამოიყენება საქონლის წარმოებისა და ტრანსპორტისათვის.

ადამიანის სამსახურში ებმება ენერგიის ახალი წყარო, პოტენციურად უფრო უხვი, პრაქტიკული გამოყენებისათვის უფრო მომარჯვებული და გაცილებით უფრო იაფი, ვიდრე სხვა აწ ხმარებაში არსებული ენერგიის წყარო.

ამ პოტენციურ შესაძლებლობათა გარდაქმნა სინაზდვილედ, უდავოა, ჩვენი თაობის ერთ-ერთ უდიდეს ამოცანას წარმოადგენს; ეს ამოცანა დაკავშირებულია ჩვენი დროის უმნიშვნელოვანეს პრობლემებთან: ომი თუ მშვიდობა, სილატაკე თუ სიუხვე, პროგრესი თუ მეცნიერებისა და ტექნიკის დაკინება, მოქლედ, რეაქცია თუ მოციალური პროგრესი.

ატომიკა, მისი თანამედროვე გამოყენებით შეერთებულ შრატებში, წარმოადგენს აგრესიული ომების მკაფიო სიმბოლოს. ის ფაქტი, რომ მეცნიერებამ ასეთ ახალ მწვერვალს მხოლოდ იმისათვის მიაღწია, რომ იარაღად იქცეს ომის გამჩაღებელთა ხელში — ბრალია არა მეცნიერების, არამედ მისი კაპიტალისტ ბატონ-პატრონებისა. ატომური ბომბი, შექმნილი უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყანაში, წარმოადგენს კაპიტალიზმის სისტემის დაცემის მკვეთრ მაჩვენებელს. მასთან ერთად, ატომიკა სიმბოლოა იმ უდიდესი საწარმოო ძალებისა, რომლებიც კაცობრიობის განკარგულებაში იმყოფება. ამჟამად შეერთებულ შტატებში ატომიკის საწარმოო შესაძლებლობანი

პოტენციაში იმყოფება, რადგან ეს ახალი ტექნიკა იქ უმთავრესად ომის მიზნებისათვის გამოიყენება. ამბობენ აგრეთვე, რომ შეერთებული შტატები არ საჭიროებს ატომურ ენერგიას, ვითომდა იმიტომ, რომ ჩვენში არსებული ენერგიის მარაგი გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვენ შევგიძლია გამოვიყენოთ. კაპიტალისტურ საზოგადოებას ამძიმებენ „ჰარბი“ საწარმოო სიმძლავრენი, იმ დროს, როცა აქერიკის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ტანჯვას განიცდის აუცილებელი საარსებო პროდუქტების ნაკლებობის გამო. არსებითად, რა არის დაკინების ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშანი? ომის მიზნებისათვის უდიდესი საწარმოო ძალების გამოყენება, თუ მათი არგამოყენება ხალხის მძიმე ხვედრის გასაუჯობესებლად?

ატომიკა იქცევა კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის ისტორიული შეჯიბრების უმნიშვნელოვანეს ელემენტად. ეს შეჯიბრება ახალ მასშტაბს ღებულობს ახლა, როდესაც საბჭოთა კავშირმა, საშინელი გამანადგურებელი ომის შემდეგ, ასე სწრაფად ერთნახევარჯერ გაადიდა თავისი საწარმოების მოცულობა ომამდელ დონესთან შედარებით, როდესაც აღმოსავლეთ ევროპის ახალი სახალხო რესპუბლიკები შეუდგნენ სოციალისტურ მშენებლობას და როდესაც ჩინეთმა თავისი მრავალმილიონიანი მოსახლეობით კავშირო გასწყვიტა იმპერიალიზმთან. დედამიწის ამ ვეებერთელა ნაწილში მთელი ძალ-ლონე საწარმოო ძალების განვითარებისკენაა მიმართული. დედამიწის ამ ნაწილში მშვიდობიანობის იდეები ბატონიბენ. აქ თავგამოდებით იბრძვიან საწარმოო პოტენციალის ყოველი ახალი გადიდებისათვის. ატომიკას—მსგავსად მეცნიერებისა და ტექნიკისა—შეუძლია საზოგადოდ თავის სრულ განვითარებას მიაღწოოს მხოლოდ სოციალიზმის ხანაში, ვინაიდან მხოლოდ ამ წყობილების პირობებშია შესაძლებელი სოციალისტური გეგმიანობა და ამის შედეგად საწარმოო ძალების გამოყენება ხალხთა საკეთილ-დღეოდ.

შეუძლებელია ნათლად წარმოვიდგინოთ ატომიკის გამოყენების ეს ფართო მასშტაბები, თუ წინასწარ არ შევეცდებით შევაფასოთ ატომური ენერგიის როლი საზოგადოების ეკონომიური განვითარების საქმეში. ტექნიკის ამ ახალი მნიშვნელოვანი დარგის—ატომიკის განვითარების საწყის საფეხურზე ასეთი შეფასება აღვილი როდია. ვის შეეძლო, მაგალითად, ეწინასწარმეტყველა წინასწარ ორთქლის ძრავის ან ელექტრობის გამოგონების ყველა შედეგი ამ აღმოჩენათა გარიყრაუზე. ასეთი შეფასების ამოცანა კიდევ უფრო

ძნელი ხდება ახალი ატომური ტექნოლოგიის უკიე კანობილი და შემწმებული პროცესების წესახებ სარჩევნო ინფორმაციის სილარიბის გამო.

დამატებით დაბრკოლებებს წარმოშობს ახალი ტექნიკის ის სამზღვედრო ხასიათი, რომელიც მას მიეცა ჩასახვის პირველ მოწენტიდანვე. განსაკუთრებული საიდუმლოებით მოცულია ამჟამად მრეწველობის მთელი ეს დარგი შეერთებულ შტატებში. თუ ატომური ქვაბის ან რეაქტორის მეცნიერული და ტექნიკური პრინციპები ასე თუ ისე ზოგადად უკვე ცნობილია, მონაცემები, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს მსჯელობა ატომიკის გამოყენების ეკონომიკურ პნიშვნელობაზე წარმოების სხვადასხვა დარგში, არ ქვეყნდება. გარდა ამისა, მთელი ძალების მხოლოდ ატომური იარალის შექვენისაცენ მიმართვას, შედევად მოპყვა მეცნიერული კვლევების შეზღუდვა და შეფერხება ატომური ენერგიის გამოყენების სხვა უფრო სასარგებლო დარგებში.

ზოგჯერ შეტად ძნელია იმის გრჩევა, თუ რა არის რეალური ან ფანტასტიკური ატომის იარალის შეფასებაში. ის, რაც ამჟამად ატომიკის შესახებ ქვეყნდება, მხოლოდ ატომურ იარალს შეეხება, ხოლო ატომური ენერგიის სამშევიღობო გამოყენების შესაძლებლობის შესახებ ბევრ უსაფუძვლო აზრს გამოოქვამენ. ბეორე მხრივ ოფიციალურ ანგარიშებსაც დიდი სიფრთხილით უწდა მოეკურათ. ამ ანგარიშებისათვის ინფორმაციის შერჩევა ემორჩილება უზრუნველყოფაზე არა მეცნიერულ, არამედ პოლიტიკურ მოსაზრებებს, რომლებიც იმ მოთხოვნილებებს გამოხატავენ, რასაც წათ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები უყენებენ.

მეცნიერულ-ტექნიკურ წრეებში აზრის თავისუფალი გამოოქმნა, ატომიკის სოციალურ და პოლიტიკურ ასპექტში, იმდენად იშვიათ მოვლენად გახდა, რომ გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერის, ფიზიკოს პ. მ. ს. ბლეკეტის წიგნის გამოქვეყნება, რომელშიაც ის უარყოფს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის სისწორეს ატომური ენერგიის კონტროლის საკითხში, საქმაო შეიქნა იმისათვის, რომ თავისებური კრიზისი გამოეწვია დიპლომატიურ და მეცნიერულ წრეებში.

მიუხედავად ამისა, თავისთავად იბადება ზოგიერთი წინასწარი დასკვნა, რომელიც ხანგრძლივ მეცნიერულ და ტექნიკურ გამოცდილებას ეყრდნობა.

თეორიულად ატომური ენერგიის პოტენციური შესაძლებლობანი ცნობილი იყო დაახლოებით სამი ათეული წლით აღრე პირვე ლი ატომური ბომბის აფეთქებამდე. წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ამ შესაძლებლობაზე, მიემართოთ ეინშტეინის მასისა და ენერგიის ეკვივალენტობის ცნობილ ფორმულას, რომლის თანახმად მასის ენერგეტიკული ეკვივალენტი მრავალმილიონჯერ აღემატება მის წონას. პრაქტიკულად ეს იმის ნაშთავს, რომ 25 გირვანქიანი მასა სრულდება, რაიმე დაკარგვის გარეშე, ელექტრულ ენერგიად გარდაქმნილი ეკვივალენტური იქნებოდა მთელი იმ ელექტროენერგიისა, რასაც წლის განმავლობაში გამოიმუშავებს შეერთებული შტატების ყველა ელექტროსადგური და რაც 250 მილიარდ კილოვატსათს აღემატება. 25 გირვანქა ქვეანახშირის დაწყისას კი გამოიყოფა მიახლოებით 90 კილოვატსათი ენერგია. ამ ორი რიცხვის 90 და 250 000 000 შეზღუდვა საკმარისია იმ აზრის სამართლიანობის დასამტკიცებლად, რომ ატომური ენერგიის პოტენციური მარაგი მართლაც განუსაზღვრელია.

ამ თეორიული პოტენციური მარაგის დაუფლებას კაცობრიობა მიუხლოვდა ურანის დაყოფის აღმოჩენისა და შემდეგში ჯაჭვური რეაქციის შენარჩუნების ხერხების ათვისების წყალობით. იგივე პროცესები და იგივე მასალა, რომლებიც დღემდე ნგრევის იარაღის შესაქმნელად გამოიყენებოდა, შეიძლება გამოყენებულ იქნას სამშვიდობო მიზნებისათვის, როგორც ამას დაუინებით იმეორებენ ოფიციალურ ანგარიშებში. ზოგიერთი იმ თანამდებობის პროდუქტის გამოყენება, რომლებიც მიიღება ატომური ქვაბის მუშაობის პროცესში, ახლა უკვე კარგად ცნობილია. იზოტოპები და სხვა რადიოაქტიური ნივთიერებანი წარმოადგენენ კვლევის დაუფასებელ იარაღს, რომელთა საშუალებით, ეჭვს გარეშეა, კიდევ უფრო მნიშვნელოვან მექნიკულ აღმოჩენებს მივაღწევთ. ეს პროდუქტები, როგორც ის გამოსხივება, რომელიც წარმოიშობა ატომური ქვაბის მუშაობის დროს, ფართო გამოყენებას მოიპოვებენ თერაპიაში და მრეწველობის სხვადასხვა რთულ საწარმოო პროცესებში, სადაც ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნან მაღალმგრძნობიარე გამზომ და საკონტროლო ხელსაწყოებში. შემდგომი გამოკვლევები იზოტოპების დარგში გვპირდებიან არსებულ მასალათა გაუმჯობესების შესაძლებლობას

ზა აგრეთვე ახალ მასალათა შექმნას სამჩერწველო მიზნებისა და მოხარებისათვეს.

თუმცა ამ თანანაწარმის გამოყენებას სხვადასხვა დარგში მეტად დი-  
უი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ის მეორეხარისხოვან როლს თამაშობს  
ატომური ენერგიის ძირითადი ფუნქციის, როგორც მარგი ენერგიის  
წყაროს მიმართ. ამჟამად უკვე შესაძლოა კონკრეტულად განვსაზღ-  
უროთ ატომური ენერგიის პოტენციური მარაგი.

ლიტერატურაში ამ საკითხის შესახებ მოცემულია, რომ ერთი  
გირვანქა პლუტონი ან ურან-235, რომელთაც ახლა ამზადებს შეერ-  
თებული შტატების ატომური მრეწველობა, იმ აპარატების თანამე-  
დროვე ნაყოფიერების მიხედვით, რომლებიც თბოენერგიას ელექ-  
ტრიულ ენერგიად გარდავმნიან, შესაძლებლობას გვაძლევს მივიღოთ  
2,5-დან 3 მილიონამდე კილოვატსათი ელექტრიული ენერგია. ამ  
პირობებში, 50 ტონა შლადი მასალა, რომლის გადაზიდვა შეიძლება  
ერთი ვაგონით, საკმაო იქნებოდა იძლენი ელექტროენერგიის მისა-  
ლებად, რაც შეერთებული შტატების წლიურ გამოშვებას უდრის.  
ამ რაოდენობის ერთი მესამედი ახლა მიიღება ჰიდროელექტროსა-  
დგურებში, ხოლო დანარჩენის მისალებად საჭიროა 115 მილიონი  
ტონა ქვანახშირი (იმ ქვანახშირის ეკვივალენტური წონის ჩათვლით,  
რაც საჭიროა ნავთობისა და გაზის შესაცვლელად, რომელიც ელე-  
ქტროენერგიის წარმოებაში იხმარება).

შლადი მასალის ის რაოდენობა, რომელიც 1942 წ. დაიტვირთა  
ჩიკაგოს უნივერსიტეტის ლაბორატორიაში ექსპლოატაციაში შეყვა-  
ნილ პირველ ატომურ ქვაბში, საკმარისი იქნებოდა, რომ ორი წლის  
მანძილზე მის ხარჯზე ემუშავნა ამერიკის შეერთებული შტატების  
მთელ ენერგეტიკულ მრეწველობას. აღნიშნავენ, რომ ურანის ის რა-  
ოდენობა, რომელიც გამოიყენება ურანის თანამედროვე ქვაბების  
დასატენირთავად, საკმაო იქნებოდა იმისათვის, რომ შეერთებული  
შტატების მთელ ენერგეტიკულ მრეწველობას ემუშავნა მის ხარჯ-  
ზე ათეული წლების მანძილზე.

მართალია, ატომური ენერგიის, ამ უდიდესი პოტენციური ენერ-  
გიის, გამოსაყენებლად აუცილებელია წინასწარ მთელი რიგი ტექ-  
ნიკური პრობლემების გადაჭრა, რომლებიც დაკავშირებულია სით-  
ბოს გადაცემის საკითხთან ატომური ქვაბიდან რართქლის ქვაბზე,  
მაგრამ ეს სიძნელეები შედარებით იმ საკითხებთან, რომლებიც უკ-  
ვე დაძლეულ იქნა ძირითადი პროცესების ათვისების დროს, სრუ-  
ლიად უმნიშვნელოა.

რარიგ დიდად არ უნდა განსხვავდებოდეს ეს ერთიმეორისაგან, ექსპერტთა აზრები იმ ვალების შესახებ, რაც საჭიროა ეფექტური და იაფთასიანი ატომური ენერგიის მისაღებად, საბოლოო ჯამში ყველანი ერთ დასკვნამდე მიღიან, რომ ეს ფართო მასშტაბით შეიძლება განხორციელებულ იქნას ათი წლის განმავლობაში, უფრო ოპტიმისტური გაანგარიშების საფუძველზე, ხოლო ნაკლებად ოპტიმისტურად განწყობილთა გაანგარიშებით სამი ან ოთხი ათწლეულის მანძილზე-ყოველ შემთხვევაში, მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენენ ეკონომიური და პოლიტიკური ფაქტორები და არა ტექნიკური საკონტენი-ცაქტი ის არის, რომ ჩვენ შეგვიძლია დავეუფლოთ ატომურ ენერგიას; მასთან მცხი მიღებისა და გამოყენების სიჩქარე ძირითადად მოქმედ სოციალურ სტიმულებზეა დამოკიდებული. კიდევ მეტი, ატომური ენერგიის ჩვენთვის ცნობილი დახასიათებები გვიჩვენებენ, რომ მომავალში ეს ენერგია მიიღება არა მარტო ურანისა და თორიუმისაგან, არამედ სხვა ნივთიერებებისგანაც. მართლაც რომ განუზომელი და ამოუწურავია მისი მატერიალური რესურსები. ყოველი-ვე ეს, ატომური საწვავის არაჩვეულებრივად მცირე მოცულობას-თან, საფუძველს გვაძლევს ველოდოთ მომავალში ატომიკის უნივერ-სალურ გამოყენებას. ამეამად კი პრაქტიკულად სავსებით შესაძლოა ატომიკის გამოყენება ენერგეტიკულ მრეწველობაში, სადაც ატომურ ენერგიას შეუძლია შესცვალოს ქვანახშირი და საწვავი მა-სალების სხვა ტრადიციული სახეები, რომლებიც ელექტრული ენერ-გიის მისაღებად იხარჯება. ამ გზით მიღებული ენერგია შეიძლება განაწილებულ იქნას არსებული ელექტროქსელით. ატომური ენერ-გიის გამოყენების ამ საწყისი სტადიის განხორციელებას ახლა სავ-სებით შესაძლებლად სთვლიან.

ამ სტადიაშიაც კი ატომურ ენერგიას მოკლე დროში შეუძლია მოიპოვოს უპირატესობანი იმ ენერგიისათან შედარებით, რომული მიიღება ქვანახშირიდან, ნავთობიდან, ბუჩქებრივი გაზიდან და კი-დევ მეტი, ჰიდროელექტროსადგურების ენერგიისათან შედარებითაც კი. მოსალოდნელია, რომ მრეწველობის ისეთ ახალგაზრდა დარგში, როგორიცაა ატომური მრეწველობა, თვითშპად ნივთიერებათა მი-ლების თანამედროვე ხერხების ეუექტურობა შეიძლება სწრაფად და-რადიკალურად გადიდეს, რომ ატომური ენერგიის გამოყენებამ ელექტროსადგურებში მოგვცეს უფრო მეტი ეკონომია, ჩვეულებრი-ვი სახის საწვავების გამოყენებასთან შედარებით, მაშინაც კი, თუ

ამ უკანასკნელთა ეფექტურობაც საგრძნობლად გაიზრდება კონკურენციის გავლენით.

ლირებულების ფაქტორის მნიშვნელობა შორს სცილდება ეკონომიკის საკითხის ფაქტორებს, ამ ეკონომიკის ვიწრო მნიშვნელობით გაგებით. ამ საკითხში მომუშავე მთელი რიგი ავტორები ამტკიცებენ, რომ მრეწველობისათვის ენერგიის ლირებულება საწარმოონარჯების ისეთ მცირე ნაწილს შეადგენს, რომ ეკონომია, რომელიც მიიღება ატომური საწვავი მასალის გამოყენებით, საეჭვოა გახდეს იმ გადამწყვეტ ფაქტორად, რომელიც ატომურ ენერგიას უპირატესობას მიანიჭებს სხვა სახის ენერგიებთან შედარებით.

ისინი ამ შემთხვევაში მხედველობის გარეშე ტოკებენ ენერგეტიკული მრეწველობის განვითარების ისტორიას, რომელიც წარმოადგენს განუწყვეტელ მოძრაობას ენერგიის გაიაფებისა და მისი სულ უფრო ხელსაყრელი სახეების გამოყენებისაკენ, თანამედროვე მრეწველობის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

ამჟამად ეს ტენდენცია კიდევ მეტად ძლიერდება მოელი რიგი ფაქტორების გავლენით, მიუხედავად იმ დაბრკოლებებისა, რასაც მისი განვითარებისათვის წარმოადგენ მონოპოლიების არსებობა და წარმოებითი უნარიანობის სიჭარბე მსყიდველობით უნარიანობაზე. ერთ-ერთ ასეთ ფაქტორს წარმოადგენს იმ ახალი საწარმოო პროცესების ზრდადი მნიშვნელობა, რომლებიც ელექტროენერგიის დიდ რაოდენობას მოითხოვენ. ელექტროული ენერგიის ლირებულება ამ შემთხვევაში შეადგენს, პროდუქციის საერთო ლირებულების მეტად მნიშვნელოვან ნაწილს, როგორც მაგალითად, ლითონიდამუშავებისა და ქიმიურ მრეწველობაში, ან სინთეტიკურ მასალათა წარმოებაში. მეორე ფაქტორს, რომელიც გარკვეულ როლს თამაშობს ეკონომიკის ზოგიერთ დარგში, წარმოადგენს ის უპირატესობა, რომელიც ატომურ ენერგიას ენიჭება დამამუშავებელი მრეწველობის ნედლეულის წყაროების მეზობლად განლაგებისათვის, როგორც, მაგალითად, ალუმინის მრეწველობასა და ბოქსიტების შემთხვევაში, სადაც ელექტროული ენერგიის ლირებულება მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. იღნიშნული იყო აგრეთვე, რომ ისეთ რაიონებში, რომლებიც დარიბია ჩვეულებრივი სახის სათბობის მარაგით, მაგრამ მდიდარი სხვადასხვა სახის ძვირფასი ნედლეულით, ატომური ენერგია მეტად სასარგებლო იქნებოდა მაშინაც კი, როდესაც ეს ენერგია სხვა სახის სათბობთან შედარებით ჯერ კიდევ ხელსაყრელი არ არის.

ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებში, რომლებიც მხოლოდ ახ-ლახან, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმაყლობის შედეგად, დაადგნენ ინდუსტრიალიზაციის გზას, ატომიკის წინაშე იშლება მდიდრი პოტენციური შესაძლებლობანი. იაფი და ხელსაყ-რელი ენერგიის წყაროები აბსოლუტურად საჭიროა იმისათვის, რომ კოლონიალური და ნახევრად კოლონიალური სამყაროს ხალხებმა (ლათინური აშერიკა, აზია, აფრიკა), მიაღწიონ ცხოვრების უკეთეს პარობებს და ნამდვილ თავისუფლებას. იმპერიალიზმი აშ ხალხების ჯანვითარების მთავარი დამაბრუოლებელი ფაქტორია. ამიტომ კავ-ზირის გაწყვეტა იმპერიალიზმთან, რაც უკეთ მოხდა ჩინეთში და ოც სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის სხვა ნაწილებში ხდება, აახლოებს ავ ქვეყნების სწრაფი და ყოველმხრივი ეკონომიური განვითარების შესაძლებლობას. სხვა ქვეყნებში, სადაც ხალხთა დემოკრატიულ მოძრაობას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჯერ კიდევ არ მიუღწევია განვითარების ამ სტადიამდე, იგი, მიუხედავად ამისა, თავის გავლენას აჩენს სამრეწველო განვითარებაზე, თუმცა ეს განვითარება, იმპერიალიზმის ბატონობის გამო, მიმდინარეობს მეტად მწვავედ და ნელა, ატარებს ცალმხრივ და მახინჯ ხასიათს. საზოგადოდ, მე-ორე მსოფლიო ოშის შემდეგ შექმნილ ვითარებაში, რომელშიაც წათლად მოჩანს მსოფლიოს მისწრაფება სოციალიზმისაკენ, იმპე-რიალიზმის საერთო დასუსტებასთან ერთად, კოლონიების ბრძო-ლამ თავისი დამოუკიდებლობისათვის უფრო დიდ გაქანებას მიაღ-წია, რაც, თავის მხრივ, ზრდის ჩამორჩენილი ქვეყნების ეკონომი-ური განვითარების შესაძლებლობას, იმ ქვეყნებისა, რომელთა მოსა-ხლეობა დედამიწის უმრავლესობას შეადგენს.

ასეთ ქვეყნებში მრეწველობის დარგების მთელი კომპლექსის შექმნა თითქმის ნულოვანი დონიდან უნდა დაიწყოს. ატომური ტექ-ნიკა ყველაზე უფრო ეკონომიურ და ხელსაყრელ პირობებს პქმნის საწარმოთა განლაგებისათვის, ენერგიის წყაროთა და წარმოების სხვა მნიშვნელოვან ფაქტორთა მიმართ. ამავე დროს სრულიადაც არაა სავალდებულო უარყოთ ენერგიის ჩვეულებრივი წყაროები; ისინი შეიძლება საჭირო დარჩეს ისეთ დარგებში, როგორიცაა, მაგალითად, წყლით მომარაგება და ნავიგაცია, ან ფოლადსასხმელი მრეწველობის განვითარება. მაგრამ ატომიკა ამ დარგებშიაც ქმნის თავისუფალი მოქმედების ახალ შესაძლებლობებს და მით ბუნებრი-ვი რესურსებისა და იდამიანთა უნარის ახალი ეფექტური გამოყე-ნების შესაძლებლობას ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყნების ინ-

დუსტრიალიზაციისა და განვითარებისათვის, თუ ამისათვის შექმნილი იქნება სათანადო პოლიტიკური წინაპირობები.

ატომიკა უფრო იაფ ენერგიას გვპირდება და -- რაც უფრო მნიშვნელოვანია მისი განვითარების არსებულ საფეხურზე — ენერგიას ისეთი ფორმით, რომელიც უფრო შეეგუება სხვადასხვა პირობებს, ვიდრე წყლისა, ნავთობისა და ქვანახშირის მიერ მოცემული ენერგია. ამიტომ ენერგეტიკული მრეწველობის განვითარება უშუალო დამოკიდებულებაშია ატომიკასთან. ის ფაქტი, რომ ატომიკის განვითარების პირეელ საფეხურზე ატომგულური ენერგიის ღირებულება შეიძლება მხოლოდ ცოტათი ნაკლები აღმოჩნდეს, ვიდრე სითბურ დანადგარებში მიღებული ენერგიის ღირებულება, როდია ისეთი მნიშვნელოვანი როგორც ის ფაქტი, რომ ატომური სათბობის ღირებულება არ იქნება შემფერხებელი მისი გამოყენებისათვის იქ, სადაც გადამწყვეტ როლს ენერგიის წყაროს აღგილობრივ პირობებთან შეგუება თამაშობს. თავის დროზე, ახალი ტექნიკის განვითარებასთან ერთად, ატომურმა ენერგიამ შესაძლოა თანდათან განდევნოს სათბობის სხვა თანამედროვე სახეები.

## სამრეფელო რევოლუცია?

ნშირად აშბობენ, რომ ჩვენ ახლა ატომგულური დაშლის ტექნიკის დაუფლების შედეგად „მრეწველობის ახალი რევოლუციის“ წინაშე ვიმყოფებითო. თუ ამ ტერმინით გვინდა აღვნიშნოთ ის უდიდესი ტექნიკური პროგრესი, რომელიც ორთქლის ძრავის გამოგონების, ელექტრობის დაუფლებისა და შიგაწვის ძრავის გაუმჯობესების ტოლფასია, მაშინ ეს არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლება გადაჭარბებულად. ახალი ატომური ტექნიკა ჯერ კიდევ თავის განვითარების საწყის სტადიაში იმყოფება, მაგრამ იგი უკვე გვაუწყებს საზოგადოების საწარმოო ძალების ისეთ განვითარებას, რომელიც ყოველ შემთხვევაში არანაკლებია, ვიდრე ტექნიკის განვითარების ზემოაღნიშნული მონაპოვარნი. მაგრამ ეს ტერმინი მოითხოვს უფრო კრიტიკულ მიღვომას, როცა გვსურს აღვნიშნოთ იმის მსგავსი თვისობრივი სოციალური ცვლილებები, როგორც საწარმოო რევოლუციით იყო გამოწვეული კაპიტალისტური ერას გარიერაჟზე.

მოვიგონოთ, რომ კაპიტალიზმის აღმოცენებასთან დაკავშირებული საწარმოო რევოლუციის მთავარი მიზეზი როდი იყო ძრავე-

პის გამოგონება. უკანასკნელი არსებობდნენ სოციალური განვითარების წინა საფეხურზედაც, მაგრამ ვერ ჰქოვეს სამრეწველო გამოყენება. ასეთ მოვლენას ადგილი ჰქონდა ქარის წისქვილების, წყლის ენერგიისა და, კიდევ მეტი, უარის პირველი ორთქლის ძრავის შემთხვევაშიაც. პირველ ხანებში ახალი სამრეწველო ტექნიკა ამ ენერგიის ზოგიერთ წყაროს მათ პრიმიტიულ ფორმებშიაც კი იყენებდა; მასთან, წყლის ბორბალი და ქარის ძრავაც კი გამოიყენებოდა მანქანათა მთელი ჯგუფის მოძრაობაში მოსაყვანად. საწარმოო რევოლუციის დამახასიათებელ ახალ წამოწყებას წარმოადგენდა მანქანა, რომელიც იმ მუშაობას ასრულებდა, რასაც წინათხელით ასრულებდნენ. ხშირად ასეთ მანქანაში, როგორც მის შემადგენელ ნაწილს, იყენებდნენ ისეთ იარაღებს, რომლებიც წინათხოვანებული იყო მანუფაქტურის ხელით დამზადების დროს. გადამწყვეტი როლი წარმოების ორგანიზაციაში, მანქანების შემოლებასთან დაკავშირებით, ფაბრიკამ ითამაშა. წარმოების ამ ახალმა ორგანიზაციულმა ფორმამ სტიმული მისცა ძირითადი ცვლილებების შემოლებას საზოგადოებაში, გამოიწვია ახალი კლასების წარმოშობა, რომლებიც შეესაბამებოდა წარმოების ახალ წესებს; მასთან გამოიწვია ცვლილება მთელი ზედნაშენისა: სახელმწიფოსი და სოკიალური ინსტიტუტების, რომლებიც დამახასიათებელი შეიქნენ კაპიტალიზმისათვის. სწორედ ცვლილებების ასეთი ერთობლიობა გამოხატავს ტერმინის „საწარმოო რევოლუციის“ მნიშვნელობას იმ შემთხვევაშიაც კი, როცა ამ ტერმინის ხმარება ტექნიკურ გარდაქმნათა სფეროთია შეზღუდული.

მიუხედავად ამისა, ენერგია მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებაში, რადგან სამანქანო ტექნიკის განვითარებამ მოითხოვა ისეთი ძრავების სათანადო ვანვითარება, რომლებიც შეეცუებოდა საფაბრიკო წარმოებას. ახალ სისტემას ესაჭიროებოდა ისეთი სახის ენერგია, რომელიც ძალამიანის სრულ მორჩილებაში იქნებოდა, რომელიც გამოიყენებოდა ყველა ქალაქში. ქარისა და წყლის ენერგია ამ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. ორთქლის ძრავი, რომელიც ქვანახშირს და წყალს გარდაქინიდა ენერგიად და რომელიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო მთელი რიგი მანქანების ერთდროულად მოძრაობაში მოსაყვანად, აკმაყოფილებდა სამანქანო წარმოების მოთხოვნილებებს. როდესაც მრეწველობა მანქანებისა და დაზევების ხელით დამზადებიდან გადავიდა მათ შექანიკურ წარმოებაზე

და მსოფლიოს ბაზრის ზრდამ წარმოების ტემპები აამაღლა, მაშინ გაიზარდა ენერგიის მოთხოვნილებაც. დასაწყისში ამ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდნენ შეტად დიდი ორთქლის მანქანების იგებით; შემდეგში კი მათი ეფექტურობის გადიდებით, რაც დღემდე გრძელდება.

რაც უფრო ფართოვდებოდა წარმოება, მსოფლიო ბაზრის ზრდის შესაბამისად, და უფრო რთული ხდებოდა საწარმოო პროცესები, მოთხოვნილებაც ენერგიაზე იზრდიბოდა და მასთან ისეთ ფორმებში, რომლებიც უფრო უნივერსალური და ეფექტური იქნებოდა, ვიჯრე ორთქლის ენერგია... ელექტრობა და შიგაწვის ძრავა აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნილებებს. ისინი თავის მხრივ ხელს უწყობდნენ საწარმოო ძალების მეტად სწრაფ ზრდას.

ელექტრობის გამოყენებამ გააიაფა ენერგია, გაადიდა წარმოების ეფექტურობა და ტემპები და, გააუმჯობესა რა ენერგიით მომარავების შესაძლებლობანი, გაზარდა მრეწველობის ყველა დარგის მექანიზაცია და გამოიწვია ახალი სამრეწველო პროცესების შემოღება, რომელიც მოითხოვენ ელექტრული ენერგიის დიდ რაოდენობას. შიგაწვის ძრავების გამოყენებამ გაადიდა საქონელთბრუნვა და დააჩქარა კაპიტალის ბრუნვა ყველა სახის ტრანსპორტის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით, ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის მექანიზაციას, ბიძგი მისცა ნავთობის მრეწველობას და გამოიწვია ავტომშენებლობისა და ავიამშენებლობის გიგანტური მრეწველობის წარმოშობა.

ტექნიკის ეს განვითარება, ახალი ქიმიური და ელექტროლითური საწარმოო პროცესების შემოღებასთან ერთად, საფუძველი გახდა საწარმოო ძალების უდიდესი პროკრესისა ამ უკანასკნელი ორმოცდა ათი წლის მანძილზე, და განსაკუთრებით კი პირველი საერთაშორისო ომის შემდეგ, თუმცა ახალი ტექნიკა მეტად ცალმხრივად და უთანაბროდ ვითარდებოდა და სულ უფრო მეტი მასშტაბით გამოიყენებოდა ნგრევის მიზნებისათვის.

ყოველ ახალ ტექნიკურ წამოწყებას თავის დროზე „რევოლუციურ“ მოვლენად აღიარებდნენ და ტექნიკის უფრო მაღალ დონეს, რომელიც ახალ გამოკონებებს შეესაბამებოდა, ბშირად სთვლიდნენ „ახალ ეპოქად მრეწველობაში“, ანდა სხვა რაიმე ამის მსგავსად, გულისხმობდნენ რა აშასთან, თითქა ეს წამოწყებანი კაპიტალისტური საზოგადოების ძირითად სტრუქტურაში წარმოშობდნენ

მთელი ხალხის კეთილდღეობისაკენ მიმართულ თვისობრივ ცვლილებებს.

სინამდვილეში კი ეს ახალი წამოწყებანი სრულიად არ იწვევდნენ რევოლუციას წარმოების ხერხებში, თუმცა გარდაუვალად იწვევდნენ შინიშვნელოვან ცვლილებებს წარმოების ორგანიზაციაში, რასაც, თავის მხრივ, მეტად დიდი სოციალური შედეგები ჰქონდა. ამებამად, გიგანტურად გაზრდილი მრეწველობის სტრუქტურის საფუძვლად ისევ სამანქანო-საფაბრიკო ორგანიზაცია დარჩა. ენერგიის ახალმა წყაროებმა და წარმოების ახალმა პროცესებმა შესაძლოდ გახადეს ისეთი ახალი და უფრო ეფექტური მანქანების შემოღება, რომლებიც გამოიყენება წარმოების ნაკადური მეთოდის დროს, რამაც გამოიწვია წარმოების ბოცულობის ზრდა და ტემპების აჩქარება, მუშა ძალის ნაკლები დახარჯვით, თუმცა კაპიტალისტური რაციონალიზაციისა და ოფლადენი სისტემის შედეგად შეშა ძალის ექსპლოატაცია უფრო ინტენსიური გახდა.

მე-20 საუკუნის ახალმა ტექნიკურმა წამოწყებებმა მეტად შეუწყო ხელი აგრეთვე წარმოების კონცენტრაციას მსხვილ საწარმოებში, რამაც თავისი უაღრესი გამოსახულება პპოვა იმპერიალიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელ მთელი კონტროლის თავის მოყრაში მონოპოლისტურ გაერთიანებათა ხელში. ახალი ტექნიკა, ამა თუ იმ გზით, გავლენას ახდენდა კაპიტალისტური საზოგადოების სტრუქტურაზე. მაგრამ, თუმცა იგი მონოპოლიების შემფერხებელი მოქმედების მიწერდავად, გარღაუვალად აჩქარებდა საწარმოო ძალების ზრდას, მსხვილმა ტექნიკურმა მიღწევებმა მაინც ვერ შესცვალეს წარმოების კაპიტალისტური წესების საფუძვლები და მხოლოდ მუშების ექსპლოატაციისა და კლასობრივი დიფერენცირების ზრდა გამოიწვია კაპიტალისტურ საზოგადოებაში. გარდა ამისა, ტექნიკის მძაფრმა განვითარებამ განუზომლად გააღრმავა უცსკრული საწარმოო ძალების გიგანტურ პოტენციურ შესაძლებლობათა და სახალხო ინტერესებისათვის მათ ფაქტიურად გამოყენებას შორის. კერძო საკუთრება და მონოპოლიების მიერ საწარმოო სამუალებებზე დადგენილი კონტროლი იბრკოლებენ მათ გამოყენებას. მთელი საზოგადოების ინტერესებისათვის; ამის შედეგად ტექნიკის ყოველი ახალი მიღწევა იწვევს ამ წინააღმდეგობათა გაღრმავებას და მით, თვით კაპიტალისტურ საზოგადოებაში, კონფლიქტებისა და უთანხმოების ზრდას.

ატომიკა წარმოიშვა ტექნიკის სხვა უდიდეს მონაპოვრებთან ერთა 32

თად, როგორიცაა — რადარი, რეაქტიური ძრავები, შორსხედვა, ახალი ქიმიური და ელექტროლიტური პროცესები და უკანასკნელ წლებში საკონტროლო აპარატებისა და სერვო-მექანიზმების ჩანერგვა, რომლებსაც იყენებენ მსხვილი მრეწველობის ავტომატიზაციისათვის.

ტექნიკის ეს არაჩვეულებრივი განვითარება ზრდის ჩვენი ეკონომიკის პოტენციურ შესაძლებლობას და ამგვარად ხაზს უსვავს იმ უდიდეს კონტრასტს, რომელიც არსებობს თანამედროვე ტექნიკის უსაზღვრო შესაძლებლობათა და კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში მათ მეტისმეტად შეზღუდულ გამოყენებას შორის.

ამგვარად, ატომური მრეწველობის წარმოშობა თავისთავად კი-დევ არ მოასწავებს რევოლუციას წარმოების ხერხებში, თუმცა ის მკვეთრად აძლიერებს ყველა კაპიტალისტურ წინააღმდეგობას. თუ ატომურ ენერგიას განვიხილავთ მისი დადებითი ფუნქციების თვალსაზრისით, რომლებიც დღეისათვის უკვე გამოვლინებულია, მაშინ მისი ტექნიკური მნიშვნელობა უახლოესი მომავლისათვის მდგომარეობს იმ ენერგიის პოტენციური წყაროების მძაფრ ზრდაში, რომელიც წარმოების პროცესში გამოიყენება. ამ ენერგიის დიდი მასშტაბით გამოყენებისას მას შეუძლია გამოიწვიოს საწარმოო ძალების მნიშვნელოვანი ზრდა: ა) ენერგიის შემდგომი გაიაფებით და შემდეგში კი მისი უფრო ფართო გავრცელებით ენერგიის აქამდე ცნობილ წყაროებთან შედარებით; ბ) ისეთი მინერალური ნედლეულის, როგორიცაა ქარანშირი და ნავთი, სხვა მიზნებისათვის გამოყენებით, მასთან შრომის ნაყოფიერების სათანადო გადიდებით, საწვავით მომარაგებისა და ტრანსპორტის დარგებში; გ) ახალი საწარმოო პროცესების, ახალი სახის ავტომატური კონტროლისა და ახალი მასალების შემოღებით და დ) ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის გზით, სადაც კი საიმისოდ შექმნილია პოლიტიკური წინაპირობები.

ყოველივე ეს, თითქმის შესაძლებელია ატომური ტექნიკის განვითარების ახლანდელ დონეზედაც, როცა ატომური ენერგია შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო უმთავრესად ჩვეულებრივი საწვავი მასალის მაგიერ ელექტრული ენერგიის წარმოებაში. სწორედ ამ შიმართულებით მალე შესაძლებელი გახდება მთელ რიგ ახალ ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელება ტრანსპორტის დარგში, ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ დიდი სატრანსპორტო აგრეგატებისათვის,

სადაც შესაძლებელი იქნება ატომური რეაქტორის დადგმა და მძიმე კურანის მოწყობა, რომელიც მომუშავეთ დაიცავს რაღითაქტიურ ნივთერებათა მოქმედებისაგან. თუ დავუხერხობთ ოფიციალურ ანგარიშებს, მაშინ ამჟამად ატომური ერერგიის გაროყეხება სატრანსპორტო ძრავებისათვის შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ დიდ საზღვაო გემებზე, სადაც შეიძლება დადგმულ იქანს ისეთივე ტიპის რეაქტორი, როგორც დიდ ელექტროსადაცურზე. აგრეთვე, ოფიციალური წყაროების ცნობათა შიხედვით, თვითმფრინავების, შორს მოქმედი თვითმფრინავ კურვების და ყველა სახის სახმელეთო ტრანსპორტის მოძრაობაში ძლიერი ატომური ენერგიით შესაძლებელი გადადება მათთვის შემდეგ, როცა გადაჭრილი იქნება ძნელი პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია ასეთ გეინერაციის აგრეგატებში ატომური ენერგიის გამოყენების საკითხ-სან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ატომური ენერგიის უშუალოდ სასარგებლო სახის ენერგიად გარდაქმნა, ალბათ, რადგალურ ცვლილებებს გამოიწვევს ტექნიკაში. უკეთ რომ ვიქვათ, თუ ნაპოვნი იქნება ატომური ენერგიის გამოყენების ისეთი ხერხი, რომ ეს ენერგია უშუალოდ გამოყენებულ იქნას „კაფსულებში“ ანდა სხვა რაიმე ფორმით მახქანების მოძრაობაში მოსაყანად წინასწარ მო-თქლისა და გაზის მიუღებლივ, ნაშინ ჩვენ, მართლაც, შეიძლება ალ-მოვჩნდეთ სრულიად ახალი სამანქანო ტექნიკის წინაშე. შიდაწვის ძრავის ატომური ეკვივალენტი, ანუ, ზოგიერთ სხვა შეხედულება-თა შიხედვით, ატომური აკუმულატორული ბატარეა, უდავოა, მნიშვნელოვან ცვლილებებს წარმოშობდა ტექნიკაში.

განვითარების ასეთ მიმართულებას (თუმცა ამჟამად მათი მალე გან-ხორციელების ნიშნები მცირეა) მართლაც შეუძლია მაგვიყვანოს ისეთ თვეისობრივ ცვლილებებამდე წარმოების ორგანიზაციაში, რომელთა სახის წინასწარი განვირება დღესდღეობით შეუძლებელია. სხვა ტექნიკურ მიღწევათა მსგავსად, ეს ცვლილებები გამოიწვევენ სა-წარმოო ძალების მძაფრ ზრდას, რომელთა სარგებლიანი გამოყენება, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების ფორმაზეა დამოკიდებული. ყოველ შემთხვევაში, უაზონოა ვიწინასწარმეტყველოთ ჯერ არასებული აღმოჩენების ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებზე იმ დროს, როდესაც ჩვენს წინაშე დგას რეალური საკითხი: როგორ გამოიყენოთ ხალხთა საკეთილდღეო უკვე ისებული უზარმაზარი საწარმოო ძალები, რომელიც ამჟამად მხოლოდ ნაწილობრივ გამოიყენება.

ზემოაღნიშნულიდან დავასკვნათ:

საწარმოო ძალების ზრდა თავისთავად არ იწვევს არსებული სო-  
ციალური სისტემის ძირითად გარდაქმნას, თუმცა აღრმავებს კა-  
პიტალისტურ წინააღმდეგობებს და მით ხელს უწყობს იმ ძალების  
შექმნას, რომლებიც სოციალურ გარდაქმნებს ახდენენ. სწორედ კა-  
პიტალიზმის უზნარობა—გამოიყენოს მთელი საზოგადოების ინტე-  
რესების შესაბამისად ეს უზარმაზარი საწარმოო ძალები, მონოპო-  
ლიების მიერ ამ ძალების სულ უფრო მეტი შეზღუდვა, მოითა და  
ეკონომიური კრიზისებით მათი ნგრევა, აი რა ქმის, უპირველეს  
ჯოვლისა, საზოგადოების სოციალური გარდაქმნების აუცილებლო-  
ბას. არსად ისე თვალსაჩინოდ და ისე მკვეთრად არ მეღავნდება ეს.  
როგორც ატომური ენერგიის შემთხვევაში.

როგორც უკვე დავინახეთ, მრეწველობის ახალი დარგი, თავისი  
განვითარების ამ საწყის დონეზედაც კი, გვპირდება ჩვენს განკარ-  
გულებაში მყოფ სასარგებლო ენერგიის მარაგის მრავალგზის გა-  
დიდებას, მრეწველობის სხვადასხვა დარგში ტექნიკის მნიშვნელოვან  
გაუმჯობესებას, მით სამომხმარებლო პროდუქციის ზრდას და სა-  
ზოგადოების წევრთა დასევნების დროის გადიდებას. მაგრამ ატო-  
მიკის განვითარების სწორედ ეს პერსპექტივა მსხვერპლად შეეწირა  
იმას, რათა შეექმნათ ატომური იარაღის არსენალი და შით განე-  
ფანტათ კაპიტალისტური საზოგადოების „შიში „ჭარბი“ საწარმოო  
უნარიანობის წინაშე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ატომური იარაღის დამზადე-  
ბის პრობლემების დამუშავების მხოლოდ რაღაც ორი წლის მან-  
ძილზე და ისიც მიიანობის პირობებში, ათვისებულ იქნა ატომური  
ენერგიის ნგრევის მიზნებისათვის გამოყენების მთავარი და ყველაზე  
უფრო ძნელი პროცესები. მაგრამ ხიროსიმოში ატომური ბომბის  
აფეთქებიდან სამი წლის შემდეგაც კი (მიუხედავად იმისა, რომ უკ-  
ვე ხელთ გვაქვს საკმაო და აუცილებელი ძირითადი ცოდნა ენერ-  
გიის ამ უხვი წყაროს გამოსაყენებლად შემოქმედებითი მიზნებისა-  
თვის) ბომბი ჩატარდა შეერთებული შტატების მრეწველობის ამ  
თვალსაჩინო დარგის მთავარ საბოლოო პროდუქტად. შეიძლება გა-  
ბედულად ვთქვათ, რომ პირველი ატომური ბომბის დამზადებისა-  
თვის გაწეული ლონისძიების ნაწილიც კი საკმაო იქნებოდა ამ  
დროის განმავლობაში ისეთი მძლავრი ელექტროსადგურის ასაგე-  
ბად, რომელიც საინჟინრო ხელოვნების სიაპაკე იქნებოდა. მაგრამ,

როგორც ჩვენ გვაცნობებს ატომური ენერგიის კომისია, ატომური ბომბის პირველი გამოყენების საში წლის შემდეგ, საჭიროა კი. დევ, სულ ცოტა, ათი წელიწადი, რომ შექმნილ იქნას იმ ხელსაწყოთა ექსპერიმენტული საფუძვლები, რომლებიც გამოსადეგი იქნებიან ელექტროენერგიის მისაღებად დიდი მასშტაბით და რომლებიც საწვავ მასალად გამოიყენებს ურანს.

ატომური ენერგიის სამშვიდობო მიზნებისათვის გამოყენების თანამედროვე ცდების მასშტაბი შეერთებულ შტატებში შეკვეცილია და კუს ნაბიჯით მიმდინარეობს ატომური ბომბის დამზადებისა და გაუმჯობესების იმ ტემპებთან შედარებით, რომელთათვის დაუზოგად იხარჯება მთელი ნედლეულის არსებული მარაგი და საუკეთესო მეცნიერული და ტექნიკური ძალები.

ამერამდე ძნელია, ამერიკის შეერთებული შტატების ატომური მრეწველობის გარდა, კიდევ სადმე ვიპოვოთ მეცნიერების გადაგვარებისა და ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისაკენ მისწრაფების ჩაბშობის ასეთი აშეარა მაგალითი.

ატომიკის ამ მეტად მრავალგვარ გავლენაში ჩვენი დროის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე მეტად მწვავე ფორმებში გამოვლინდება კაპიტალისტური საზოგადოების ღრმა კრიზისი.

---

## მილიტარიზმაზე აფოშიკა

**პ**ირობებმა, რომლებიც მრეწველობის ამ ახალი დარგის წარმოშობასთანაა დაკავშირებული, წარუხოცელი დაღი დაასვა ატომიკას. მთელი ძალების დარაზმვაშ ატომური ბომბის დამზადების გარშემო, თავიდანვე მეტად ვიწრო ჩარჩოები შეუქმნა ატომგულური შეცნიერების ფართო მასშტაბით გამოყენებას.

ჯერ არც კი შეიძლება სრული შეფასება იმისა, თუ რა ღრმა გავლენას ახდენს ყოველივე ეს მთელს ატომიკაზე. მეტად მյაცრი შეზღუდვები, რომლებიც ამჟამად იგრძნობა მრეწველობის ამ ახალ დარგში, უმთავრესად იმით აიხსნება, რომ მრეწველობის ეს დარგი მასი აღმოცენების უამს სამხედრო ხასიათს ატარებდა და ეს შეზღუდვები შემდეგაც განაგრძობდნ არსებობას, რამდენადაც ძირითადი ყურადღება კვლავინდებურად ატომიკის სამხედრო გამოყენების კენაა მიპყრობილი. შეერთებული შტატების მრეწველობის ამ დარგის სამხედრო სტატუსი არა მარტო მის ახლანდელ ტექნიკურ სტრუქტურას განსაზღვრავს, არამედ მეტად მკაცრად ზღუდვს მეცნიერებისა და საერთოდ ატომიკის გამოყენებას.

## მეცნიერების მილიტარიზმის არასწორი გამოყენება

მანხეტენის ოლქი (ასეთი იყო ომიანობის დროს შეერთებული შტატების ატომური ენერგიის წარმოების ცენტრის სახელწოდება) ისახავდა ერთ მიზანს — უკვე არსებულ მეცნიერულ ცოდნათა საფუძველზე ატომური ბომბის დამზადებას. ატომურ აუთოქებათა განხორციელების გზები მრავალი სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა დასახეს. ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერული წვლილი ამ საქმეში მეტად მცირე იყო. კვლევათა ის მთელი ჯაჭვი, რომელთაც მივჰართ ატომგულის დაყოფის აღმოჩენამდე, ძირითადად საზღვარგარეთ იყო შესრულებული, ხოლო უკანასკნელ წლებში შეერთებულ

შტატებში ამ განვითარებებს აწარმოებენ ფაშისტური ქვეყნებიდან გამოქცეული ეროვნელი შეცნიორები.

ომის წინ ურანის ატომის დაშლა უდიდესი რაოდენობის ენერგიის განთავსუფლებით ერთდროულად დემონსტრირებული იყო ლაბორატორიული მასშტაბით მთელ რიგ ქვეყნებში, შეერთებულ შტატების ჩათვლით.

თუქრანზენ, რომ ამ პროცესის დროს ატომის გულა გამოასხივებს ნეიტრონებს, რომელთაც შეუძლიათ ეს დაყოფა გაავრცელონ ურანის სხვა მეზობელ ატომებზე და იმგვარად შექმნან ჯაჭვური რეაქტორი. შედგენილ იქნა იმ ახალი ელემენტის — პლუტონიუმის — დაყოფის დახასიათებანი, რომელიც მიიღება ურანის თვითდაშლის პროცესის დროს და ამჟამად დიდი რაოდენობით ხდება მისი გამომუშავება ხელუორდში (ვაშინგტონი). ახალი ტექნიკა, რომელიც შემუშავებულ იქნა ლაბორატორიული ცდების დროს, საწყის ორიენტირებას იძლეოდა დიდი მასშტაბის საწარმოო პროცესების ტექნიკური შესაქმნელად.

თუმცა მრავალი კომპლექსური პრობლემა, რომლებიც შეეხებოდა ნედლეულისა და საინჟინრო-ტექნიკურ საკითხებს, გადაუწყვეტელი რჩებოდა, წინასწარი მეცნიერულ და ექსპერიმენტულ სამუშაოთა არსებითი ნაწილი ძირითადად დასრულებული იყო მეცნაერთა მიერ მოელს მსოფლიოში. ბევრი აშ მეცნიერთაგანი ჩაბმულ იქნა შეერთებულ შტატებში ატომური ენერგიის კვლევით მუშაობაში; გამონაკვლისს, — რაც დამახასიათებელია, — შეადგენდნენ საბჭოთა მეცნიერები, მიუხედავად მათი მნიშვნელოვანი ძირითადი წელილისა აშ დარგში. „როცა ჩამოყალიბდა მანხეტენის ოლქი, წერს თავის ოფიციალურ მიმოხილვაში — „ატომური ენერგია სამხედრო მიზნებისათვის“ — პროფესორი ჰენრი დ. სმიტი, სახეზე იყო კველა წინაპირობა გადაშეცვეტი შეტევისათვის ატომური ბომბის შექმნისა და ატომური ენერგიის მართვის პრობლემის გადასაჭრელად“.

იმას, რაც შეძლება მიმდინარეობდა, შეიძლება ვუწოდოთ ატომგულის მეცნიერების ერთ-ერთი ასპექტის ტექნიკური ათვისება შეცნიერების განვითარების იმ დონეზე, რომელსაც მან 1940 წელს მიაღწია. იმ ორი მილიარდი დოლარიდან, რაც ომის დროს დაიხარჯა ატომური ენერგიის სამუშაოებზე, არანაკლები ცხრა მეტედისა მოხმარდა საინჟინრო-ტექნიკურ და მშენებლობის ამოცანების გადაჭრას და არაუმეტესი ერთი მეათედისა — კვლევით მუშაობას, დაისიკ ძირითადი მიმართული იყო უფრო არსებული მეთოდების

გაუმჯობესებისაცნ, ვიდრე მეცნიერების ამ დარგისა და მისი გამო-  
ყენების გაფართოებისაცნ.

მუშაობის პროცესში გამომუშავებული ახალი მასალები, პროცე-  
სები, საინინრო-ტექნიკური ხელოვნება და იარაღები, რომელთა-  
გან ბევრი გამოიყენება მრეწველობის მრავალ დარგში, მხოლოდ  
საომარ მიზანს ექვემდებარებოდნენ. იმის შემდეგ, რაც პირველი  
ბომბი დაძირებული და შემოწმებული იყო, ამნაირად შექმნილი  
ატომური მჩერწველობა მიმართულ იქნა ატომური ბომბის დამზადე-  
ბის გადიდებისა და ამ იარაღის ეფუქტურობის გაძლიერებისაცნ.  
გარდაუკალად წარმოიშვა ისეთი „ზებომბის“ შექმნის შესაძლებლო-  
ბის ძიება, რომლის ნგოვეითი ძალა მრავალჯერ გრძავარდებდა  
არსებულს. გარდა ამისა, მთელი უახლესი ტექნიკა და საინინრო-  
ტექნიკური ოსტატობა მამართულ იქნა ისეთი სატრანსპორტო აპა-  
რატის შექმნისაცნ, რომლის მეშეებით შესაძლებელი იქნებოდა  
არნახული ნგრუეითი უნარის მქანე ბობის მიზანში გაგზავნა. ზო-  
გიცრთი ანგარიშით, საპი წლის შემდეგ იაპონიის კაპიტულაციიდან,  
კაპიტალის და იდამიანთა შრომის არანკლები  $80\%_0$ -სა ამ დარგში  
მიმართული იყო სამხედრო წარმოების შენარჩუნებისა და გაუმ-  
ჯობესებისაცნ. საოპარი მიზნებისთვისაც კი მეტი უპირატესობა  
მიენიჭა ატომური ბომბებისათვის ფერებადი მასალეს ჯამომუშავებას,  
ვიდრე ატომური ძრავებს ს შექმნას სამხედრო გემებისათვის, თვით-  
მფრინავებისა და თვითმფრინავ ჭურვებისათვის, ე. ი. იმ დარგისათ-  
ვის, რომელშიაც შესაძლო იქნებოდა ახალი ალმოჩენების გამოყენე-  
ბა სამშვიდობო მჩერწველობაში და ტრანსპორტზე.

მრავალი ახალი ტექნიკური მრღველობის ამ დარგში, გარდაუკალად გამოყენებული ალმოჩნდა ეკონომიკის სხვა  
დარგებშიაც, თერაპიასა და ლაბორატორიულ კვლევებში. ბევრად  
გალრმავდა ცოდნა ქიმიაში ურანის ჯგუფის ელემენტების და წარ-  
მოების პროცესში გამოყენებულ სხვა ნივთიერებათა მეტალურგიაში,  
აგრეთვე ატომური ქეაბებისა და რეაქტორების მუშაობის შესახებ.

ამ ცალნას დიდი დაზებითი შენიშვნელობა აქვს და მომავალში ის  
გამოყენებას ჰქოვებს სამშვიდობო წარმოებაში და გათბობის მიზნე-  
ბისათვის. მაგრამ შეიძლება თუ არა ეს შემთხვევითი უკირატესო-  
ბანი, რარიც მნიშვნელოვანი არ უნდა ალმოჩნდეს ისინი, შევადა-  
როთ იმ უფასლავ ზიანს, რაც გამომდინარებს მეცნიერებისა და  
ტექნიკის კონცენტრირებიდან ატომური ბომბის დამზადების საქმის

ირგვლივ. თუ არაუერს ვიტუვით იმ აშკარა საშიშროების შესახებ, რაც გამომდინარეობს უდიდესი იმპერიალისტური სახელმწიფოს მონოპოლიიდან (თუნდაც დროებითი ხასიათის მონოპოლიიდან, როგორც ეს იყო სინამდვილეში) ამ ახალი სახის იარაღზე, ეს ზიანი მეტად საგრძნობია როგორც მეცნიერებაში, ისე მრეწველობის მრავალ სხვა დარგში.

ატომგულური მეცნიერების განვითარება შეფერხებას განიკდიდა და მისი პერსპექტივები მახინჯდებოდა მრეწველობის ამ ახალი დარგის მილიტარიზაციის გამო. ამ მრეწველობის საწყის პერიოდში ატომური ბომბის დამზადების საკითხის ირგვლივ მთელი ყურადღების კონცენტრირების გამო დამუშავებულ იქნა ატომური ენერგიის განთავისუფლების მხოლოდ ერთადერთი მეთოდი და ისიც ურანის შცირერიცხვაზი ჯგუფის ელემენტებისათვის. ამ დარგშიაც კი, სრულებით უმართებულოდ, მრეწველობა იმ პროცესებითა და მეთოდებით ამოიწურებოდა, რომლებმაც მოგვერა ან უნდა მოგვცეს უბუალო შედევები ატომური იარაღის წარმოებაში და მისი გუმჯობესების საქმეში.

მრეწველობის მთელი სტრუქტურა მასალებისა და ტექნოლოგიის დარგში შემოჭილია იმ დადგენილებებით, რომლებიც ომის დროს იყო ძილებული. ომის პირობებში ეს დადგენილებები ყოველთვის როდი ეყრდნობოდნენ უკეთეს მეცნიერულ-ტექნიკურ მოსაზრებებს, ისინი უმეტეს შემთხვევაში სამხედრო ონგარიშით იყო ნაკარნახევი. სხვა მოსაზრებებს, რომლებიც უფრო ფართო სახის მიხედს შეხებოდა, ვიდრე ატომური ბომბის დამზადებაა, ცხადია, შეეძლო მივეყვანეთ უფრო მიზანშეწონილ და ეკონომიურ-ტექნოლოგიური პროცესების გამომუშავებამდე, ვიდრე შემოლებულია ამჟამად. მოვიყანთ მხოლოდ ერთ მაგალითს. იმის ნაცვლად, რომ საჭირო ძალიონე მიმართოს იმ შეთოდების გამომუშავებისაკენ, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა ელექტროენერგიის მისაღებად გამოგვიყენებინა ხენფორდის პლუტონიუმის ოფაქტორების მიერ გამოყოფილი სითბო, იგი სრულებით გამოუყენებელი ერთვის მდინარე კოლუმბიას.

როგორც გამოჩენილი სპეციალისტები მიუთითებდნენ, რომელნიც ომის დროს ატომური ენერგიის გამოყენების დარგში მუშაობდნენ, იმ პერიოდში შექმნილი და ამჟამად კიდევ უფრო ფართოდ გამოყენებული ზოგიერთი განსაკუთრებული ტექნოლოგიური პროცესი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად დაბრკოლებას ატომური ენერგიის

შამრეწველო გამოყენებისათვის, უინაიდან მათ ახასიათებს დიდი დანაკარგები და მეტისმეტი სიძვირე. უკვე მოძველებული პროცესები კვლავინდებურად გამოიყენებიან თვითშლადი ნივთიერებების დიდი რაოდენობით მისაღებად ატომური ბომბებისათვის.

გაზების დიფუზიის მეთოდი, შემოღებული ოკრიდების ქარხანაში, რომლის საშუალებით აწარმოებენ ურანის შლადი იზოტოპების გამოცალკევებას ლითონის ძირითადი იზოტოპისაგან, ითვლება ერთ-ერთ ყველაზე უფრო უყაირათოდ და უძვირესად იმ ხერხთა შორის, რაც კი გამომუშავებული იყო ომის დროს. პლუტონიუმის წარმოებას, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს შლადი ნივთიერების მიღების სხვა საშუალებებთან და წარმოადგენს იმ ხერხს, რომლის დახმარებით ურანის ბუნებრივი რესურსები შეიძლება უფრო სრულად იქნას გამოყენებული. ქარხნის უკიდურესი აზოლირების გამო, რაც დასაიდუმლოების სისტემის ნაწილს შეადგენს, მეტად ძნელია არსებულ ლიტერატურაში ვიპოვოთ გაზის დიფუზიის მეთოდის რაიმე სერიოზული შეფასება ატომიკის უფრო ფართო სურათის ფონზე. ასეთი შეფასება კი გამოდგება ატომიკის ზოგიერთი შემოქმედებითი საკითხის გადაჭრის დროს. მაგრამ თანამედროვე ამერიკულ მრეწველობაში ამ მეთოდის როლი განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ იმ გაბატონებული მიზნით, რომლითაც აგროვებენ ატომური იარაღისათვის დასამზადებელ მასალას, რარიგ დიდიც არ უნდა იყოს დანაკარგები და კაპიტალის ჰელმეტი ხარჯვა ამ ტექნოლოგიური პროცესის დროს.

საქმის თანამედროვე მდგომარეობა ისეთია, რომ გამოყენებული ტექნიკა, რომლის ღირებულება სახელმწიფოს მიერ გაღებული სამი მილიარდი დოლარით განიზომება, სულ მოკლე დროში, შეიძლება უკვე მოძველებული აღმოჩნდეს ატომიკის დარგში ახალი აღმოჩნდების შედეგად.

ტექნიკა, რომლის შექმნას დიდი ხარჯები დასჭირდა, შეიძლება ამ შემთხვევაში გადაიქცეს განვითარებისათვის სერიოზულ დაბრკოლებად.

## ათოშგულური მიციერების შეზღუდვები

ძირითადი შეზღუდვები ატომური ტექნიკის დარგში, რაც გამოწვეულია მრეწველობის ამ დარგის სამხედრო სტატუსით, რთულდება ისეთივე საზიანო შეზღუდვების გამო, რომლებიც ატომიკის სხვა სერიოზული და სისტემატური კვლევების მიმართ არის შემო-

ლებული. კვლევები საერთოდ სულ უფრო და უფრო ცენტრალიზებულ სახეს ლებულობენ მთავრობის კონტროლის ქვეშ და განსაკუთრებით კი სამხედრო ხელისუფლების კონტროლის ქვეშ.

კვლევითი მუშაობისათვის გაღებული ფონდების უდიდესი ნაწილი ამერიკად ხელისუფლების სააგენტოების კონტროლის ქვეშ იმყოფება, დამოუკიდებლად იმისა, თუ საღ მიღის ეს თანხები— ხელისუფლებისა და უნივერსიტეტის ლაბორატორიების, თუ კერძო პირთა და კომპანიების ლაბორატორიების დაფინანსებაზე. ამას ადგილი აქვს, პირველ რიგში, ძირითადი ატომგულური კვლევებისა და გაუმჯობესების დაზიანების, რომლებიც მეტად რთულია და ძვირ აპარატურას მოითხოვენ.

ატომური ენერგიის კომისიის ცნობების თანახმად, ატომგულური თეორიული კვლევების ორი მესამედის დაფინანსებას შეერთებულ შტატებში მთლიანად ან ნაწილობრივ ფედერალური მთავრობა აწარმოებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს კვლევები ემორჩილება სამხედრო პოლიტიკის მიზნებს. ამის შედეგად ატომური კვლევები მინელდა (თუ მთლიანად არ შეშეძლა) ფაზებში, საღაც მათ, სამხედრო თვალსაზრისით, რაიმე მნიშვნელოვანი პრაქტიკული სარგებლობის მოტანა არ შეეძლო. იქ, საღაც ახალი ძიება წარმოებს შემოქმედებითი მიზნით, როგორიცაა, მაგალითად, ცდები რეაქტორებზე ელექტროენერგიის მისაღებად,—ეს მუშაობა მთლიანად ატომიკის მთავარ სამხედრო ფუნქციას ემორჩილება.

ბევრი მეცნიერი იმ აზრისაა, რომ ომიანობის დროის მუშაობა ატომური ენერგიის დაზიანების უზრადლების განუწყვეტელი კონცენტრირება ატომური იარაღის შექმნის ირგვლივ არა თუ ხელს უწყობდა, არამედ უფრო აფერხებდა ატომგულურ მეცნიერებას. სხვებთან ერთად ამ შეხედულებას იზიარებს დოქტორი ნეიმანიც, ქ. პრინსტონის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფესორი, რომელმაც გამოთქვა თავისი შეხედულება 1946 წელს, ატომური ენერგიის შესახებ კანონპროექტის განხილვის დროს. შან გამოთქვა აზრი, რომ შეუძლებელია იმის წინასწარმეტყველება, თუ უნერგიის რა წყარო შეიძლება გამოჩნდეს უახლოეს ხუთ-ათ წლის. მან კუმოთქვა თავისი რწმენა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მსუბუქი ელემენტები უფრო მნიშვნელოვან შედეგებს მოგვცემენ, ვიდრე ურანი.

მაგრამ შეერთებული შტატების ოფიციალური წრეები იმ შეხედულებას ემხრობიან, რომ მომავალში რამდენიმე ხნის მანძილზე

შეუძლებელია რაიმე არსებითი ცვლილებები ატომიკის გამოყენებაში როგორც ნედლეულის მხრივ, ისე წარმოების ძირითადი პროცესების მხრივ. ამ საფუძველზე მიმღინარეობს შეერთებულ შტატებში ატომური მრეწველობის გაფართოება და ცენტრალური აზრი განსაზღვრავს შეერთებული შტატების ახლანდელ პოლიტიკას.

აჩესონ-ლილინგტალის კომიტეტი, რომლის მოხსენება საფუძვლად დაედო შეერთებული შტატების მიერ წამოყენებულ საერთაშორისო კონტროლის გეგმას, ხაზს უსვამს, რომ ურანი „წარმოადგენს ატომური ენერგიის ყველა მოსალოდნელი გამოყენების გასალებს“.

კომისიის პირველ მოხსენებაში ატომური ენერგიის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში აღიარებული იყო ურანის იზოტოპების განცალკევების ახალი მეთოდის აღმოჩენის შესაძლებლობა, უფრო მარტივისა და იაფის იმ მეთოდებთან შედარებით, რომლებსაც შეერთებულ შტატებში იყენებენ; მოხსენება შესაძლებლად ცნობდა იმასაც, რომ მომავალში შესაძლოა სხვა ელემენტებიც, ურანისა და თორიუმის გარდა, გამოსადეგი აღმოჩენდეს ატომგულური საწვავის მისაღებად; მაგრამ კომისიის უმრავლესობა ასეთ შესაძლებლობას „მეტად პირობითად“ თვლიდა და ყურმოჭრილად მისდევდა რა ამერიკელებს, თავის დასკვნებს იმ ფაქტით ასაბუთებდა, რომ ურან-ატომური მრეწველობა სწორედ ამჟანით არსებობს შეერთებულ შტატებში.

მაგრამ ეს ოფიციალური პოზიცია შეესაბამება ატომური მრეწველობის მხოლოდ თანამედროვე მდგომარეობას შეერთებულ შტატებში. ეს მრეწველობა, თანამედროვე მასშტაბების მიხედვით, ამჟანდებს დიდი რაოდენობის გამყოფ მასალას. მასთან, ახლანდელ მდგომარეობასთან შედარებით, მას შეუძლია მნიშვნელოვნად წაიწიოს. წინ, გაყოფის პროცესის განვითარებით, შემდეგ სტადიამდე — „თვითაღდებულის“ პროცესამდე (ბრილანგ პროცესი) — როდესაც გამყოფი მასალის მისაღებად „სწვავენ“ ჩვეულებრივი ურანის გაცილებით მეტ რაოდენობას, ვიდრე ამჟამად პლუტონიუმის მისაღებად.

„თვითაღდებულის“ პროცესი შესაძლებელს ჰქმნის აგრეთვე ვისარგებლოთ თორიუმით, რომლის გამოკვლეული საბადოები გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ურანის აქამდე აღმოჩენილი მდიდარი საბადოები. ამგვარად, თანამედროვე ატომურ მრეწველობას თავის განვითარების პროცესში შეუძლია, შედარებით შეზღუდული დარგის ფარგლებშიაც, გადაიქცეს ურან-თორიუმის მრეწველობად, რომელ-

საც შეეძლება გაცილებით მეტი ატომური სათბობის გამომუშავება, კიდრე ამჟამად მუშავდება.

მიუხედავად ამ მეტად დამახასიათებელი დასაწყისისა და მიუხედავად ზემომოყვანილი ოფიციალური მსჯელობისა, არსებობს, ალბათ, უდავო საფუძველი იმისა, რომ ახლო მომავალში ველოდეთი ისეთ ახალ აღმოჩენებს, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ გამოვაცენოთ უფრო ეფექტური და იაფი ატომური პროცესები, ვიდრე ის პროცესები, რომლებიც ამჟამადა გავრცელებული ამერიკის მრეწველობაში. მძიმე ელემენტების დარგშიაც და დაყოფის უკვე აღმოჩენილ პროცესებშიაც კი შესაძლებელია ნაპოვნი იქნას სხვა ელემენტები ურანისა და ორიუმის გარდა, ენერგიის განმათავისუფლებელი ხერხები, იქნებ უფრო ნაყოფიერი და უფრო მარტივი; შესაძლებელია ვამოყენებულ იქნას უფრო ახალი და გაცილებით მარტივი ტექნიკური საშუალებები, ვიდრე ამჟამადა ხმარებული შეერთებული შტატების ატომურ მრეწველობაში, რომელმაც კაპიტალის უზარმაზარი დაბანდება მოისხვა. ეს იმას ნიშნავს, რომ ატომური მრეწველობის თანამედროვე განვითარების საფეხურზედაც კი შესაძლებელია მნიშვნელოვანი გარდაქმნები. მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიისათვის სრულიადაც არ იქნება უცხო, თუ ასეთი გარდაქმნები ერთიმეორის თანმიკლებით თავს იჩენენ უახლოეს დროშივე, ვინაიდან ამჟამად ამ დარგში ბევრ ქვეყანაში მიმდინარეობს მეტად ინტენსიური პრაქტიკული კვლევები.

ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ წრეებში და აგრეთვე ზოგიერთ მეცნიერულ წრეებშიაც, როგორც ჩანს, დამყარდა შეხედულება, რომ, ის რაც ცნობილია ატომური ენერგიის მიღების სხვა ხერხების შესახებ, როგორც მაგალითად, მსუბუქი ელემენტების ატომგულური სინთეზის კოსმიური სიცივებისა და მეზონების შესახებ, ჯერ იმდენად ელემენტარული და არასრულია, რომ შეუძლებელია ახლო მომავალში მათ პრაქტიკულ გამოყენებას მოველოდეთ.

ფიქრობენ, რომ მსუბუქი ელემენტების პირველი გამოყენება, თუ მხედველობაში მივიღებთ ვარსკვლავთა ფეთქვას, იქნებოდა ენერგიის განთავისუფლება აფეთქებით და არა დაუფლებული რეაქციის მეშვეობით. მასთან, ძირითად დამაბრკოლებელ მიზეზად ასახელებენ იმ მაღალი ტემპერატურის გადაუჭრელ პრობლემას, რომელიც ვითარდება ატომგულური რეაქციის დროს. ადვილი შესაძლებელია, რომ მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობაში, კოსმიური ნაწი-

ლაკები და მსუბუქი ელემენტები არ გახდნენ ატომიკის განვითარების ახალ წყაროდ ამ უახლოეს მომავალში, თუმცა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, მეცნიერთა შორის ამის შესახებ აზრთა დიდი სხვადასხვაობა ძრსებობს. დღეს ფართო მასშტაბით მიმდინარეობს კოსმიური სხივების შესწავლა და საბჭოთა მეცნიერებს დიდი შილ-წევები აქვთ ამ დარგში. როდესაც მეცნიერების ისტორიას გავე-ცნობით, მაშინ შეიძლება ეჭვის ქვეშ დავაყენოთ შეერთებული შტა-ტების ატომური პოლიტიკის ძირითადი პრინციპი, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ეს პოლიტიკა მთლიანად ემყარება იმ ცრუ წარმოდგე-ნას შეერთებული შტატების ატომური მონოპოლიის შესახებ, რაც ესოდენ დიდ როლს თამაშობს ამერიკულ დიპლომატიაში.

მეცნიერების იმ დონეზე, რომელიც 1940 წელს იქნა მიღწეული, მხოლოდ ზოგიერთს შეეძლო წარმოედგინა ატომური ენერგიის ის პრაქტიკული გამოყენება, რომელიც მან ჰამონდი უკანას-კნელი წლის განმავლობაში. მეცნიერების განვითარების კანონები არც იმდენად განსხვავდება სოციალური განვითარების კანონები-საგან, რომ გამოირიცხოს რევოლუცია იმ გავებით, რა გავებითაც ეს ტერმინი მეცნიერებას შეეხება. ყოველ მნიშვნელოვან ნაბიჯს შეცნი-ერების განვითარებაში იწვევდა ასეთი რევოლუცია—მოვლენათა შო-რის ახალი დამოკიდებულებების აღმოჩენა, რომელიც მეცნიერული თეორიის განვითარებაში თვისობრივ ნახტოშს იწვევდა. რადიოქტი-ობის აღმოჩენა და ეინშტეინის შიერ მასისა და ენერგიის ეკვივალენ-ტობის განტოლების გამოყენა, მხოლოდ ცალკეულ რგოლებს შეად-გენდნენ იმ აღმოჩენათა თანამიმდევრობაში, რომლებიც ფიზიკაში წარმოადგენდნენ ისეთი სახის რევოლუციას, რაც მეცნიერების სხვა დარგებზედაც ახდენდა გავლენას. ასეთი ლრმა რევოლუცია არას-დროს არ ჩერდება ერთ ადგილზე, რამდენადაც ამით იწყება მეცნი-ერების განვითარების ახალი ფაზა, რომელიც ვაგრძელდება მის დამთავრებამდე. ალბათ, სწორედ ამაში მდგომარეობს მეცნიერე-ბის განვითარების დინამიკა, რომელიც საზოგადოების განვითარე-ბის დინამიკის მსგავსია და თითქოს არც გვაქვს რაიმე საფუძველი გამოვრიცხოთ ატომიკა მისი მოქმედების სფეროდან.

ვინც ატომურ ბომბს იხილავს როგორც იმ ოქროს კვერცხს, რო-მელიც მეცნიერებამ დაღო შეერთებული შტატებისათვის, უთუოდ ისურვებდნენ ერეტიკოსებად გამოეცხადებინათ თანამედროვე გალი-ლეები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ატომგულურ მეცნიერებას ჯერ არ მიუღწევია თავისი განვითარების მწვერვალამდე და მხო-

ლოდ დგას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩენების წინაშე. მაგრამ კელავინდებუზეად უდავოდ რჩება დებულება, რომ დედამიწა ბრუნავს, ანუ, თანამედროვე ტერმინებით რომ ვთქვაო, ატომური ენერგიის ასპარეზი უსაზღვროა.

### ტერიტორია ცენტრიზაცია

შეერთებული შტატების ატომური პოლიტიკის მესვეურებმა, რომ-ლებმაც თავის დასაწყინარებლად შექმნეს ცრუ რწმენა, თითქოს ისტორიას შეუძლია შეჩერდეს დიდი ხნით, რათა საშუალება მის-ცეს მათ აბსოლუტურ მონოპოლიას მიაღწიონ, ერთდროულად შე-ქმნეს ტექნიკის ერთგარი კულტი.

კველგან, თვით შეერთებულ შტატებშიაც კი, აღიარებენ, რომ ის წამყვანი როლი, რომელსაც თამაშობდა ატომიკაში შეერთებუ-ლი შტატები, მათ მიენიჭათ არა მათი უპირატესობის გამო მეცნი-ერების დარგში, არამედ იმიტომ, რომ ქვეყანაში, რომელიც ომით არ დაზარალებულა, წარმოიშევა ატომური ბომბის დამზადებისათვის საჭირო უხვი რესურსების მობილიზაციის შესაძლებლობა. ახლა ამ წამყვან როლს ემსჯერებიან ის კვლევები, რომლებიც საზღვარგარეთ მიმდინარეობენ, ამერიკის შეერთებული შტატებისაგან დამოუკიდე-ბლად. სხვა ქვეყნები უკვე დაეუფლენ ამერიკის შეერთებულ შტა-ტებში გამოყენებულ საწარმოო პროცესების ზოგიერთ ფაზას, მიუ-ზედავად მათი სიძეირისა და მათთან დაკავშირებული ტექნიკური სიძნელებისა, და შეუაგრძნ ახალი საწარმოო პროცესების დამუშავე-ბას, რომლებიც უფრო ეკონომიურია და რომელთაც შესაძლოა უფრო უნივერსალური გამოყენება ექნეთ მრეწველობაში.

შეერთებულ შტატებში თავი იჩინა ამ საერთაშორისო კონკურენ-ციაში ტექნიკური წარჩინებისა და ეკონომიკის სიმდიდრის როლის გადაფასების ტენდენციაშ. რასაკვირველია, ეს ფაქტორები დიდ როლს თამაშობენ, მაგრამ ისინი გადამჟყვეტი არ არიან ჩვენს ხანა-ში, როცა თვისობრივი განსხვავება სხვადასხვა ქვეყანაში ტექნიკის მდგრადი მოვალეობაში არც იმდენად დიდია.

ომის შემდეგ კონგრესში ატომური ენერგიის საკითხის განხილ-ვისას, მანხეტენის ოლქის სამუშაოებში მონაწილის, ერთ-ერთი უდი-დესი სამშენებლო ფირმის „სტოუნენდ ვებესტერის“ მთავარმა ინჟი-ნერმა აღნიშნა, რომ სამშენებლო მუშაობის მოცულობა იმდენად დი-და იყო და იმოდენი ხარჯები მოითხოვა, რომ სხვა ქვეყნებს მრავა-ლი წლები დასჭირდებათ იძისათვის, რათა მიაღწიონ შეერთებული შტატების ატომური მრეწველობის დონესთ. ის ამტკიცებდა, რომ

ინგლისელებსაც კი, რომელთაც, მისი აზრით, აქვთ მრეწველობის საჭირო ორგანიზაცია, მსგავსი მუშაობის შესასრულებლად მრავალი წელი დასჭირდებოდათ იმისათვის, რათა იეგოთ ატომური სამრეწველო ნაგებობანი იმის შემდეგაც კი, როცა ეცოდინებოდათ, თუ როგორ უნდა მათი აგებაო. ის, სხვა სამრეწველო ექსპერტების მსგავსად, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საბჭოთა კავშირი, სადაც მისი აზრით, ტექნიკისა და მრეწველობის ორგანიზაცია თითქოს გაცილებით უფრო დაბალ საფეხურზე დგას, ვიდრე ინგლისში, შეუძლებელია სერიოზულ კონკურენტად ჩაითვალოს.

მაგრამ ნავარაუდევი ტექნიკური ჩამორჩენა არ შეიძლება დაბრკოლებად გახდეს სხვა ქვეყნებისათვის ატომური ქვაბებისა და სხვა ატომური სამრეწველო ნაგებობათა მშენებლობის საქმეში. კანადის ქარხანა ჩოკრივერში შეიძლება უფრო განვიხილოთ როგორც შეერთებული შტატების ატომური მრეწველობის ერთ-ერთი ნაწილი, ვიდრე როგორც დამოუკიდებელი წარმოება. მიუხედავად ამისა, ეს ქარხანა მაინც წარმოადგენს კანადისა და ინგლისის მიღწევათა შედეგს მეცნიერებისა და ტექნიკური ოსტატობის დარგში. შესაძლოა, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ინგლისი, როგორც სამმხრივი ატომური ბლოკის ერთ-ერთი შევრი, სარგებლობდა ამერიკის შეერთებული შტატების მეტი კეთილგანწყობილებით, ინფორმაციითა და ნედლეულის წყაროებით მეტად სარგებლობის საქმეში. ყოველ შემთხვევაში, სამი წლის განმავლობაში ომის დამთავრების შემდეგ ინგლისმა შესძლო თრი ატომური ქვაბისა და სხვა კომპლექსური ატომური ნაგებობების აშენება. მეორე ქვაბის აგებისათვის ხარველში ინგლისელებს ნაკლები დრო დასჭირდათ, ვიდრე რეაქტორის აშენებას ბრუქხეივენის ობიექტზე, რომელიც ეკუთვნის ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისიას და რომელიც 1949 წლამდე დაუმთავრებელი იყო. ინგლისში უკვე ლებულობენ პლუტონიუმს და ყველა მისთვის საჭირო იზოტოპებს; გარდა ამისა, მთელი სისწრაფით მიდის კიდევ რამდენიმე დროი სიმძლავრის ატომური ქვაბის დაპროექტება.

ფრედერიკ უოლიო-კიურის ხელმძღვანელობით დიდი ტექნიკური გამომგონებლობითი უნარი გამოიჩინეს ფრანგებმა, რომლებიც ურანის ჟანგს იყენებენ რაფინირებული ლითონის ნაცვლად და მძიმე წყალს—რეაქტორში და, ამგვარად, უფრო უკეთესი და იაფი საშუალებით იყენებენ მათთვის ხელმისაწვდომ მასალებს და ტექნიკურ პროცესებს. ატომურ ქვაბებს ისეთი მცირე ქვეყნებიც კი აგებენ,

როგორიცაა შეედეთი და ნორვევია; უკანასკნელი იმ ურანით სარგბლობს, რომელიც მიიღება წვალი ფიქალისაგან. ინდოეთშაც, რომელიც დღემდე ცნობილი ფტორის საბადოებიდან ყველაზე უფრო მდიდარ საბადოებს ფლობს, ზეაღინა ატომური ენერგიის დარგში მუშაობის გეგმა. მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი სხვა ქვეყნებშიც.

ამ ქვეყნების უმრავლესობა არ იყო დაშვებული ამერიკის შეერთებული შტატების ატომური მრეწველობის საიდუმლო ცნობებთან. შეერთებული შტატები ინარჩუნებენ მონოპოლიურ უფლებებს ისეთი მასალის შეძენაზე, შემოზიდვასა და გაზიდვაზე, როგორიცაა გრაფიტი, ურანიტი და სხვა მასალები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ატომური მრეწველობისათვის. ინგლის-ამერიკის ბიურო ცდილობს შეინარჩუნოს მეცრი ცენტურა ეკრაპელ შეცნიერია საქმიანობაზე, რათა გამორიცხულ იქნას მათ შორის ისეთი ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს ატომიკის განვითარებას ეკრაპის ქვეყნებში.

ინგლისიც კი, რომელიც, თითქოს შეერთებული შტატების თანა-სწორუფლებიან პარტნიორს წარმოადგენს მსოფლიო ბლოკში, არ იყო დაშვებული უმნიშვნელოვანეს საიდუმლო ინფორმაციამდე. ინგლისელი მეცნიერები ჩიოდნენ პლუტონიუმის მიღების პროცესების განსაკუთრებულ დასაიდუმლოებაზე; ეს პროცესები კი წარმოადგენენ ატომური ენერგიის განთავისუფლების თანამედროვე ხერხს.

თუ მრავალმა სხვადასხვა ქვეყანაში, თავისი ტექნიკური საშუალებებისა და რესურსების შესაბამისად, მიუხედავად შეერთებული შტატების მონოპოლიისა, შესძლო ატომური მრეწველობის საფუძლების ჩაყრა, მაშინ საბჭოთა კავშირისათვის, მისი განუსაზღვრელი რესურსებით, ახალი ტექნიკით, კეალიფიციური მეცნიერებითა და ინჟინრებით დიდ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენოდეს არა თუ უკეთ გამომუშავებული მეთოდების დაუფლება, არამედ ატომიკის განვითარების გზების გაკაფევაც კი.

თუ ამ საკითხს მხოლოდ ტექნიკის დონის თვალსაზრისით განვიხილავთ, ძნელია ვიპოვოთ სერიოზული დასაბუთება იმ გაერცელებული შეხედულებისა, თითქოს შეერთებული შტატები იმდენად წინ შავიდა ამ დარგში და სხვა ქვეყნები იმდენად „ჩამორჩენილია“, რომ მხოლოდ და მხოლოდ „ატომურ საიდუმლოებათა“ შენახვით და ამავე დროს მხოლოდ ბომბების მარაგის დაგროვებით, ატომიკის სამრეწველო გამოყენების საზიანოდ, შეერთებული შტატები შესძლებენ თავისი ატომური მონოპოლიის შენარჩუნების უზრუნველყოფას.

ტექნიკის ფერიშიზაციაშ დიდად შეუწყო ხელი აგრეთვე აბსოლუტური დასაიდუმლობის კულტის შექმნას, რომლის მეშვეობით, როგორც ფიქრობენ, შეიძლება ატომური მონოპოლიის შენარჩუნება.

ეს დასაიდუმლოების კულტი, შევსებული „შპიონომანიით“ და „ლოიალობის შემოწმების“ სისტემით, ქეშმარიტად რომ მომაკვდინებელ დაღს ასვამს ატომგულური მეცნიერების განვითარებას ამერიკის შეერთებულ შტატებში და, საბოლოო ანგარიშში, ტექნიკურ ჩამორჩენილობამდე მიგვიყვანს. ბევრმა მეცნიერმა უკვე განაცხადა იმ დაბრკოლების შესახებ ატომიკურ კვლევების განვითარებისა და მისი ახალი გამოყენების დარგში, რომლებსაც ჰქონიან მეტისმეტი დასაიდუმლოებით მეცნიერთა შორის, რომლებიც ატომური პროექტის სხვადასხვა ფაზაში მონაწილეობენ.

ომის დროის ინგლისიც და კანადაც კი, თუ კა ისინი თავაზიანად შეიწვევს მონაწილეობა მიეღოთ მანხეტენის პროექტში, მაინც არ იყვნენ დაშვებული ატომური ბუშაობის წარმოების მრავალ ფაზაზე, ხოლო იმავ დროს საბჭოთა კავშირს არც კი ეცნობა წარმოებული ბუშაობის შესახებ.

ასეთი ზომის ახლა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ მუშაობის  
დასაწყისშივე განზრახული იყო შეერთებული შტატების მონოპოლიის  
განვრმობა ატომური მრეწველობის დარგში ომის შემდგომი პერიო-  
დისათვის და მისი, როგორც სამხედრო მონოპოლიის, შენარჩუნება.  
ფიზიკის თეორეტიკოსმა ოლვინ მ. ვეინზბერგმა, რომელიც მონაწი-  
ლეობდა მანქეტენის ოლქის მშენებლობაში, დაახასიათა, თუ რამ-  
დენად აფერხებდა ახალი ტექნიკის განვითარებას ატომური ენერ-  
გიის დარგში მუშაობის დასაიღუმლოება; მან განაცხადა, რომ  
ომის დასასრულს შეერთებულ შტატებში ხუთმეტიოდე კაცი თუ  
მოიპოვებოდა ისეთი, რომლებსაც ატომური ენერგიის გამომზა-  
ვებელი ქარხნის ასაგებად საჭირო ცოდნა ჰქონდა.

შეცნიერულმა კვლევებმა ატომგულური შეცნიერების დარგში კიდევ მეტი ზიანი განიცადა. დოქტორმა ფრანკ ბ. ჯუიტმა, მეცნიერების ნაციონალური აკადემიის პრეზიდენტმა, რომელიც ორმოცი წლის მანძილზე მუშაობდა კვლევითი სამუშაოების ხელმძღვანელად ბელის ლაბორატორიაში, სენატის კომისიაში გამოთქვა ასრი, რომელსაც ბევრი მისი კოლეგა იჩიარებს:

„ჩვენი წვლილი თეორიული მონაცემების ძირითად მარაგში (მეტნივრული ინფორმაციის დარგში) იყო მკირე—მეტად მნიშვნე-

ლოვანი, მაგრამ, მიუხედავად აშისა, მცირე . . — და ჩვენ რომ შეარტო ამ ჩვენი თეორიული ცოდნისაგან კუთხილიყავით დამოკიდებული, მაშინ ჩვენ არასოდეს არ გვექნებოდა ატოზური ბომბია».

ამის შესაბამისად ის ამტკიცებდა, რომ საერთაშორისო მეცნიერული ინფორმაციის გაცვლის აკრძალვა შეერთებულ შტატებს უფრო შეტაც ავნებს, ვიდრე სხვა ქვეყნებს, რამდენადაც ამერიკელი მეცნიერები ასეთი ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლით სხვებზე შეტს მოიგებდნენო.

შეერთებული შტატების სამხედრო პოლიტიკის ხელმძღვანელები სთვლიან, რომ მეცნიერებამ უკვე შეასრულა მის წინაშე მდგომი ამოცანა, უჩვენა რა მათ თუ როგორ მზადდება ატომური ბომბი და, რომ ამიტომ მეცნიერულ ცოდნათა დაგროვება შეიძლება მსხვერ-ბლად შეეწიროს ატომური ბომბის მარაგის დაგროვების საქმეს.

მეცნიერების დასაიდუმლოება შეერთებულ შტატებში მეტწილად მიის წარმოადგენს. ატომის დაყოფის და ამ დაყოფის გამომწვევი პროცესების მეცნიერული საფუძვლები ისევე კარგადაა ცნობილი სხვა ქვეყნებშიაც, როგორც თვით შეერთებულ შტატებში; დასაიდუმლოებას შეუძლია ხელი შეუშალოს სხვა ქვეყნებს, მიიღონ ინფორმაცია ამა თუ იმ სპეციალური დანადგარებისა და იმ ზოგიერთი ტექ-ნიკური ოპერაციების შესახებ, რომლებიც შეერთებული შტატების ატომურ მრეწველობაშია გამოყენებული და რაც კომერციული საი-დუმლოების ნაირსახეობად შეიძლება ჩაითვალოს; ეს კი ჩეულებრივია მონოპოლიზირებულ და კარტელიზირებულ მრეწველობაში. ჩაირამ მდენადვე მოსალოდნელია, რომ სხვა ქვეყნებიც, თავის შერივ, უას ეტყვიან შეერთებულ შტატებს მიაწოდონ მას ინფორ-მაცია ატომური ენერგიის დარაში მუშაობის შესახებ, ყოველ შემ-თხევაში ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების საიდუმლოება.

მაგრამ უფრო ხშირად ის შეზღუდვები, რომლებსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში იყენებენ როგორც საშუალებას ატომიკის სხვა ქვეყნებში განვითარების შესაფერხებლად, უმნიშვნელო როლს თამაშობენ. მეორე მხრივ, ისინი (ეს შეზღუდვები) საზიანოა, რადგან ხელს უშლიან ამერიკის მრეწველობაში ატომიკის გამოყენებას და მით გასაქანს არ აძლევენ დამოუკადებელ ღონისძიებებს აშ მიმართულებით. ეს ოფიციალური შეზღუდვები ძალიან წააგავს იმ შეზღუდვებს, რომლებსაც მონოპოლიები და კარტელები მიმართავენ, რათა აღკვეთონ კონკურენცია იმ მწარმოებელთა მხრივ, რომ-

სუბიც მათთან კონპირებული არ არიან, ან რომლებიც მთოლოდ ახლახან გამოჩნდნენ მრეწველობის იმავე დარგში.

ატომური ენერგიის შესახებ არსებული კანონის თანახმად, შეზღუდვები ინფორმაციის დარგში მხოლოდ ატომურ ბომბს კი არ შეეხება, არამედ ვრცელდება ცნობებზედაც შლად ნივთიერებათა წარმოებისა და ატომური ენერგიის გამომუშავებისათვის მათი გამოყენების შესახებ.

ეს კანონი მთლიანად ატომულის თითქმის მთელ თანამედროვე მეცნიერებას და ტექნიკას მოიცავს, როგორც ამას აცხადებენ თავის წიგნში — „კონტროლი ატომურ ენერგიაზე“ — ნიუმანი და მილერი; პირველად მრავალი საუკუნის მანძილზე (თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ შუასაუკუნოებრივი რეაქციის ვითარებას, რომელიც შექმნილი იყო ნაცისტურ-ფაშისტური რეჟიმების შიერ) სახელმწიფო მიისწრაფვის აკრძალოს იმ მეცნიერულ მონაცემებთა განხილვა, რომლებიც სამყაროს კანონებს შეეხება. ისინი ამ პოლიტიკას განიხილავენ როგორც საფრთხეს დემოკრატიული უფლებებისათვის და როგორც „წინამორბედს იმ მრავალი შემზღვეული ცნობებისა, რომლებიც მომივალში შეიქმნებაო“.

ატომიკის დასაიდუმლოებას ოფიციალურად ამართლებენ იქით, რომ თითქოს შეუძლებელია ატომური მრეწველობის ორ ნაწილად გაყოფა: ერთი ნაწილი ემსახურებოდეს სამხედრო იარაღის შექმნას და მეორე კი სამშვიდობო სამრეწველო მიზნებს. ამის მიზეზი, როგორც ამტკიცებენ, იმაში მდგომარეობს, რომ ძირითადი ტექნიკური პროცესები, რომლებიც ატომური ბომბების შემადგენელი ელემენტების დასამზადებლად გამოიყენება, ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ატომური ენერგიის გამოსამუშავებლად და იმ მეორადი თანაწარმის მისაღებად, რომლებიც მრეწველობასა და თერაპიაში პოულობენ გამოყენებას.

ასეთი მსჯელობის ძირითადი ნაკლი იგივეა, რაც ახასიათებდა იმ ზოგადი ცნების განსაზღვრას, თითქოს ნაციონალური უშიშროება შედეგია უპირატესობისა შეიარაღების დარგში და თითქოს დამოკიდებულიც არ არის ამა თუ იმ სახელმწიფოს უხეირო საგარეო პოლიტიკისაგან. მაგრამ ამ მსჯელობაში არის კიდევ მეორე დიდი შეუსაბამობა.

სავსებით სამართლიანია, რომ იგივე ნედლეული და იგივე პროცესები, რომლებიც გამოიყენება ატომური ბომბის დამზადებისათვის, გარდა მისი საბოლოო შეკრების პროცესისა, შეიძლება გამოყენებულ

იქნას ენერგიის მისაღებ რეაქტორშიც. კიდევ მეტი, ასეთი რეაქტორი თავისი მუშაობის პროცესში, თავის მხრივ, შექმნის შლადი მასალის ახალ რაოდენობას, რომელიც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო ატომური იარაღის აღჭურვისათვის. მაგრამ ეს ახალი დებულება როდია.

სამრეწველო პროცესის უდიდესი ნაწილი, ისე როგორც ჩენი შრეწველობის მთელი სტრუქტურა, შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სამხედრო, ისე სამშვიდობო მიზნებისათვის.

ჩენ რომ ამ-ლოგიკას გავყვეთ, მაშინ საჭირო იქნებოდა მუდმივი სამხედრო კონტროლის დაწესება მრეწველობის ისეთ დარგებზედაც კი, როგორიცაა ფოლადისასხმელი, ქიმიური და მრავალი სხვა მრეწველობა. ფოლადი შეიძლება გამოიყენოთ როგორც საცხოვრებელი სახლისათვის, ისე სამხედრო გეზისათვის; ძრავი, რომელიც ფრენის ზებგერითი სიჩქარის განვითარების საშუალებას იძლევა, შეიძლება გამოიყენოთ როგორც ატომური ბომბების გადასახიდავად, ისე სამშვიდობო ტრანსპორტისათვის. ეს ურთიერთსაწინააღმდეგო პოტენციური შესაძლებლობანი საზოგადოდ დამახასიათებელია ეკონომიკის ყოველი დარგისათვის.

თუ შეზღუდვათა პოლიტიკის გასამართლებლად მიუთითებენ ატომური ბომბის არნახულ ნგრევით უნარიანობაზე, მაშინ ჩენც შეგვიძლია მივუთითოთ, რომ ქიმიური და ბაქტერიოლოგიური მომწამლავი ნივთიერებები, რომლებიც, მათი მასობრივი გამოყენების დროს, პოტენციურად იმდენადვე საზიანო — განუწყვეტლივ ხმარებაშია როგორც მრეწველობაში, ისე სამედიცინო კვლევების დროს, მაგრამ არავინ ამბობს, რომ საჭიროა აიკრძალოს შესაბამისი ქიმიური და საფუარი სამრეწველო პროცესებით.

მართლაც, ძნელი გასაგებია თუ რატომ არ შეიძლება აიკრძალოს, როგორც ამის წინადაღებას იძლევა საბჭოთა კავშირი, შლადი ნივთიერების გამოყენება ნგრევის მიზნებისათვის საერთაშორისო შეთანხმების დადგებით და ყოველ ქვეყანაში ჩვეულებრივ შინაურ ღონისძიებათა ჩატარებით (როგორც ეს თავის დროშე იყო აკრძალული) და ამავე დროს ნებადართულ იქნას ატომური ენერგიის ფართო გამოყენება სამრეწველო მიზნებისათვის.

## სამხედრო მონაცოლებია

ზემოთქმულთან დაკავშირებით იბადება კითხვა — ატომიკის ასეთი მექანიზმი დასაიდუმლოების დაცვაში ხომ არ თამაშობენ არსებით

როლს სხვა რაიშე მოსაზრებები ატომური ბომბის საიდუმლოების რაც შეიძლება მეტი ნნით უზრუნველყოფის გარდა. აქ შეუძლებელია იმ დასკუნამდე არ მივიღეთ, რომ ეს მოსაზრებები უნდა ვეძიოთ მისწრაფებაში—ყველგან შეფერხებულ იქნას მრეწველობაში ატომური ენერგიის გამოყენება, არ მიეცეს ახალ ტექნიკას საშუალება თავი დააღწიოს სამხედრო საპყრობილეს, რომელშიაც ის დამწყვდეულია შეერთებულ შტატებში, ერთი სიტყვით, მისწრაფებაში—ახალი მრეწველობა შენარჩუნებულ იქნას არა მარტო როგორც მონოპოლია, არამედ როგორც ამერიკის შეერთებული შტატების კამხედრო მონოპოლია.

გარდა აშეარა სამხედრო მოსაზრებასა, ასეთ პოლიტიკას მთელი რიცი უპირატესობანი აქვს მონოპოლისტური გაერთიანებისათვის. სანამ ატომიკა მიმართულია მთლილ ატომური იარაღის დამზადებისაკენ, მანამ დროებით ისსნება წარმოების დამატებითი „ჭარბი“ ნაყოფიერების საკითხი, რომელიც წარმოშვა ატომური ენერგიის აღმოჩენამ და აგრეთვე დროებით აცილებულია არსებული კაპიტალისტური დაბანდების პოტენციური კონკურენტი. სამხედრო გამოყენებისა და მსხვილი მონოპოლიების სპეციფიკური ინტერესების იგივეობა ამჟამად სძლევს ზოგიერთ უფრო სუსტ და მათ მეტოქე კაპიტალისტური წრეების მოთხოვნილებებს,—მათაც მიეცეს თავისუფალი საშუალება ისარგებლონ ატომური „საიდუმლოებით“, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მრეწველობაში.

თუ ატომიკის მილიტარიზაციასა და მსხვილი მონოპოლიების ინტერესებს შორის ასეთი აშეარა იგივეობა არსებობს, ამის მიზეზია, რაც ქვევით უფრო დაწვრილებით იქნება ნაჩვენები, ატომიკის გადახლართვა ამერიკის საგარეო პოლიტიკასთან. ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულმა საგარეო პოლიტიკამ, რომელმაც თავი იჩინა ომის დამავრებისთანავე, განსაზღვრა ატომიკის სამხედრო სტატუსი, ხოლო ატომური ყუმბარების მზრდადი მარაგი, თავის მხრივ, ასაზრდოებდა ამ პოლიტიკას.

ატომური დიპლომატია ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიის მთავარ შემადგენელ ნაწილად იქცა. „ნიუ-იორკ გერალდ ტრამუნიც“ კი, 1948 წლის არჩევნების შემდეგ, ფარისევლურად ჩიოდა, რომ შეერთებული შტატები მივიღა იმ მდგომარეობამდე, როდესაც „ატომური ბომბი ფაქტიურად წარმოადგენს ჩვენი სამხედრო პოლიტიკის ძირითად საფუძველს, სანქციის იმ ძირითად ქახეს, რომელიც ჩვენს ხელთ იმყოფება ჩვენი უშიშროების უზრუნ-

ველსაყოფად და ჩვენი პოლიტიკის გასატარებლად“. ამ პირმოთნუ გაზეთმა განაცხადა, რომ მას მეტად აწუხებს ასეთი მღვმარეობა, ვინაიდან „სანქციები“ ატომური ბომბების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ დიდი ყოვმანის შემდეგ, რამდენადაც გადაწყვეტილება,—პირელად ჩვენ მივმართოთ ამ იარაღს,—სინიდის ქენჯნა გამოიწვევს, თუ არაფრის ვიტყეით განკითხვაზე, რომლის შესახებ ფიქრიც კი შიშა გვგვრის.

შიუხედავად ასეთი „სინიდის ქენჯნისა“, რამაც შეერთებულ შტატებს ხელი არ შეუშალა ატომური ბომბები ჩამოეყარა იაპონიაში<sup>1</sup>), უცილებელ ფაქტად რჩება დებულება, რომ ატომური ბომბი წარმოადგენს შეერთებული შტატების პოლიტიკის საფუძველს,—პოლიტიკისა, რომელიც განუყრელია ომის დამთავრებისთანავე დაწყებული ხელახალი შეიარაღების პროცესისაგან.

მანამ, სანამ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა უცვლელი რჩება, ატომიკა არ იქნება გამოყენებული სამშეიდობო მიზნებისათვის. მის შესაბამისად მის სამრეწველო გამოყენებას, სამხედრო გამოყენებასთან შედარებით, მხოლოდ მეორეხარისხოვანი აღგილი ექნება; მასთან აღგილი ექნება მის განუწყვეტილ შეკვეცას და განვითარდება მხოლოდ ნაწილობრივ და ისიც მეტად ვიწრო ფარგლებში. ეს დებულება, როგორც ძირითადი პოლიტიკა, განმტკიცებულია კონგრესის კანონით, რომლითაც შექმნილია ატომური ენერგიის კომისია.

„ამით ცხადდება, როგორც შეერთებული შტატების ხალხის პოლიტიკის ძირითადი საფუძველი, რომ მუშაობა ატომური ენერგიის მიღებისა და გამოყენების დარგში, რაც ყოველთვის ემსახურებოდა

<sup>1</sup> თავის წიგნში „ატომური ენერგიის აღმოჩენის სამხედრო და პოლიტიკური შედეგები“ ბლეკეტმა, როგორც მე ვფიქრობ, მოგვცა უცილებელი დასაბუთება იმისა, რომ შეერთებული შტატები, როცა მიმართავდა ატომურ ბომბს, მიზნად ისახავდა იაპონიასთან ომის დამთავრებას მანამ, სანამ საბჭოთა არმიები შესძლებდნენ მონაწილეობა მიეღოთ იაპონიის მთავრი კუნძულების შტურმში და მით უსრუცელებელოთ იაპონიის ერთიანი და არა ცალმხრივი ცოკუპაცია. კიდევ მეტი, ეს განმარტება საესებით შეესაბამება მთელ იმ სტრატეგიას, რომელსაც მიმართავდა შეერთებული შტატები ომის წარმოებისას წყნარ ოკეანეში და რომელიც მიმართული იყო ამერიკელთა განუყოფელი ბატონობის დამყარებისაკენ იაპონიაში და შორეულ აღმოსავლეთში. როგორც საქმეთა შემდგომმა მსვლელობამ გვიჩვენა, ატომური ბომბის გამანადგურებელი აფეთქებით ხიროსიმაში იწყება ატომური დიპლომატიისა და „ცივი მოსი“ ეპოქა, მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

(ავტორის შენიშვნა)

საზოგადოებრივი თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის უმაღლეს მიზანს, პრაქტიკული მიზანშეწონილობის საზოგადოებში, მიმართული უნდა იყოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაუმჯობესების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო დონის აწევის, კერძო ინიციატივის პირობებში თავისუფალი კონკურენციის განმტკიცებისა და მთელს მსოფლიოში მშვიდობიანობის დაცვისაკენ“.

მანამ, სანამ, „უმაღლეს მიზანად“ ატომური ენერგიის სამხედრო მიზნებისათვის გამოყენება რჩება, ყველა დანარჩენ დასახელებულ მიზანს შეუძლია მხოლოდ შემთხვევითი ან არავითარი როლიც არ ითამაშოს შეერთებული შტატების ატომგულის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საქმეში. ეს აზრი ნათლადაა გამოთქმული იმ პირების მიერ, რომლებიც განსაზღვრავენ ამერიკის შეერთებული შტატების ატომურ პოლიტიკას ატომური ენერგიის შესახებ. კანონმდებლობის განხილვისას სენატორმა იუდუინ დ. მილიკინმა, კონგრესის გაერთიანებული კომისიის წევრმა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ატომური ენერგიის სამშვიდობო გამოყენება მსხვერპლად უნდა შეწიროს ატომური იარაღის ინტერესებსთ:

„ჩემი შეხედულებით, ამ დარგებისაკენ ჩვენი ძალები ჩვენ მანამ არ უნდა მივმართოთ, სანამ უმნიშვნელოვანესი მოსაზრებაზი გვიკარნახებენ მოვეკურათ ატომურ ენერგიას, როგორც საომარ იარაღს, იმიტომ რომ მედიცინის მოთხოვნილებათა დაკამაყოფილება არსებული საშუალებით ჯერ კიდევ არასაკმაო. რაც შეეხება სამრეწველო ენერგიას, ეს მოთხოვნილებები ამჟამად კმაყოფილდება, შეიძლება ითქვას, უფრო ნაკლებად ეჭვექტური ხერხებით. უშიშროების ინტერესების შესაბამისად, იქნებ შეიძლებოდა ეს საქმე, ერთი-ორი წლით, ჩაგვეკეტა ისე, რომ ჩვენ სიცოცხლეს მშვიდობიანობის პირობებში მატერიალური ზიანი არ განეცადა?“

სენატორმა ტომ კონელიმ, აგრეთვე კონგრესის გაერთიანებული კომისიის წევრმა, რომლის მოვალეობას შეადგენს თვალყური ადევნოს, რომ ატომური პოლიტიკა საზოგადოების ინტერესების შესაბამისად ტარდებოდეს, ატომური ენერგიის შესახებ კანონპროექტის განხილვისას განაცხადა:

„რასაკეირველია, ატომური ენერგიის გამოყენება ენერგეტიკული მრეწველობისათვის, ჩემი აზრით, მეორე, ან მესამე, ან მეოთხეარისხოვანი საქმეა. მე არ ვფიქრობ, რომ მის ასეთ გამოყენებას ამჟამად მნიშვნელობა ჰქონდეს“.

„შიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ წრეებში ბევრს ლაპარაკობენ მშეიღებრივი მისამართის დროს ატომური ენერგიის გამოყენების პიტინციურ შესაძლებლობებზე, პრატიკულად მას ყოველთვის ძირითად სამხედრო თვალსაზრისით უდგებიან. ოფიციალურ აჩვარიშში, რომელიც 1949 წლის იანვარში გამოქვეყნდა, ნათქეაშია:

„ატომური ენერგიის კომისიის საქმიანობაში ძირითადი კურადღება კვლავინდებურად ატომური იარაღის წარმოებასა და გაუმჯობესებას ეთმობოდა. ამ საქმიანობას ახასიათებს სამი ძირითადი ასპექტი: შლად ნივთიერებათა წარმოება, იარაღის შემადგენელი ელემენტების დამზადება და იარაღის ახალი პროექტების დამუშავება. მნიშვნელოვანი წარმატებები კველა ამ მიმართულებით მიღწეულ იქნა 1948 წ. ფართოედება შლადი მასალების დამზადება. გამოკიდილი და დამაქმაყოფილებლად კონბილი იქნა შეიარაღებათა ახალი სახეები, რომელთა გაუჭრობესება ამჟამადაც გრძელდება“...

ატომური ენერგიის კომისიის ცნობილან, მისი გეგმების შესახებ მომავალი ორი წლისათვის, ნათლად ჩანს, რომ ახალი კვლევები მიმართული იქნება ატომური იარაღის გაუმჯობესებისაკენ და შლადი მასალების წარმოების მოცულობის გადაზებისაკენ: მუშაობა საცდელ რეაქტორზე ელექტროენერგიის მისალებად კვლავინდებურად ითვლება მეორეხარისხოვან ან, როგორც სენატორმა კონელიმ თქვა, „მეორეხარისხოვან“ ამოცანად. მართლაც, აშერიკის ხელკვენებისა და მეცნიერების აკადემიაში, 1949 წლის თებერვალში, თავის მოკლე მოხსენებაში რეაქტორზე მუშაობის პროგრამის შესახებ, კომისიის წევრმა რობერტ ა. ბერიერმა უკანასკნელი ადგილი მიაკუთვნა საცდელ ენერგორეაქტორს, ოთხ მთავარ პროექტს შორის, რომელთაგან დანარჩენი სამი მიზნად ისახავს უმთავრესად შლადი მასალების წარმოების მოცულობის გაფართოებას ატომური იარაღისათვის, რომლებიც ატომური ენერგიით მოიყვანება მოძრაობაში.

ომის დროს და ახალი ობისათვის მზადების პერიოდში მრეწველობის ამ ახალი დარგის ასეთი ძალდატანებითი დასახიჩრების შედეგად საფუძველი ჩაეყარა მისი განვითარების უალრესად ურთიერთსაჭინაალმდევო თრ ხაზს. ერთი მხრივ, მძლავრი ბიძგი მიიღო ატომური ენერგიის სამხედრო გამოყენებაშ, რაც იწვევს მეცნიერების და ტექნიკის მხოლოდ ერთთი დარგის განვითარებას. მეორე მხრივ, მეტად შენელდა მეცნიერების განვითარება მთლიანად და მისი გამოყენება ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ფართო დარგებში.

ატომური მეცნიერება შეერთებულ შტატებში სამხედრო ტუვეა, რომელსაც დროგამოშვებით უფლებას აძლევენ სასეირნოდ გარეთ გამოვიდეს, მაგრამ ისიც უმჭველად ზედამხედველის თანხლებით.

შეიძლება შეგვეკითხონ, რამდენად განსხვავებული იქნებოდა შედეგები, რომ ის ძალლონე, რომელიც ამჟამად მიმართულია ატომური იარაღის არსენალის შესავსებად, მოხმარებოდა სასარგებლო ენერგიის შექმნას. ცხადია, რომ მრეწველობა, რომლის მთავარი პროდუქტი ელექტროენერგიაა და არა ატომური ბომბი, მკვეთრად განსხვავდებოდა იმ მრეწველობისაგან, რომელშიაც მთავარ პროდუქტს ატომური ბომბი წარმოადგენს, ხოლო პოტენციურად სასარგებლო ენერგია კი ქვენაწარმს. თანამედროვე ვითარებაში კი ატომური მრეწველობა ისეთივე სახის რჩება, როგორიც ის იყო თავის საწყის შტადიაში,— მასობრივი განადგურების საშუალებათა წარმოებად.

---

### მონოკოლიზის მიზანი ატოზი

**ქ**რომგულური შეცნიერების განვითარების ახლანდელ ეტაპზე, როცა შესაძლებელი ხდება შისი ფართო გამოყენება სამშენებლო მიზნებისათვის, სამხედრო დამზადებანი ისედაც საკმაოდ სერიოზულია სხვა შემსრულდავ ფაქტორებს შორის. ატოზია, რომელიც დაიბადა როგორც ერთ-ერთი დარგი სამხედრო მრეწველობისა, იმთავითვე შეიქმნა მონოკოლიზის განსაკუთრებული მზრუნველობის ობიექტები. თავის სტატუსის მიხედვით ის წარმოადგენს თავდაცვის საშუალებათა ნაკიონალურ მრეწველობას, რომელიც წარმოადგენს ფედერალური მთავრობის საკუთრებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ მრეწველობაში მთავარ როლს, როგორც უშუალია კონტროლის საკითხში, ისე წამყვანი პოლიტიკის საკითხში, ასრულებენ მსხვილი კორპორაციები.

#### თირიზის — „მთავრობის საკუთრების“ მიზანმიზნება

არის ცდები, საქმე მოგეაჩენონ ისე, თითქოს ატომური მრეწველობის თანამედროვე ფედერალური სტატუსი წარმოადგენს რაღაც სოციალიზმის მაგვარს.

ჩეაქციული წრეების მიერ ამ ლეგენდის გავრცელება შეიძლება ავსნათ სხვადასხვა მოსაზრებებით. ზოგიერთი კაპიტალისტი უკმაყოფილო იმით, რომ ატომურ მრეწველობაში ისინი ან მეორეხარისხოვან როლს თამაშობენ, ან სრულიად გამორიცხული არიან ამ მრეწველობიდან. ზოგიერთი დარგის წარმოების მეპატრონენი უშუალო სარგებელს მოელიან ატომურ მრეწველობაში შემოღებული ახალი ტექნიკის გამოყენებიდან, მაგრამ უკმაყოფილონი არიან, რომ მის გამოყენებას სამხედრო შეზღუდვები უშლიან ხელს; ამავე დროს, ზოგი კი, პირიქრთ, ცდილობს არ დაუშვიას ახალი ტექნიკის გამოყენება, რადგან ის კონკურენციას გაუწევდა იშ ტექნიკას, რომელიც უკვე.

გამოყენებული და მონოპოლიზირებულია მათ მიერ. გარდა ამისა და სხვა მოტივებისა, რომელთაც ჰქონდება ეკონომიკის ცალკეული დარგებისა და მონოპოლისტების დაჯგუფებათა შორის, დიდ როლს თამაშობს აგრეთვე ტრადიციული პოზიცია „კერძო მწარმოებელთა“, რომელიც პრინციპულად წინააღმდეგი არიან ყოველგვარი სახელმწიფოებრივი საკუთრებისა, თუნდაც ის ნაკარნახევი იყოს კერძო მონოპოლიების სპეციფიკური ინტერესებით.

შაგრამ ძირითადად მსხვილი კაპიტალის პოზიცია ატომურ მრეწველობაში სახელმწიფოებრივი საკუთრების შესახებ, საშუალო ქონების კაპიტალისტთა და ტრესტების გარეშე მყოფ მრეწველთა პოზიციისაგან განსაკუთრებით ნაკარნახევია, უპირველეს ყოვლისა, მოგების თვალსაზრისით. როდესაც დიუიმ ისეთი პრობლემის თავგამოდებულ ძებნაში, რომლის წამოყენება გამარჯვებას მოუტანდა მას 1948 წლის არჩევნებში, ალძრა საკითხი ატომური მრეწველობის კერძო მესაკუთრეთა ხელში გადაცემის შესახებ, მან ისეთი გამოხმაურება ჰქონდა, რომ ამის შემდეგ მას არასღროს აღარ დაუყენებია ეს საკითხი. ასეთი გამოძახილი ნაწილობრივ პოლიტიკური ხასიათის მოსაზრებებით აიხსნებოდა. ამ მოთხოვნილებამ ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია ორპარტიულ კოალიციაში, რომელიც მხარს უჭერდა აგრესიულ საგარეო პოლიტიკას, რამაც თავისი გამოსახულება ჰქონდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხრივ ატომურ ენერგიაზე კონტროლის ამერიკულ გეგმაში, რომლის თანახმად ატომური ქარხნები უნდა გადასცემოდა კერძო საკუთრებაში „საერთაშორისო“ სააგენტოს. ამასთან დაკავშირებით გაზიეთმა „ნიუ-იორკ-ტაიმსმა“ შეახურა დიუი იმისათვის, რომ მან „ბარუხის გეგმა“ დაიკიტა.

შაგრამ არის კიდევ მეორე უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, რომ ასე ციფად შეხვდნენ დიუის წინასარჩევნო წინადადებას. მსხვილი კაპიტალისთვის მეტად ხელსაყრელია, რომ ატომური მრეწველობა მთავრობის საკუთრებას წარმოადგენს მისი განვითარების ახლადელ სტადიაში, როკა აუარებელი ხარჯებია საჭირო და როცა წინასწარ კვლევით მუშაობაზე და ცდებზე დაბანდებული თანხები უშუალო მოგებას არ იძლევა. მთავრობა ეწევა მთელ ხარჯებს და თავის თავზე ღებულობს მთელ რისკს. ამავე დროს მონოპოლისტები ძირითად ატომურ დანადგარებს განაგებენ, როგორც დირექტორები და მოიჯარადენი. გარდა დირექტორების ჯამაგირებისა და იმ მოგებისა, რომელსაც ისინი სახელმწიფო წარმოების მოწყობილო-

ბით შომარაგებიდან ღებულობენ, მონოპოლისტები უახლოვდებიან ატომურ საიდუმლოებებს, აგრძოვებენ ატომური პარტენტების საკუთარ არქივებს და იძნენ უშუალო გამოკლილებას, რაც შეიძლება გამოიყენონ პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში.

1948 წლის ნოემბერში შემდგარ ახალი ინგლისის შსხეილ მრეწველთა საბჭოს სხდომაზე, შეერთებული შტატების ატომური კომისიის თავმჯდომარე ლილიენტალი, ეხებოდა რა მთავრობის ატომური პროექტის შესასრულებლად ჩატარებულ სამუშაოთა უდიდესი ნაწილის „კერძო მრეწველთა გამგებლობაში“ გადაცემას, ასე აჯამებდა იმ სარგებელს, რომელსაც ღებულობდნენ ისინი:

„.... ამ კერძო ფირმებს არავითარი ფინანსური პასუხისმგებლობა არ ეყისრებათ და კომერციული გაგებით არავითარ მოგებას არ ღებულობენ. არსებითად მათი დაბანდება გამოიხატება ადამიანებით, შათი მოსამსახურეებით. ეს ადამიანები სპეციალისტები ხდებიან ახალი ტექნიკის დარგში, იძნენ ახალ კოდნას, რომელიც გამოიყენება მათი კომპანიების საწარმოო საქმიანობაში. ამ ფირმებს მომავლისათვის შეუძლია იგარაუდონ შემოსავალი შათი ახალი კვალიფიკაციიდან“...

ლილიენტალი ნაწილობრივ იმასაც ამჟღავნებს, თუ რატომ არც ერთ კერძო კონცერნს ჯერ არ უკისრია თავის ხარჯზე ატომური ქვაბის აგება:

„ამ რეაქტორების აგება წარმოადგენს საკუთარ დენარი ექსპერიმენტს. მშენებლობის საკუთარ ხარჯებს უნდა დაუმატეოთ ის ხარჯები, რომლებიც გაშეული უნდა იქნას აუცილებელი უშიშროებისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო ღონისძიებათა განსახორციელებლად, ხარჯები სითბოს გადამცემ და ქიმიურ პროცესების მოწყობილობათა ასაგებად, ხარჯები საწარმოო მომსახურე და მკელევართა პერსონალის შესანახად, ხარჯები საცხოვრებელ ბინებზე და წარმოებაში ჩაბმულ პირთა საყოფაცხოვრებო მომსახურების საშუალებებზე. რეაქტორის საერთო ღირებულება მიახლოებით 50 მილიონ დოლარამდე იღწევს. მოგების პერსპექტივები მეტად შორეულია, ხოლო ფულადი რისკი არც ისე მცირე“.

ატომური ენერგიის კომისიის სამრეწველო კონსულტატიურმა ჯგუფმა თავის ანგარიშში, რომელიც გამოქვეყნებული იყო 1948 წლის დეკემბერში, გამოსთქვა რა უკმაყოფილება მთელი რიგი ცალკე საკითხების შესახებ, მასთან მოიწონა პოლიტიკის ძირითადი მიმართულება. მასზე „საერთოდ კეთილსასიამოვნო შთაბეჭდილება

დატოვა კერძო კონტრაქტების წესით მუშაობის ჩატარების პრაქტიკამ, „მთავრობის ორგანოების შეუქმნელად“. მის უმნიშვნელოვანების რეკომენდაციებს შორის იყო წინადადება სახელმწიფოებრივი საკუთრების არსებული სისტემის ფარგლებში კერძო კონცერნთა მონაწილეობის საგრძობო გაზრდის შესახებ, რათა ატომური მრეწველობა მომავალში მთლიანად კერძო საკუთრებაში იქნას გადაკერძული, ხოლო უახლოეს მომავალში ნაწილობრივ გადაეცეს.

სამრეწველო კონსულტატიურ ჯგუფს, საქმის სრული ცოდნით შეეძლო ელაპარაკა მონოპოლიის შესახებ. ჯგუფის წევრები შეადგენენ იმ ძირითად კორპორაციებს, რომლებიც ბატონობენ ნავთის და ქიმიურ მრეწველობაში, საზოგადოებრივი მოხმარების წარმოებებში და ორთქლდანადგართა მოწყობილობის წარმოებაში<sup>1)</sup>.

ხელისუფლებასა და მონოპოლიებს შორის სრული თანხმობა არსებობს მომავლისათვის საერთო ორიენტაციის საკითხებშიაც. მრეწველებს სიამოვნებით მოჰყავთ ციტატები ლილინგრალის იმ მოხსენებიდან, რომელიც მან გააკეთა კონსულტატიური ჯგუფის პირველ სხდომაზე:

<sup>1)</sup> ანგარიშის წარმოდგენის დროს სამრეწველო კონსულტატიურ ჯგუფში შედიოდნენ: ჯეიმს უ. პარკერი, „დეტროიტ ედისონ კომპანიის“ დირექტორი—ჯგუფის თავმჯდომარე; რობერტ ე. უილსონი, „სტანდარტ ჰოილ კომპანიი თუ ინდიანას“ მმართველობის თავმჯდომარე; ბრიუს კ. ბრაუნი, იმავე კომპანიის ფიცე-პრეზიდენტი; ჰუსტავ ეგლიოფი „იუნივერსალ ოილ პროდაქტს კომპანიის“ კვლევითი განყოფილების დირექტორი; ეს კომპანია წარმოადგენს „შელლ უნიონ ჰიულ კორპორეიშინ“ და „სტანდარტ ჰოილ კომპანიი თუ კალიფორნია“ ფირმების განშტოებას; პოლ ლ. ფუტი „გალფ რესერჩ ენდ დეველოპმენტ კომპანიის“ ციცეპრეზიდენტი; აიზეკ ხარტერი—უფროსი (ერთ-ერთი უძლიერესი ორთქლის ქვაბების შშემცემული კომპანიის)—„ბაბკოკ ენ ვილკოს ტიუბ კომპანიის“ გამგეობის თავმჯდომარე ჯერად ჩ. ხანსეიკერი—თავმჯდომარე ნაციონალური კონსულტატორი კომისრისა ავიაციის საქმეში და ფირმების „შელ ოილ კომპანიი“, „სპერი კორპორეიშინ“, „გულიორ ტაირ ენდ რაბბერ“ და „მაკეროუ ნილლ პაბლიშინგ კომპანიის“ დირექტორი; გაბრიელ ო. ვესენაუერ—მდინარე ტენნესის ობის სარეკორდსტრუქციისა სამმართველოს ენერგეტიკული განყოფილების დირექტორი. ანგარიშის წარდგენამდე ჯგუფის შემადგენლობიდან სახელმწიფო სამსახურში გადასვლის გამო, გავიდა ორი წევრი: დონალდ ფ. კარპენტერ, „რემინგტონ არმს კომპანიის“ (დიჟიონის კონცერნის განშტოების) ვიცე-პრეზიდენტი, რომელმაც დარკავა თავმჯდომარის ადვილი სამხედრო კომიტეტში ატომური ენერგიის საკითხში, საიდანაც შემდეგში გადაიყვანეს შეიარაღების კომიტეტის თავმჯდომარედ; ოლივერ ე. ბაკლი, „ბელლ ტელეფონ ლებორატორის“ კომპანიის დირექტორი, რომელიც ტრუმენის მიერ დანიშნულ იქნა ატომური ენერგიის გენერალური კონსულტატიური კომიტეტის თავმჯდომარედ.

(შენიშვნა ავტორის).

„ატომური ენერგიის კომისიის ძირითად ამოცანას და აკრეთვე მეტე არ მეპარება ამაში) კონვრესის მიზანს შეადგენს ამჟამად მთავრობის მიერ დაკანონებული მონოპოლიის რაც შეიძლება მალე უარყოფა, როგორც კი ნაციონალური თავდაცვის მოსახლებანი მოგვცემს ამის საშუალებას... ჩენ უნდა გამოენახოთ მრეწველობის ამ საქმეში ჩაბმის საშუალება, ე. ი. გამოვნახოთ მოგების მიღების საშუალება“.

ზემოხენებულ სიტყვაში ახალი ინგლისის მრეწველთა თათბირზე ატომური ენერგიის კოშისის თავმჯდომარებ ხელმძღვანელი პოლიტიკა განსაზღვრა „როგორც ატომური მრეწველობის თანდათან ბითი დღნაციონალიზაციის პროცესი“, რომელიც თანდათან განხორციელდება ყოველ იმ შემთხვევაში, როცა კი გამოჩნდება ზოგიერთი სახელმწიფო საწარმოების კერძო საკუთრებაში გადაცემის შესაძლებლობა.

არ გვგონია, რომ კერძო მონოპოლისტებს რაიმე სერიოზული საფუძველი ჰქონდეს საქმისადმი ასეთი მიღმომის წინააღმდეგ, იმიტომ რომ საექვოა, რომ მრეწველები დაინტერესებულნი იყვნენ ამ ახალი მრეწველობის რომელიმე სექტორის შეძენით მანამ, სანამ ის მომგებიან საქმედ არ გადაიქცევა. ფაქტიურად ამ მოვლენას უკვე აქვს ადგილი ატომური მრეწველობის ზოგიერთ მნიშვნელოვან დარგში, მაგალითად, ისეთ დარგში, როგორიცაა ნედლეულის მოპოვება—ატომური მრეწველობის ეს დარგი დასაწყისიდანვე კერძო მრეწველთა ხელშია, —ხოლო ამ ბოლო ხანებში ისეთ დარგშიაც, როგორიცაა იზოტოპების გამომუშავება და განაწილება მრეწველობისა და საგამოყელებო მიზნებისათვის და გამოსხივების აღმომჩენ ხელსაწყოთა დამზადება. გარდა ამისა, მთელ რივ მსხვილ კორპორაციებს დიდ მოგებას აძლევს ატომური მრეწველობისათვის და ახალი ტექნიკის განვითარებისათვის საჭირო დანადგარების დაზადება, კონსტრუქტება და მოწტავი<sup>1)</sup>.

— 1) ზემოხსიერებულ მოხსენებაში ლილიენტალი იმ ფაქტს იმოწმებდა, რომ პლუტონიუმისა და ურანის ატომგულური საწვავიდან მიღების ახალი ქიმიური პროცესების განვითარების პრობლემა უკვე გადაცემული ჰქონდა დასამუშავებლად ფინანსებს: „კუნერლ ელექტრიკს“, „სტანდარტ პოილ დეველოპმენტ კომპანის“, „კარბაიდ ენდ კარბონ კემიკლს კორპორეიშნს“, „კელლე კორპორეიცის“, „გლობუნაქს კომპანის“, „მონსანტო კემიკლ კომპანის“. და დაუკმიყელ კომპანიის. შემდეგში ატომური მრეწველობის ეს დარგი გადაეცა დიგბონს. სხვა ახალ პროექტთა ორის, რომლებიც კერძო მონოპოლიებს გადაეცა, შედის რეკტორებზე მუშაობა სამოგვცელო ენერგიის მისაღებად ნიუ-ნოლსის ლაბორატორიაში სკენერტელში, რომელსაც არის კომისიის დავალებით „დენერლ ელექტრიკ“ განაკვებს.

(ავტორის შენიშვნა).

მსხვილ კაპიტალს არ აქვს არსებითი მიზეზი ეშინოდეს იმის, რომ „დენაციონალიზაციის“ პროცესის განმავლობაში ეს ახალი მრეწველობა გადაცილდება დაწესებულ საზღვრებს და არსებულ კორპორაციათა ინტერესებს შეეჯახება. ძირითადი მონოპოლისტური ჯგუფები მთავარ როლს თამაშობენ ატომური კონტროლის ორგანობის პოლიტიკის განსაზღვრაში. და თუ მათ ხანდახან საჭიროდ მიაჩნიათ გამოამზევონ „სოციალისტური საფრთხობელა“ იმისათვის, რომ გარკვეულ მიზნებს მიაღწიონ, — ეს, ეკონომიკის, პოლიტიკის და დიპლომატიის ისტორიაში, ახალ რაიმეს სრულებითაც არ წარმოადგენს.

### კონტროლი, რომელსაც მონოპოლიები ახორციელავთ

სახელმწიფოებრივი საკუთრების მნიშვნელობის საკითხის შესახებ ლიბერალურ წრეებში ან კეთილი სურვილები არსებობს, ანდა სრული გაუგებრობა. ზემოთ ციტირებულ წიგნში ნიუმანის და მილერის ატომურ მრეწველობას აღწერენ როგორც სოციალიზმის რაღაც კუნძულს, თავისუფალი კერძო საქმიანობის ზღვაში, და გამოსთვევამენ იმედს, რომ ის მიგვიყვანს კაპიტალისტური სისტემის ძირითად ცვლილებებამდე. ავტორები ბევრ ნაკლს ხედავენ ამერიკის ატომურ პოლიტიკაში; განსაკუთრებით კრიტიკულად აფასებენ მის სამხედრო ხასიათს და მეტისმეტ შეზღუდვებს „თავდაცვის ინტერესებისათვის“. ზოგჯერ ისინი ააშკარავებენ იმ სხვადასხვა ხერხს, რომელთა საშუალებით მსხვილი კორპორაციები თავისთვის განსაკუთრებულ სარგებლობას ჰქონდებენ. მაგრამ რატომდაც ისინი გვერდს უვლიან ძირითად ფაქტს ატომური ენერგიის კონტროლის საკითხში — იმ კონტროლის, რომელიც დაწესებულია მასზე კერძო მონოპოლიების შიერ.

ეს პროცესი ჯერ კიდევ დაუმთავრებელია და ჯერჯერობით საბოლოოდ მოგვარებული არ არის ურთიერთდამოკიდებულება სხვადასხვა მონოპოლისტურ ჯგუფებს შორის მრეწველობის ამ ახალ დარგში. მაგრამ, მიუხედავად სახელმწიფოებრივი საკუთრების გარეგნულობისა, კერძო კაპიტალისტური დაჯგუფებები თავის ქმედით კონტროლს ახორციელებს, თუმცა ბრძოლა ბატონობისათვის მათ შორის გრძელდება.

ასეთი მდგომარეობა ამ ახალი მრეწველობის ორგანიზაციაში დამახასიათებელი იყო მისთვის, მისი ჩასახვის მომენტიდანვე. ჯერ კიდევ მაშინაც, როცა სამხედრო ხელისუფალნი უშუალო კონტროლს

უწევდნენ შანხეტენის ოლქის მუშაობას, ხოლო ქარხანა და მისი მოწყობილობა მხადდებოდა, პრაქტიკულად სამუშაოთა ყველა სახე ტარდებოდა კონტრაქტების საფუძველზე, რომლებიც სათანადო მონოპოლიებთან იყო დადგებული. ეს შეეხებოდა ყველაზე უმნიშვნელოვანესი სახის სამუშაოებს: თეორიულ გაბოკლევებს, გაუმჯობესებებს და ახალ ტექნიკურ წამოწყებებს, ურანის ტექნოლოგიას, სხვა მასალების მიღებას ატომური ქვაბებისა და გამყოფი დანადგარების კონსტრუირებასა და აგებას, სპეციალური აპარატურის დაპროექტებასა და დამზადებას. ამ სამუშაოებში მონაწილეთა კორპორაციების სია წარმოადგენს უმსხვილესი კაპიტალისტური ფირმების სრულ ჩამოთვლას.

საპასუხისმგებლო კომიტეტებში—პოლიტიკურში, კონსულტატიურში და ოპერატიულში—შედიოდნენ უმთავრესად, ამავე კორპორაციების კვლევით განყოფილებათა დირექტორები და მმართველები. იმ სამხედრო ხელმძღვანელებთან და უნივერსიტეტების რექტორებთან ერთად, რომელთა ფინანსირებას იგივე მონიპოლისტური ჯგუფები აწარმოებენ, ამავე წესით დაკომპლექტებული იყო უმნიშვნელოვანესი კომიტეტები, რომლებიც განსაზღვრავენ პოლიტიკის ძირითად საკითხებს, ჯგუფები, რომლებიც აღენენ წინადაღებათა პროექტებს საშინაო და საგარეო კონტროლის საკითხებზე, და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიაში ატომურ საკითხებზე<sup>1</sup>.

1. კომიტეტში, რომელიც შექნილი იყო სამხედრო სამინისტროს მიერ ატა-მური ენგრეგის დარგში შინაური კანონმდებლობის საკითხებზე რეკომენდაციების გამოსამუშავებლად, თავმჯდომარის—სამხედრო მინისტრის სტიმონის—მარადი-ლედ იყო ჯორჯ ლ. ხარისონი, „ნიუ-იორკ ლაიტ ინშუარენს კომპანის“ პრეზი-დენტი; ეს კომპანია შედის „დიდ ოთხეულში“. ტექნიკურ კონსულტატიურ კომი-ტეტში, რომლის მიერაც იყო შედგენილი ლილიენტრას მოხსენება საერთაშო-რისო კონტროლის საკითხებზე, შედიოდნენ: ჩესლოვან რ. ბარნარდი „ნიუ-იორკ ბეჭ-ტელეფონ კომპანის“ პრეზიდენტი; ჩარლზ ა. ტომასი, „მონსანტო კემიკლ კომპანიას“ ვიცე-პრეზიდენტი; გაროლდ ა. უინი „დჯენერალ ელექტრიკის“ ვიცე-პრეზიდენტი.

ამერიკის შეერთებული შტატებიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიაში ატომური ენგრეგის საკითხებზე, გარდა დელეგაციის ხელმძღვანელის ბერნარდ ბარუხისა, შედიოდნენ შემდეგი პირები: ჯონ სენკონი, საბანკო ფირ-მის „ლიმან ბრაზერსის“ კომპანიონი; ფერდინანდ ებერშტადტი, წარსულში სა-ბანკორ სახლის „დილონ, რიდის“ კომპანიონი, ამჟამად კი ცნობილი მაკლერი, უმთავრესად ქიმიურ მრეწველობაში; ფრედ სირლს-უმცროსი, მორგანის „ნიუ-მონტ მაინნეგ კომპანიის“ პრეზიდენტი. გარდა ამისა, დელეგაცია სარგებლობდა ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობის „იმ მესვეურთა რჩევით, რომ-ლებაც მიღწევები წოიპოვეს ატომური ენერგიის საკითხებში“ („ნიუ-იორკ ტაიმსი“ 1946 წ. 19 მაისი).

(ავტორის შენიშვნა).

გონილისტური კონტროლის ხასიათი, რომელიც ატომურ ყუმბარაზე მუშაობის პროცესში დაწესდა, ოდნავ თუ შეიცვალა ომის შემდეგ, თუმცა მოხდა ზოგიერთი ცვლილებები მრეწველობის ამ დარგში კორპორაციებისა და მონიკოლისტური ჯგუფების შეფარდებით მდგომარეობაში და მრეწველობის ხელმძღვანელი ორგანოების პირად შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებებთან ერთად.

ასე, მაგალითად, პლუტონიუმის წარმოების დარგში, სახელმწიფო საწარმოებში, სამხედრო კონტროლიდან სამოქალაქო კონტროლზე გადასვლისას, მთავარი როლი, რომელიც ომის პერიოდში ქიმიურ ტრესტს „დიუპონს“ ეკუთვნოდა, „ჯენერალ ელექტრიკის“ ფირმის ხელში გადავიდა.

კვლევებისა და ტექნიკურ გაუმჯობესებათა დარგში თვალსაჩინო როლი ხელთ იგდეს ნავთობის ტრესტებმა; ნედლეულის დარგში სპილენძის გამომშუშავებელი მონიკოლიები კვლავინდებურად ინარჩუნებენ წამყვან მდგომარეობას და განაგრძობენ თვალსაჩინო როლის თამაშს ატომურ მრეწველობაში მთლიანად. როდესაც ბერნარდ ბარუხმა, რომელმაც „ჯუოლ-სტრიტის მაჟლერის კარიერა დაიწყო გუგენხეიმისა და მორგანის სპილენძის მაღაროების აქციების სპეკულაციით, დასტოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ატომურ კომისიაში ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მთავარი ხელმძღვანელის პოსტი; მაშინ ის ამ პოსტზე შესცვალა გენერალ ფრედერიკ ოსბორნმა, რომელსაც ოჯახური კავშირი აქვს ფირმასთან „ფელპს ლოჯ კოპპერ კორპორეიშნ“. სამრეწველო კონსულტატიური ჯგუფის წევრები თითქო ამოწერილია პურას ფირმის ცნობარის ფურცლებიდან, სადაც მათი სახელები ჩამოთვლილია უმსხვილესი კომპანიების ყველაზე უფრო ცნობილ დირექტორებს შორის, ხოლო ნედლეულის საკითხებზე კონსულტატიური კომიტეტის შემადგენლობა<sup>1)</sup> არსებითად სპილენძისა და სხვა ფერად ლითონთა მსოფლიო კარტელის დირექტორატის შემადგენლობას შეესაბამება.

<sup>1</sup> შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისიასთან არსებული კონსულტატიური კომიტეტი წიაღის კვლევებისა და დამუშავების საკითხებშე 1948 წლის ბოლოსათვის შემდეგი პირებისაგან შედგებოდა: კომიტეტის თავმჯდომარე—დონალდ ხ. მაკლაფლინი, „ხოუმსტეიკ მაინინგ კომპანის“ პრეზიდენტი, ამ უკანასკნელ ხანებში ფირმის „ინტერნეიშნლ ნიკელის“ დირექტორად დანიშნული; გ. ტერპლ ბრიდუმენ, სამთო ინჟინერი ფირმის „გუგენხეიმ ბრაზერსის“ კონსულტანტი, ენტონ გრეი, „კენიკოტკოპპერ კომპანის“ მთავარი გეოლოგი; რობერტ ე. მაკონნელი, „როკანა კორპორეიშნის“ (აფრიკის სპილენძი) ყოფილი დირექტორი. ჯემს ალენი.

ამერიკის შეერთებული შტატების ატომურ მრეწველობაში გაბა-  
ტონებული კერძო მონოპოლიები, უშუალოდ თავისი კორპორაციე-  
ბის მაერ სახლვარვარეთ გაბმული კავშირის მეშვეობით, თავის  
გავლენას სხვა ქვეყნების ატომურ მრეწველობაზედაც ავრცელებენ.  
ინგლისის უდიდესშია ტრესტია „იმპერიალ კემიკლ ინდასტრიზმა“  
თავიდანკე ხელთ იგდო ინგლისში წამყვანი როლი ატომური ენერ-  
გიის საკითხების დარგში და კონცერნ „დიუპონთან“ ერთად,  
რომელთანაც ის დაკავშირებულია საერთაშორისო ქიმიური კარ-  
ტელის მეშვეობით, ხელმძღვანელ როლს თამაშობს კანადაში წარმო-  
ებულ საქმიანობაში, ატომური ენერგიის საკითხებზე. ამ საქმიანო-  
ბაში დიდ მონაწილეობას იღებენ ჯენერალ ელექტრიკის ფილია-  
ლები ინგლისსა და კანადაში. კარტელის უჩინარი ქსელი, მისი ურთუ-  
ლესი განშტოებებით, მთელს მსოფლიოში მოიცავს ატომური ენერ-  
გიის მრეწველობის ყოველ დარგს, ნედლეულის მოპოვების ჩათვლით.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და კანადის ბლოკი,  
რომელიც შეეცადა მთელი მსოფლიოსათვის მოეხვია ამერიკის კონ-  
ტროლის სისტემა ატომურ ენერგიაზე, წარმოადგენს იმ მონოპოლის-  
ტურ კომპანიათა გაერთიანების დიპლომატიურ პარალელს, რომ-  
ლებიც უმთავრეს როლს თამაშობენ თავიანთი ქვეყნების ატომურ  
მრეწველობაში და მიისწრაფებიან ხელთ იგდონ კონტროლი ურანის  
საბადოებზე მთელს მსოფლიოში. კეშმარიტი წარმოდგენა ატომის  
ენერგიაზე კონტროლის ამერიკული გეგმის შესახებ შეიძლება შევქ-  
მნათ არა ამერიკის მესვეურთა იმ მაღალფარდოვანი ფრაზების  
მიხედვით, რომლებითაც ეს გეგმა წარუდგინეს მთელს მსოფლიოს,  
არამედ იმ კორპორაციული შიდა კავშირის შესწავლით, რომელიც  
არსებობს მარეწველობის ამ ახალ დარგში.

მონოპოლიების ფინანსიური და სამრეწველო ძლიერების განსაკუ-  
თრებული კონცენტრაციის ახლანდელ ვითარებაში, განსაკუთრებით  
მაშინ, როცა კაპიტალისტური სახელმწიფო ასე მჭიდროდ დაჭასკვ-  
რი; ფრედ სირლს უფროსი, „ნიუმონტ მაინინგ კორპორეიშნის“, პრეზიდენტი  
რომელიც გამოხატავს მორგანის ინტერესებს ფერადი ლითონის, უმთავრესად  
სპილენძის დარგში; უილბორ ჯადონი, მელონისა და მორგანის საერთო მფლო-  
ბელობაში შეიმუშავდა „ტექსას გალფ სალფარ კომპანიას“ ვიცე-პრეზიდენტი;  
ევირეტ ლ. დევოილერი, გოლოგი მენავთობე, ბანკირთა სახლის „დილონ, რი-  
დის“ წარმომადგენელი; კლაიდ ვილიამს, წინათ „იუნაიტედსტერიტს სტილ კორპო-  
რეიშენ-ის“ რეგისტრაციაზე და ამჟამად კი ბატელლის სახელობის  
ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ეს ინსტიტუტი ერთ-ერთი უდიდესი კერძო კვლე-  
ვითი ორგანიზაცია (ავტორის შენიშვნა).

წილი აღმოჩნდა მთავარ გონიპოლისტურ გაერთიანებებთან, მეტად თუ ნაკლებად გარდაუვალი ხდება ატომიკის დაუყოვნებლევი მონოპოლიზაცია მსხვილი კაპიტალის მიერ. იგივე მოხდა მრეწველობის სხვა დარგებშიაც, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა, მაგალითად, ისეთ დარგებში, როგორიცაა მსუბუქ ლითონთა და შენადნობთა მრეწველობა, სინთეტიკურ მასალათა წარმოება და სხვ.

ატომიკამ თავისი არსებობა დაიწყო როგორც ერთბაშად კონკურენტირებულმა გიგანტურმა მრეწველობამ; მაგრამ ის მეტად დიდია, თუ მას გავზომავთ იმ კაპიტალისტური დაბანდებით, რომლიდანაც ამ უახლოეს დროში შეუძლებელია რაიმე შემოსავალს ველოდეთ, და მეტად ფართოა თავისი გამოყენებით ეკონომიკაში, რომ შესაძლო იყოს მისი მართვა მონოპოლისტური კაპიტალის ერთიანი ცენტრიდან. ის ფაქტი, რომ ატომურმა მრეწველობამ წმინდა სამხედრო მიზნების გარეშეც თავისი არსებობა მთავრობის მეურვეობით დაიწყო, მოწმობს სახელმწიფოს მონოპოლიების მიერ საზოგადოების უამრავი ეკონომიკური და ტექნიკური ძალების სულ უფრო და უფრო მეტ გამოყენებას თავისი ინტერესებისათვის, ექსპლოატირების მიზნით.

ეს, უპირველეს ყოვლისა, მაჩვენებელია კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი სისუსტის —ზრდადი ანტაგონიზმისა წარმოებათა საშუალებებზე კერძო საკუთრებისა და მისი საზოგადოებრივი, ე. ი. ხალხის საკეთილდღეოდ გამოყენების უდიდეს პოტენციურ შესაძლებლობათა შორის. სახელმწიფო აპარატის, როგორც მონოპოლისტური კაპიტალის დანართის, უუნჯვის ზრდა მხოლოდ აძლიერებს წინააღმდეგობას, ვინაიდან სახელმწიფოს ძალაუფლება სულ უფრო აშეარად იქცევა მონოპოლისტური კაპიტალის იარაღად, რაც აფერხებს და გამორიცხავს საწარმოო ძალების საზოგადოებრივ გამოყენებას.

ასეთ მდგომარეობას უკიდურესი რეაქციული პოლიტიკური შედეგები მოჰყვება. ამის მაგალითს წარმოადგენს ატომიკის სრული მილიტარიზაცია აგრესიული იმპერიალისტური პოლიტიკის ინტერესებისათვის, რომელიც თუმციმ მონოპოლისტური კაპიტალის ნაშეერია. ატომიკის „ნაციონალიზაცია“ წარმოადგენს იმ ფასადს, რომლის უკან, სახელმწიფოს საკუთრების გარეგნობით, მონოპოლიები კონტროლს უწევენ მრეწველობის ამ ახალ დარგს, განაგებენ მას და იყენებენ თავისი შემდგომი გაძლიერებისა და ექსპანსიისათვის.

„ნაციონალიზაციის“ ეს სახე ტიპიურია სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალისათვის, რომლის ზრდა ფაშიზმის ძირითად თავისებურებას წარმოადგენს.

ასეთ პირობებში მრეწველობის სრულმა გაერთიანებამ—დაწყებული ნედლეულიდან საბოლოო პროდუქტამდე,—და მისმა უაღრესმა ცენტრალიზაციამ სახელმწიფოებრივი საკუთრების ჩარჩოებში გაუადვილეს მონოპოლიებს თავისი კონტროლი დაწესებინათ მრეწველობის ამ ახალ დარგზე. შესაბამისად, ახალი მრეწველობის სამხედრო სტატუსიდან გამომდინარე, ყველა შემზღვდვილი ფაქტორი შემაფერხებელ გავლენას ემთხვევა.

ამ დამატებით დაბრკოლებებს, რომლებიც სამხედრო შეიღუდვებთან ერთად მოქმედებენ, სერიოზული შედეგები მოჰყვება. ატომიკის შემდგომი განვითარება ძირითადად განისაზღვრება ახლა არა მარტო მისი სამხედრო გამოყენებით, არამედ მთავარ მონოპოლისტურ დაჯგუფებათა სპეციფიკური ინტერესებით, რომლებიც კონტროლს უწევენ ახალ მრეწველობას და რომლებიც ბატონობენ საზოგადოდ ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს სექტორებში. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ სახელმწიფოებრივი საკუთრება ჰქმნის „ჩეინის ფარდას“, რომელიც ახალი ტექნიკის განვითარებას რომელიმე მის სტადიაზე დაიცავს კერძო მონოპოლისტთა დამაბრკოლებელი გავლენისაგან.

## ბრძოლა ურანისათვის

ატომური ენერგიის დამუშავების ზოგიერთი დარგი მთლიანად დატოვებულ იქნა კერძო მონოპოლიების ხელში სახელმწიფოებრივი გარეგნობით მათი რაიმე შენიღბვის გარეშე. თუ განზე დავტოვებთ იზოტოპების გამოყენების მეორეხარისხოვან სახეებს და ინსტრუმენტების წარმოებას, მაშინ ატომური მრეწველობის უმნიშვნელო განეს დარგს, რომელიც იმთავითვე გამორიცხული იყო სახელმწიფოს საკუთრების სფეროდან, ნედლეულის მოპოვება წარმოადგენს.

ურანის მაღანთა მოპოვება და მათი პირველადი დამუშავება შეერთებულ შტატებში მთლიანად კერძო კომპანიების ხელშია. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ურანის მაღანი იწყებს გამოსელას შახტებიდან და მაღაროებიდან, ის ატომური ენერგიის კომისიის კონტროლის ქვეშ ექცევა. საზღვარგარეთიდან შემოტანილ ურანის მაღანებს, რომელიც შეერთებული შტატების ატომურ მრეწველობაში

ვთავარ როლს თამაშობს, ყიდულობს და აკონტროლებს ქომისია, მაგრამ მათი მოპოვება კი მისი პირდაპირი კონტროლის გარეშეა.

ამრიგად მოპოვებული და პოტენციური ატომური ნედლეულის მთელი დარგი რჩება სამთომადნო ტრესტების ხელში, რომლებიც ამჟამად ფერად ლითონთა ერთგვარ საერთაშორისო კარტელს შეადგენენ. რამდენადაც ურანი, ჩვეულებრივ, გვხვდება სხვა ლითონებთან ერთად, ისეთებთან, მაგალითად, როგორიცაა სპილენძი, ვერცხლი, კობალტი და ვანადიუმი, ამ ლითონებისათვის არსებული მონოპოლისტური კონტროლი ავტომატურად ვრცელდება ატომურ ნედლეულზედაც.

ჯერჯერობით ახალი მრეწველობის მხოლოდ ეს მნიშვნელოვანი დარგი წარმოადგენს იმ ერთ-ერთ მსხვილ დარგს, რომელსაც დაუყოვნებლივ მოაქვს დიდი სარგებელი; და—რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია—კონტროლი ამ სტრატეგიულ ნედლეულზე დიდ უპირატესობას ანიჭებს მონოპოლისტურ ჯგუფს, რომელიც ცდილობს ვაბატონებული მდგომარეობა დაიკავოს მთელს მრეწველობაში.

როგორც კარგადაა ცნობილი, კონტროლი უმნიშვნელოვანესი სახის ნედლეულზე არა მარტო მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს საერთაშორისო დიპლომატიის დარგში, არამედ გავლენას ახდენს ეკონომიკის მნიშვნელოვან დარგებსა და მონოპოლიების ზრდის პროცესის დაჩქარებაზე. ასეთი კონტროლი თამაშობს სოლის როლს, რომლის მეშვეობით ესა თუ ის მონოპოლისტური დაჯგუფება შეიძრება მრეწველობის ინ დარგებში, რომლებიც დამოკიდებულია ნედლეულისაგან, იქნება ეს საწვავი თუ მზა პროდუქციის საჭირო ინგრედიენტები.

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ მორგანის ჯგუფის წიმყვანი როლი სპილენძის მრეწველობაში, რაც ხელს უწყობს ამ ჯგუფის ვაბატონებული მდგომარეობის განმტკიცებას ელექტრომოწყობილობის (სპილენძის მთავარი მომხმარებლის) წარმოების დარგში და აგრეთვე როკფელერის ჯგუფის წამყვანი მდგომარეობა ნაკონის მრეწველობაში, რომლის პროდუქციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის მრავალი დარგისათვის.

ატომური ენერგიის და მისი თანამაწარმის გამოყენების პოტენციური შესაძლებლობანი,—როგორც ახალი სახის სათბობისა და ახალი სახის ტექნიკის, რომელთაც უპირატესობა აქვთ ჩვეულებრივ მაწვავი მასალის არსებული ტექნიკის წინაშე, —მრეწველობის მრავალ დარგზე ვრცელდება.

აშშ მიერ კონგოში შესყიდულ ურანის მაღნებზე წარმოებულმა კონტროლმა აშ შტატებს საშუალება მისცა აფრიკაში შესაჭრელად. ეს კონტროლი კიდევ უფრო ძლიერდება სამხრეთ აფრიკაში და კონტინენტის სხვა ნაწილებში აშ შტატების მიერ ურანის მაღნების ინტენსიური ძიებით. ამერიკული „მეცნიერული“ ექსპედიციები ფაქტურად თავისუფლად დათარეშობენ აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში და დედამიწის სხვა რაიონებში „მეოცე საუკუნის ოქროს“ ძებნაში.

ამერიკის შეერთებული შტატების კონტროლი კანადის ურანზე, რომელსაც ისინი ახორციელებენ კანადის მთავრობის დახმარებით, არა თუ უსპობს კანადას ენერგიის დიდ წყაროს მომავალში, არამედ კიდევაც განამტკიცებს შეერთებული შტატების მონოპოლიების ისედაც გაბატონებულ მდგომარეობას კანადაში. კანადის მთავრობისადა ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიების გაერთიანებული საქმიანობა ხელს უწყობს ამერიკული კონტროლის განმტკიცებას გრაფიტის, ბერილიუმისა და სხვა ნედლეულის წარმოებაზე. რომლებიც ატომურ მრეწველობაში იხმარება.

მარტო ურანზე კონტროლიც კი საშუალებას აძლევს მთავარ მონოპოლისტურ ჯგუფებს მტკიცედ გამაგრდნენ ატომურ მრეწველობაში, თუნდაც მათ ძლიერი პოზიციებიც არ ეყიროთ ამ მრეწველობის სახელმწიფოებრივ სექტორში. მაგრამ სწორედ ამ ჯგუფებს უკვე უკავიათ ატომურ მრეწველობაში უმნიშვნელოვანესი პოზიციები. ასე, მაგალითად, მორგანის ჯგუფი, რომელიც აწარმოებს სპალენძის ტრესტის დახმარებით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ურანის წარმოებაში მსოფლიო ბატონობის ხელში ჩასაგდებად, განაგებს ყველაზე მნიშვნელოვან ატომურ დანადგარებსაც „ჯენერალ ელექტრიკის“ ფირმის მეშვეობით; ამავე დროს როკფელერის ჯგუფმა, რომლის ნავთობის მონოპოლიას ენერგიის ახალი წყარო ემუქრება, სხვაზე უფრო ძრე ხელთ იგდო ატომური ენერგიის დარგში წამყვანი მდგომარეობა კვლევით სამუშაოებში და ტექნიკის განვითარების საქმეში.

მელონის ჯგუფს თავისი მრავალი განშტოებებით მსუბუქ ლითონების, ნავთობისა და ელექტრომოწყობილობის მრეწველობებში, აგრეთვე ჰყავს თავისი გამოჩენილი წარმომადგენლები ქვლევითო მუშაობისა და ატომური ტექნიკის განვითარების დარგში. „დიუპონის“ ქიმიურმა ტრესტმა, შემფოთებულმა ატომის ენერგიასთან დაკავშირებით ახალი მასალებისა და ქიმიური პროცესების აღმო-

ჩენებით და აგრეთვე ახალი, არსებულთან შედერებით უფრო სრულყოფილი, ფეთქადი მას ალების კონკურენციით, დააგროვა პრაქტიკული ცნობებისა და წარმოების საიდუმლოებათა თითქმის ყველაზე მეტი მარაგი, შედეგად იმ წამყვანი როლისა, რომელსაც ის ასრულებდა მანხეტენის ოლქის სამუშაოთა შესრულებაში და შედეგად მონაწილეობისა თანამედროვე მრიწვევე ლობის მრავალ უმნიშვნელოვანეს საწარმოო პროცესებში. კორპორაცია „იუნიონ კარბონ ენდ კარბაიდი“, რომელიც ქიმიური პროდუქტების გამომუშავების დარგში მხოლოდ ტრესტ „დიუპონს“ ჩამოუვარდება, არა თუ მარტო ატომური ნედლეულის მოპოვებას აწარმოებს, არამედ ატომურ დანადგარებსაც განაგებს ოკრიჯში (ლენესი), სადაც განლაგებულია ატომური ნედლეულის გადამმუშავებელი ყველაზე მნიშვნელოვანი ქარხნები.

### მონოკოლია აზერებს ატომიკის განვითარებას

როდესაც საქმეში ისეთი მსხვილი მონოპოლიები ჩაერევიან, როგორიცაა ზემოაღნიშნული მონოპოლიები, მათი ძირითადი მისწრაფება იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეუშალონ ახალი ტექნიკის გამოყენებას მრეწველობაში. რადგან ატომიკის ფართო გამოყენებას, მისი განვითარების თანამედროვე დონეზედაც კი, შეუძლია სულ მოკლე ხანში ისეთი მდგომარეობა შექმნას, რომ ელექტროსადგურებსა და ზოგიერთ სხვა სამრეწველო საწარმოებში არსებული კაპიტალური მოწყობილობა მოძველებული აღმოჩნდეს, ნავთისა და ნახშირის, როგორც საწვავის, გამოყენება, შეიძლება არახელსაყრელი გახდეს, მნიშვნელოვნად შემცირდეს ტვირთვადაზიდვის მოცულობა და წარმოშვას მონოპოლიებს შორის არსებული დამკიდებულების სისტემის ნგრევის საშიშროება.

ეს უჩრ ნიშნავს, რომ ყოველგვარი პროგრესი ატომიკის დარგში აეტომატურად გამორიცხულია; ეს ნიშნავს მხოლოდ, რომ მონოპოლიები აფერხებენ ახალი ტექნიკის გამოყენებას და რომ შისი განვითარება უთანაბროდ მიმდინარეობს გაბატონებული მონოპოლისტური ჯგუფების სპეციფიკური ინტერესების შესაბამისად და მათ შორის კონკურენციის შედეგად.

ატომიკის სწრაფმა განვითარებამ სხვა ქვეყნებში,—მაგალითად, საბჭოთა კავშირში, სადაც არ არსებობს მსგავსი დაბრკოლებები, — შეიძლება ისეთი ახალი წამოწყებები გამოიწვიოს, რომლებიც სხვა პირობებში დღის სინათლესაც უერ იხილავდნენ.

არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიონ ატომიკის ტექნიკური განვითარება შეერთებულ შტატებში, მიუხედავად მისი მილიტარიზაციისა და მონოპოლიების მხრით ეფექტური კონტროლისა. ორი ომის შუალედში, უმთავრესად ამერიკული კაპიტალის დახმარებით, გერმანიაში, რომელიც ისწრაფოდა იმ სტრატეგიული ნედლეულით თვითზრუნველყოფისაქენ, რაც მას ხელიდან გამოეცალა პირველი მსოფლიო ომის შედეგად, — ყველა ქვეყანას გაასჭრო სინთეტიკური პროდუქტების (კაუჩუკის, ქიმიური ნაწარმის, ნავთობის) წარმოების ტექნიკის მხრივ. მსგავსად ამისა, სინთეტიკური კაუჩუკის გამომუშავების განვითარება შეერთებულ შტატებში დაიწყო მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც იაპონელებმა გზა გადაკეტეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბუნებრივი კაუჩუკისაკენ. ამავე დროს შეერთებული შტატები ჩამორჩებიან ქვანახშირიდან სინთეტიკური ნავთისა და გაზის და ბიტუმოვანი ფიქლებიდან თხიერი საწვავის მიღების ტექნიკაში; ჩამორჩებიან იმიტომ, რომ საწავო ტრესტები აფერხებენ ახალი ტექნიკის განვითარებას მრეწველობის ამ დარგებში და ამავე დროს ცდილობენ ხელთ იგდონ კონტროლი პატენტებზე. მეორე მხრივ, ნავთობიდან სინთეტიკური ქიმიური პროდუქტების გამომუშავება წამყვან აღგილს იკავებს ომის შემდეგ ნავთის ტრესტების საქმიანობაში, რომლებიც მეტოქეობას უწევენ არსებულ ქიმიურ ტრესტებს.

ეს მაგალითები გვიჩვენებენ, თუ რა გავლენას ახდენენ ურთიერთ მეტოქე მონოპოლიები ახალი ტექნიკის ფართოდ გამოყენებაზე.

ამერიკა მოქმედებს მეტად მძღვარი ფაქტორების ერთობლიობა, რაც შემზღვეულ ტენდენციებს აძლიერებს შეერთებული შტატების ატომურ მრეწველობაში. პირველ ამ ფაქტორთაგანს, როგორც დავინახეთ, წარმოადგენს ამერიკული იმპერიალიზმის აგრესიული და ექსპანსიონური პოლიტიკა, რომელიც ხელუბლებლად სტოკებს ატომური მრეწველობის მილიტარიზაციის. მეორე მხრივ, სახელმწიფოებრივი საკუთრებისა და ატომურ მრეწველობაზე კერძო მოწოდებლისტური კონტროლის შეხამება აძლიერებს სამხედრო პოლიტიკისა და მონოპოლისტური კაპიტალის დამმუხრუჭებელ გავლენას. დაბოლოს, მეტად მძაფრი ეკონომიკური კრიზისის საშიშროების მოლოდინის წინაშე, სამხედრო ატომური მრეწველობა ამჟამად ხელს უწყობს გამფანტოს შიში მრეწველობის „მოჭარბებულ“ ნაყოფუნარიანობაზე, რომლითაც ჩვეულებრივ შეპყრობილია კაპიტალისტური წრეები.

ამ ფაქტორთა ერთობლიობა ნათელდებოდა, თუ ატომური მრეწველობის შენარჩუნება, სახელმწიფო მრეწველობის სახით რატომ აღმოჩნდა ყველაზე ეფექტურ საშუალებად მსხვილ მონოპოლისტთა კონტროლისათვეის. როგორც სახელმწიფო მრეწველობის საკუთრების არსებობა, ისე ატომური იარაღის დამზადება ატომიკის თანამედროვე მდგომარეობაში აკტიურობილებს მონოპოლიების ძირითად მოთხოვნილებებს.

სახელმწიფო მრეწველება ამებად ეკონომიურად ხელსაყრდნია მონოპოლიებისათვის იმიტომ, რომ, როგორც ზემოთ განვითარეთ, მთავრობა თავის თავზე ღებულობს რისკს – აწარმოოს კაპიტალის დაბანდება ატომური მრეწველობის განვითარების საწყის, ექსპერიმენტულ და ყველაზე უფრო ძვირ სტადიაზე. გარდა მისა, მთელი ყურადღების მიპყრობა ატომური იარაღის დამზადების საკითხებს, კაყოფილებას იწვევს მონოპოლიებში კიდევ შემდეგი ორი მიზეზის გამო: ის ენერგიის ამ ახალ წყაროს საშუალებას არ აძლევს მეტოქეობა გაუშიოს ენერგეტიკული მრეწველობის არსებულ კერძო მესაკუთრე საწარმოებს და აფერხებს საწარმოო უნარიანობის ზრდას, რაც, უმცველია, მოჰყვებოდა მრეწველობაში ატომიკის ფართო გამოყენებას.

კერძო კაპიტალი ყოველი ძალით შეებრძოლებოდა სახელმწიფო მრეწველობის საკუთრებას, რომ მას მეტოქეობა გაეწია არსებული კაპიტალური დაბანდებებისათვის. ზოგიერთ კაპიტალისტურ წრეებში ფაქტურად იზრდება მისწრაფება, რათა ატომური მრეწველობა მთავრობამ კერძო საკუთრებაში გადასცეს. ეს, ერთის ხერივ, მონოპოლისტურ დაჯგუფებათა შორის მრეწველობის ამ ახალ დარგში კონტროლისათვის ბძოლის შედეგია, მაგრამ, ამავე დროს, ეს ნათელდებოდს ზოგიერთ მრეწველობა დაინტერესებას ივ ახალი პროცესების გამოყენებაში, რომლებიც ატომურ მრეწველობაშია დამუშავებული. ცხადია, რომ ატომური მრეწველობის ან ამ მრეწველობის უმნიშვნელოვანები დარგების კერძო მფლობელობაში გადასვლის ტენდენცია უფრო იჩენს თავს, როცა ახალი ტექნიკა იქნება ათვისებული, ატომური საწვავის წარმოების ლირებულება შემცირდება და ატომური ენერგიის პრაქტიკულ გამოყენებას ტექნიკაში გვერდს აღარ აუქცივენ. ჯერჯერობით კი წინააღმდეგობანი, რომლებიც მრეწველობის ამ უმნიშვნელოვანები დარგის სახელმწიფო მრეწველობის საკუთრებაში ყოფნას-თანაა დაკავშირებული, თავს არ იჩენნ მანამ, სანამ ეს მრეწველობა სახელმწიფო მრეწველობის წარმოადგენს, და სანამ ის მხო-

ლოდ ატომური იარაღის დამზადებას ემსახურება, რამდენადაც შეიარაღება არც ბაზარზე გამოაქვთ და არც მრეწველობისათვის შეადგენს მოხმარების პროდუქტის ან წარმოების საშუალებას. საბოლოო ანგარიშში აგრესიული პოლიტიკა, რომელმაც ატომური იარაღი თავის სამსახურში ჩააყენა, თვით წარმოადგენს ამერიკული მონოპოლისტური კაპიტალის ექსპანსიონურ მისწრაფებათა პროდუქტს, რომელიც მსოფლიო მასშტაბით ვრცელდება.

სწორედ ყველა ამ ფაქტორის შეხამებით აიხსნება ატომიკის „ნაციონალიზაცია“, მიუხედავად იმ კონფლიქტებისა და წინააღმდეგობებისა, რომლებიც განუწყვეტლივ თავს იჩენენ მრეწველობის ამ დარგში. ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატების ატომური მრეწველობა წარმოადგენს რეაქციის სამსახურში მყოფი სახელმწიფოებრივი მონოპოლისტური საქმიანობის მკვეთრ მაგალითს.

## ატომური ენერგეტიკა

**ს**აწარმოო ძალთა ზრდისათვის ატომიკის სამრეწველო გამოყენების ყველა შესაძლებლობათაგან ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვატომგულური სათბობიდან ენერგიის მიღებას, მით უმეტეს, რომ ამჟამად ამ შესაძლებლობის განხორციელება, როგორც ჩანს, ყველაზე მარტივია. ამიტომ ამ თავში განხრასული გვაქვს განეიხილოთ ზოგიერთი სპეციფიკური ექონომიური და სოციალური პრობლემა, რომელიც ატომური ენერგეტიკის განვითარებასთან დაკავშირებით წარმოიშვება.

რათა ამ საკითხის განხილვა რაც შეიძლება ნაკლებად ატარებდეს განყენებული მსჯელობის ხასიათს, ჩვენ მას განესაზღვრავთ მხოლოდ იმ პრობლემებით, რომელთა არა მარტო დაყენება, არამედ პრაქტიკული განხორციელებაც შესაძლებელია ამჟამად, თუ გავითვალისწინებთ ტექნიკურ-მოთხოვნილებებს, ნედლი მასალის მარაგს და აუცილებელ ხარჯებს.

## რენტაგვლურია თუ არა ატომური ენერგეტიკა

ექსპერტები შესაძლოდ ცნობენ ჯაჭვური რეაქციის პრინციპზე მოქმედი ქვაბილან მიღებული სითბოს გამოყენებას, ორთქლისა და გაზის ტურბინების მოძრაობაში მოსაყვანად ელექტრული ენერგიის მიღების მიზნით. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ შლადი ნივთიერებანი საწვავ მასალად ელექტროსადგურებში, ნაც-ვლად ნაეთობისა, ქვანახშირისა ან ბუნებრივი გაზისა. ამ შემთხვევაში საჭირო იქნება სადგურის მხოლოდ საქაბო განყოფილების რეკონსტრუქცია, გენერატორებისა და დენის განმანაშილებელი ქსელის შეუცვლელად. დროთა განმავლობაში, შესაძლოა, ატომური ენერგიის გამოყენების ეს ხერხი მეტად პრიმიტიული აღმოჩნდეს. მაგრამ ამ საკითხის განხილვის დროს ჩვენ იმ დაშვებიდან გამო-

ჭალთ, რომ ენერგოტექნიკაში უფრო ღრმა ცვლილებებს, რომლებიც გამოწვეული იქნება ატომიკის შემდგომი პროგრესით, ატომური ენერგეტიკის განვითარების ამ საშუალების სტადიაზე ადგილი არ ექნება.

ჯერ დავადგინოთ ელექტროენერგიის ზემოხსენებული ხერხით მიღების ტექნიკური შესაძლებლობა. ოფიციალურ მოხსენებებშიაც, მეტნიერთა და ინჟინერთა ცალკეულ განცხადებებშიაც ასეთი წარმოების განხორციელების შესაძლებლობა ეჭვსაც არ იწვევს, თუმცა არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ამისათვის საჭირო ვადის შესახებ. თავის მოხსენებაში (1946 წლის მარტში), საერთაშორისო კონტროლის საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტთა კომიტეტის ლილიერტალის თავშჯდომარეობით განაცხადა, რომ ატომური ძალსადგურები „შეიძლება შეიქმნას უახლოესი რამდენიმე წლის განშავლობაში და რომ მხოლოდ თანამედროვე ეკონომიკაში მათი თანდათანობითი გამოყენების და ეკონომიკის სპეციფიკურ მოთხოვნილებებთან მათი შეთვისების საკითხის გადაჭრა მოითხოვს დამატებით დროს“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ატომური კომისიის შეირჩევის საბჭოს წინაშე გაკეთებულ პირველ მოხსენებაში (1946 წლის დეკემბერში) ნათქვამი იყო: „ატომური ენერგიის გამოყენება ელექტრული ენერგიის გამომუშავებისათვის დაკავშირებულია მთელი რიგი ტექნიკური პირობების გადაწყვეტასთან, მაგრამ, გვვინია, რომ განვითარება სწორი გზით მიღის“.

უკვე 1946 წელს ავტორიტეტულად აცხადებდნენ, რომ შეიძლება ატომური ენერგიის ენერგეტიკული მიზნებისათვის გამოყენებაო. დოქტორია რეიბენ გ. გუსტავსონმა, —ატომური ენერგიის სამრეწველო გამოყენების დარგში მეცნიერულ-კვლევითი შუშაობის უმნიშვნელოვანესი ცენტრის ჩიკაგოს უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა, ამერიკის შეერთებული შტატების სენატში განაცხადა, რომ სათანადო მატერიალური სახსრების გაღებისას საჭირო იქნება სულ ექვსი თვე ატომური ენერგიის იმ სახით მისაღებად, რა სახითაც შეიძლება მისი უშუალო გამოყენება პრაქტიკული მიზნებისათვის.

პროფესორი კომპტონი, უდიდესი სპეციალისტი, რომელიც მონაწილეობდა ატომური ბომბის შექმნაში, აგრეთვე იზიარებდა ამ აზრს:

„საჭირო ოომ იყოს ასეთი ამოცანის განხორციელების შესაძლებლობის დემონსტრირება, მაშინ ერთ წელში ისეთი ეფექტური ძალსადგურის აგება შეიძლებოდა, რომელშიაც ტურბინი იბრუნებდა გადახურებული ორთქლით“.

დაახლოებით ამავე დროს პროცესორშა ფარინგტონ დანიელსმა. რომელსაც მაშინ მანხეტენის ოლქის მთავარი ლაბორატორიის დირექტორის თანამდებობა ეჭირა, განაცხადა: „სათანადო დახმარებისას ერთი წლის განმავლობაში შესაძლო იქნებოდა ქვაბის აგება ატომური ენერგიის მისაღებად, რომელიც მოძრაობაში მოიყვანდა დიდ ტურბინს და ელექტროგენერატორს“.

რაც შეეხება ენერგიის გამოსამუშავებლად საჭირო შლადი მასალების მარაგს, ამ საკითხსაც საერთოდ დადგებითად განიხილავდნენ. მაგალითად, ლილიენტალის კომიტეტი პირდაპირ აცხადებდა: „ჩვენი აზრით, ამ ამოცანის გადასაჭრელად არ არსებობს რაიმე სერიოზული დაბრკოლება, როგორც ნედლი მასალებით უზრუნველყოფის მხრივ, ისე მათი ღირებულების მხრივ“ იმავე მოხსენებაში ილნიშნულია: „ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ გამონახული იქნება შლადი მასალების წარმოების პროცესთა გაიაფებისა და გამარტივების ხერხები“, აგრეთვე შესაძლებლად იყო ცნობილი უახლოეს დროში ისეთი რეაქტორების აგება, რომლებშიაც შლადი მასალების წარმოება უფრო სწრაფად მოხდებოდა, ვიდრე მათი ხარჯება, რაც გადასწყვეტდა ნედლეულის პრობლემას ყველა პრაქტიკული მიზნისათვის.

დაახლოებით იმავე დროს ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად ჩატარებული იყო ატომური ენერგიის მიღების თვითღირებულების გამოთვლა, რამაც ნათელკყო, რომ ახლო მომავალში ატომური ენერგია ყველა სხვა სახის სათბობზე უფრო რენტაბელური შეიქნებოდა. 1946 წლის სექტემბერში მეცნიერთა და ინჟინერთა ჯგუფმა ოკრიჯიდან დაასრულა სპეციალური გამოკვლევა, რომელიც შეერთებული შტატების დელეგაციამ საქმაოდ მნიშვნელოვნად სცნო იმისათვის, რომ ეცნობებინა ამის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის. ამ ჯგუფმა დაამტკიცა, რომ ტექნიკის არსებულ დონეზედაც კი ატომური ენერგიის გამომუშავება, ყველა სხვა თანატოლ პირობებში, დაჯდება 0,8 ცენტამდე ერთი კილოვატსათი, მაშინ, როცა ქვანაბშირზე მომუშავე ელექტროსადგურში კილოვატსათის გამომუშავება ჯდება 0,65 ცენტი. თუ მხედველობაში მივიღებთ შესაძლო სწრაფ ტექნიკურ პროგრესს მრეწვე-

ლობის ესოდენ ახალგაზრდა დარგში, როგორიცაა ატომიკა, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ მეტად ფრთხილი გამოთვლებიც კი მოწმობენ, რომ მაღლ ატომური ენერგია მეტოქეობას გაუწევს ქვაზახშირს. ოკრიჯელი ჯგუფის მოხსენებაში მოცემულია შემდეგი ჯასკვნა:

„ასეთი და მსგავსი გამოკვლევების საფუძველზე, რომლებიც ამ პოლო ხანებში ჩატარდა, შეიძლება მოველოდეთ, რომ ატომგულური ენერგია სასარგებლო სამრეწველო გამოყენებას მოიპოვებს, თუ მისი განვითარების გზებზე დაბრკოლებებს არ შექმნიან“.

მეორე გამოკვლევამ, რომელიც თითქმის იმავე დროს ჩაატარა კალიფორნიელ მეცნიერთა ჯგუფმა კარნეგის ინსტიტუტის ატომური ენერგიის კომიტეტის ხელმძღვანელობით, კიდევ უფრო დამამედებელი პერსპექტივები დასახა.

ამ ჯგუფის აზრით, ძალდანადგარის ცენტრალური ატომური რეაქტორი, 500 ათასი კილოვატის სიმძლავრით, გამოიმუშავებდა კილოვატსაათ ენერგიას  $0,3 - 0,4$  ცენტად, ე. ი. გაცილებით უფრო იათად, ვიდრე მას იძლევა ქვანახშირზე მომუშავე ძალსადგურების უმრავლესობა. გარდა ამისა, ახალი შლადი მასალები, რომლებიც ატომურ ქვაბში წარმოიშვებოდა, შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო მეორად რეაქტორებში ენერგიის გამოსამუშავებლად, რომლის ღირებულება  $5 - 15\%$  ნაკლები იქნებოდა, ვიდრე ქვანახშირით მომუშავე მეტოქე ძალსადგურებში. თუ ეს ანგარიში სწორია, მაშინ ატომური ენერგია შეძლებს მეტოქეობა გაუწიოს არა მარტო ქვანახშირს, არამედ ნავთსაც და მისი ღირებულება ოდნავ თუ გადაჭარბებს ელექტროენერგიის ღირებულებას, რომელიც მიიღება ჩვეულებრივ ჰიდროელექტროსადგურში.

კიდევ ერთი წინასწარი კვლევითი სამუშაო დამთავრებული იყო 1946 წლის იანვრის თვეში ჩიკაგოს უნივერსიტეტთან არსებული კოულსის კომიტეტის მიერ. მაგრამ ამ გამოკვლევების შედეგები გამოქვეყნებული იქნა მხოლოდ 1947 წელს. ამ ნარკევებში დაპირისპირებულია ორი ანგარიში, რომლებიც სხვადასხვა მოსაზრებებიდან გამოდიოდა. ენერგიის წარმოების შედარებითი ხსრჯების პირველი მიახლოებითი გამოანგარიშების მიხედვით, — რომელშიაც, როგორც ფიქრობენ, ატომური ენერგიის დაპროექტებული ღირებულება რამდენიმეჯერ შემცირებულია — ატომური ენერგიის კილოვატსაათი უნდა დაჯდეს  $0,3 - 0,5$  ცენტი, ე. ი. უფრო ძვირი, ვიდრე ჰიდროელექტროსადგურში.

ულევტროსადგურებში, მაგრამ უცრო იაცი, კიდრე ქანახშირებ  
მომუშვევ სადგურებში. მეორე, უფრო დაწერილებითი გამოთვლების  
თანახმად ატომულის ენერგიის ერთი კილოუატსათის გამომუშვევება  
უახლოეს 5 - 10 წლით უნდა შეადგიდეს 0,48 (კუნტს სადგურის  
სრული დატვირთვისას თა 0,71 (კუნტს ... სადგურის სანახევროც  
დატვირთვის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ ამ ღირებულების  
მნიშვნელოვანი წარილი შილებულ იქნა ზლადი მასალებისა და  
რეაქტორების გაძერილი ფასების გამო, რომლებიც ატომულური  
საწვავის შილების მეთოდების თახდათასობითი გაუმჯობესებისა და  
რეაქტორების დამზადების სტანდარტის შედეგად სულ უფრო  
და უფრო შესირდება.

ამრიგად, უნდა ეიტექტოთ, რომ 10 - 20 წლის შემდეგ ატომური ენერგიის კილოვატსათის ღირებულება საშეიძლოდ შეიძლება დაკანილ იქნას 0,3 ცენტამდე. ყოველ შემთხვევაში, არსებული მაღალი ფასების პირობებშიც კი, კოულასის კომიტეტის გამოკვლევებმა დაადასტურა სხვა ანგარიშები, რომლებიც მოწმობენ, რომ წარმოების ღირებულებით ატომური ენერგია უცრო ხელსაყრდნია, ვიდრე ჰესინაშირზე მომუშავე დანადგარების ენერგია. პროცესორი ჯერ კომპარატივი, კოულასის კომიტეტის შეთაური, წინასწარმეტევილებდა: „ათი წლის (1950 - 1960) განსავლობაში აკომიტეტი ენერგია, ალბათ, კონკურენციას გაუწეუს ქვანაბზირს შეერთებულ შტატებშიაც“ კი.

ამ გამოთვლებისა და სხვა მონაცემების საფუძველზე, 1948 წლის დეკემბერში ასერიკის ინჟინერ-მექანიკოსების საზოგადოების კრებაშე გაყიდობულ შოთაშენებაში ნათელია, რომ ისეთი ატომური რეაქტორების შესაქმნელად, რომლებსაც შათ მიერ გამომუშავებული ენერგიის ღირებულების შერჩევ შეეძლოთ მეტოქეობა გაეწიათ არსებული ძალ-სადგურებისათვის, საჭიროა შხოლოდ უმსიშვნელო გაუშობებების შეტანა თანამედროვე მანქანისთმშენებლობაში.

მოცელ რიგ ასეთ კომპეტენტურ შეხედულებებთან შედარებით უკნაფრად გვეჩეცება ამერიკის ოფიციალური თვალსაზრისის მკემ-თორი შეცვლა, რაც უკანასკნელ დროს შოთა. 1947 წლის სექტემბერ-ში გაერთიანებული ერების ორგანიზაციისთან არსებული ატომური ენერგიის კომისია უშიშროების საბჭოში წარდგენილ მეორე მოხსენე-ბაში წინასწარმეტყველებდა, რომ შეიძლება არა ერთმა ათეულშა შეღმა განვლოს, სანამ ატომური ენერგია თავის აღვილს დაიკერს ენერგიის სხვა, ამერამაც კნობილ, წყაროებთან ერთად.

1948 წ. ზაფხულში შეერთებული შტატების ატომურმა კომისიამ თავის მოხსენებაში შეიტანა კონსულტატიური კომიტეტის მეტად პესიმისტური მოხსენება, რომელიც ატომური ენერგიის ზოგად პრობლემებს შეეხებოდა.

სენებულ მოხსენებაში, რომელიც შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ოფიციალური თვალსაზრისის გამოხატულება, მოცუმულია ორიოდე დადებითი აღიარება, რომლებსაც ჩევულებრივ იქვე დაპ. ყვება უამრავი მომიზეზება და თავის მართლება, რომ საკითხი შეუსწავლელია. როგორც აღიარებულია მოხსენებაში, ურანზე ომამდე არსებული ფასების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ „ურანის საწვავის ღირებულებას შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ქვანახშირის ღირებულებას ყოველ პირობებში“, მაგრამ ეს აზრი იქვე განეიტრალებულია მომიზეზებით, რომ „ურანი სწრაფად ილევა“.

შემდეგ მოხსენება ცნობს, რომ „თეორიულად“ შესაძლოა შელადი მასალების მიღება უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე მას ხარჯავს რეაქტორი; მაგრამ ამ აზრს თან დაყვება შითითება „სიძნელეებზე ატომური მანქანათმშენებლობის დარგში“.

მოხსენება სავსეა მითითებებით „უამრავ ტექნიკურ და მეცნიერულ პრობლემებზე“, რომლებზედაც წინათაც არაურთხელ იყო ლაპარაკი, მაგრამ არა ისეთი უმეტობისა და სასოწარკვეთილების სფეროს კვეთებით, რაც ამ მოხსენების ყოველ სტრიქონში გამოსჭვივის.

ეინ დაიჯერებს, რომ მეცნიერნი—ატომისტები, რომლებმაც ეგრე სწრაფად და წარმატებით გადასჭრეს ატომის დაყოფასთან დაკავშირებული უძნელესი საწყისი პრობლემები, უძლურნი აღმოჩნდნენ მანქანათმშენებლობის გაცილებით უფრო მარტივი პრობლემების წინაშე, ვიდრე მანხეტენის ოლქში პირველი რეაქტორების აგება იყო.

მოხსენება მიუთითებს რა, რომ ატომური ენერგეტიკის საკითხში უნდა გამოვდიოდეთ ყველაზე უფრო არახელსაყრელი ტექნიკური პირობებიდან, დაასკვნის:

„ჩვენი აზრით, ყველაზე ხელსაყრელ პირობებშიაც კი ატომური სიწვავი ოც წელზე აღრე ვერ შესძლებს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოცულობით შესცვალოს ენერგომომარაგების არსებული მსოფლიო წყაროები; ხოლო, თუ გამოვალთ არახელსაყრელი პირობებიდან, მაშინ შეიძლება მიეკიდეთ იმავე დასკვნამდე, როგორიც ამას წინათ გააკეთა ინგლისელმა მეცნიერმა პ. პეირლსმა, რომელმაც გა-

ნაცხადა, რომ ატომური ენერგეტიკის ხანა—„მეტად შორეული მომავლის საქმეა; შეიძლება ის ორი თაობის შემდეგ დადგესო.“

თუ მხედველობაში მივიღებთ პოლიტიკურ და სტრატეგიულ მოსაზრებებს, რომლებიც ამ პესიმისტურ წინასწარმეტყველებას უდევს საფუძვლად, მაშინ ჩვენ ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ აქ აღვილი აქვს ბოროტ განზრახვას—ხელი შეუშალონ ატომური ენერგეტიკის განვითარებას.

### ურანის „ნაკლებობა“

ლიტერატურაში ამ საკითხზე ჩვეულებრივ ხაზს უსვამენ შემდეგ ბუნდოვან მომენტს: პირველი, საკმაოა თუ არა არსებული ნედლეული რესურსები ატომური ენერგიის დიდი რაოდენობით მისაღებად მომავალში, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და, მეორე, შესაძლებელია თუ არა შლადი მასალების ისეთი მიღება რეაქტორში, რომ პროდუქტის გამოსავლიანობა მეტი იყოს, ვიდრე მისი მოხმარება. ეს თეორიულად შესაძლოდ ითვლება. პლუტონიუმს უკვე ლებულობენ ჩვეულებრივი ურანიდან; გამოსარკვევი დარჩა მხოლოდ—შესაძლოა თუ არა პლუტონიუმად ბუნებრივი ურანის გარდაქმნა მთლიანად, თუ მხოლოდ მისი უმნიშვნელო ნაწილისა, როგორც ახლა.

ვინაიდან შეერთებული შტატები დაინტერესებულია შლადი მასალების რაც შეიძლება მეტი მარაგი დააგროვოს იარალის წარმოებისათვის, ისინი უკვე ახლა ატარებენ ცხოვრებაში ამ მასალათა კელავ წარმოქმნის პროგრამას, ჰქონიან რა ამისათვის ახალი კონსტრუქციის რეაქტორებს. თუ პრაქტიკულად მოხერხდა „თვითწარმოქმნის“ ამოცანის გადაწყვეტა, მაშინ ნედლეულის პრობლემა აღარ იქნება დაშაბრულებელი, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ტექნოლოგიური პროცესი შესაძლებელს ხდის ახალი ატომგულური საწვავის მიღებას თორიუმიდან, რომლის მარაგი გაცილებით უფრო მდიდარია, ვიდრე ურანის საბადოები.

მაგრამ ყველაზე უფრო არახელსაყრელ პირობებშიაც კი, სახელდობრ, როცა, თვითწარმოქმნის ამოცანის გადაწყვეტა ერთბაშად არ ხერხდება, ჩაშინ ატომური ენერგიის გამოყენების ამჟამად დასახულ ჩარჩოებშიც კი არ უნდა გვეშინოდეს იმისა, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ურანის მარაგი სავსებით ამოიწყრება.

მაღნეულის მარაგის შესახებ ჩატარებულ აღრიცხვათა უმრავლესობა არ შეიძლება სერიოზულად მივიღოთ. საერთო აღიარებით ეს

აღრიცხვა ეყრდნობა 1941 წლამდე გამოყენებულ მონაცემებს, როცა შემოლებული იყო მეტად მკაცრი ცენზურა ყოველგვარ ცნობებზე მაღის ამოლებისა და საბადოების დამუშავების შესახებ. არავითა-რი ცნობები არ ქვეყნდებოდა იმ ახალი რესურსების შესახებ, რომ-ლებიც ურანის საბადოებში მოიპოვებოდა, აგრეთვე არაფრერი იცო-დნენ ახლად აღმოჩენილი საბადოების მარაგის, ახალი ტექნიკური მიღწეულების, ლარიბი მაღნეულიდან და ახალი წყაროებიდან ბიტუ-მური ფიქალისა და ოქროს მაღის დამუშავების ურანის მეორადი პროდუქტების მიღების შესახებ. კანადაში, მავალითად, უკვე მიღის მთელი რიგი ახალი, როგორც ჩანს, საკმაოდ მდიდარი საბადოე-ბის დამუშავება, ხოლო სამხრეთ აფრიკის კავშირის სამრეწველო წარმოების მინისტრი ტრაბახობდა, რომ მის ქვეყანაში „შეიძლება მოპოვებულ იქნას გაცილებით მეტი ურანი, ვიდრე სადმე სხვაგან“. ამგამად დედამიწის მრავალ კუთხეში მიღდინარეობს მეტად ინტენ-სიური გეოლოგიური ძიება, რისი შედეგებიც შემოლოდ ნაწილობ-რივ ქვეყნდება.

ნახევარი წლის შემდეგ, რაც ატომური ენერგიის კომისიაშ სინა-ნული გამოსთქვა იმის შესახებ, რომ „ურანი სწრაფად იღევა“, რაც ატომური ენერგეტიკის განვითარებას ზღუდვასო, გამოქვეყნდა ახა-ლი ოფიციალური განცხადება, რომელიც საცსებით ეწინააღმდეგება ამ პირველს. შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისიის ნედლეულობის განყოფილების უფროსმა ჯ. კ. გუსტავსონმა მასა-ჩუბეტის ტექნიკოლოგიური ინსტიტუტის მეტალურგების წინაშე ღიად განაცხადა:

„ჩემი აზრით, ურანის მაღის არსებული მარაგის გამოანგარიშე-ბა, რომელსაც მე გავეცანი, მეტად შემცირებულია... ნედლეულის მარაგი არა თუ საკმაო ატომური ენერგეტიკის თვალსაჩინო გან-ვითარებისათვის, არამედ საკმაო ატომური ენერგიით სარგებლობი-სათვის მთელი რიგი თაობის ცხოვრების განმავლობაში“...

მაგრამ უდავო, რომ შეერთებულ შტატებს მართლაც ხელს უშ-ლის ურანის მაღნეულის შედარებითი ნაკლებობა. ეს შედეგია იმი-სა, რომ შეერთებულმა შტატებმა თავის მონოპოლიად აქცია ურა-ნის ნედლეულის ყველა მთავარი წყარო, რომლებიც კაპიტალისტუ-რი სამყაროს განკარგულებაში იმყოფება, და იყენებს თავის მონო-პოლიას ატომური შეიარაღების შექმნისათვის. ურანის მაღნეული განუწყვეტელი ნაკადით შედის საწყობებში, ხოლი ასეთი გაცხარე-ბული, მოპოვება, უდავო, იწვევს გამოფიტვას ურანის ნედლეულით

შეტიდარი ცნობილი საბალოებისა, როგორიცაა, საბალოები ბელგიის კუნძოში და კანადის დათვის დიდი ტბის შიდაშოებში. ატომური ქარხნები ხელფორდსა და ორიჯში დღე და ღამე განუშევეტლივ ამზადებენ პლუტონიუმს და გამდიდრებულ ურანს და ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისიის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს ამ წარმოების რაც შეიძლება ჩქარა გაფართოება.

შლადი მასალები, მომარაგებული ამჟამად სამხედრო მიზნებისათვის, შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო, სასარგებლო ენერგიის მისაღებად. თუ დავუშვებთ, რომ ატომურ ბომბში მოთავსებულია 100 გირგანქა ატომგულერი საწვავი, მაშინ ყოველ შენახულ ატომურ ბომბში მოწყველეულია იმდენი სიიბური ენერგია, რაც საქმაოა შეერთებული შტატების ყველა ენერგეტიკულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად თითქმის ორი დღე-ლამის განმავლობაში, ამ საწარმოთა სრული დატვირთვის დროსაც კი. <sup>1)</sup>)

შეერთებულ შტატებში ამჟამად მოქმედ ჩეკეტორებში იმდენი ატომგულერი საწვავია, რაც საქმაოა ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მთელი რიგი წლების განმავლობაში.

სწორედ ამაში ყველაზე უფრო მყაფიოდ მჭღავნდება მეტოქეობა ატომური ენერგიის სამხედრო და სამრეწველო გამოყენებათა შორის. არსებითად ეკრეთ წოდებული ნედლეულის ნაკლებობა მხოლოდ და მხოლოდ შეერთებული შტატების სამხედრო მონოპოლით ითხსნება. დასავლეთ ქვეყნების ურანის რესურსებზე თავისი მონოპოლიური უფლებების გავრცელებით შეერთებული შტატები უსპობენ ამ ქვეყნებს ატომური ენერგეტიკისათვის საჭირო ნედლეულს. ეს მონოპოლია ემსახურება როგორც სამხედრო მიზნებს, ისე კარტელების ინტერესებს.

ამგვარად, ყველა ცნობას ატომური ენერგიის გამოყენების ტექნიკური განხორციელების შესაძლებლობას სამრეწველო მიზნებისათვის.

<sup>1)</sup> გამოვდივართ იმ ეკვივალენტიდან, რომ სითბოს სახით ყოველ ერთ გირგანქა თვითგამყოფ ურან-235-ზე ანდა პლუტონიუმზე მოდის სითბოს სახით ენერგიის 10 მილიონი კილოვატსათი.

ეს ეკვივალენტა მოცემულია იმ ანგარიშებში, რომლებიც სმიტს მოჰყავს. ცხადია, რომ სითბოს გარდაქმნა ელექტროენერგიად გამომდინარეობს მაკმაოდ დაბალი მარგი ქმედების კოეფიციენტით. თუ მას მივიღებთ 25%-ად, როგორც ამას ადგილი აქვს თანამედროვე ორთქლის ქვაბებში, მაშინ 100 გირგანქა გამყოფი ნივთიერება მოგვცემს 250 მილიონამდე კილოვატსათ ენერგიას (ავტორის შენიშვნა).

როგორც უკვე დავრწმუნდით, ატომური ენერგიის გამომუშავების ლირებულება არ შეიძლება ჩაითვალოს მთავარ დაბრუკლებად მისი დაუყოვნებლივი განვითარებისათვის. ნედლეულის მარაგი სავსებით საქმაო იქნება იმ დრომდე, როცა სავსებით ათვისებული იქნება „თვითწარმოქმნის“. პროცესი, განსაკუთრებით, როცა შლადი მასალები არ იქნება მონოპოლიურად გამოყენებული მხოლოდ იარაღის მარაგის შესაქმნელად. თითქოს ჩვენ ყველა ძირითადი ტექნიკური წინაპირობა გვაქვს იმ ხელსაყრელი ვითარების შესაქმნელად, რომელიც ჩვენ თაობასაც მისცემს საშუალებას მოწამე გახდეს. ატომური ხანის დასაწყისის, ესე იგი, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს 1970 წლისა. მაგრამ, ჩანს, აშით არ ხელმძღვანელობს ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისია, და ეს არ უდევს საფუძვლად ოფიციალურ პოლიტიკას, ვინაიდან ეს უკანასკნელი ეყრდნობა ყველაზე უფრო არახელსაყრელ პირობებს და გადაქვს ატომური საუკუნის დასაწყისი ჩვენი თაობისათვის მიუწვდომელი დროისათვის. ეს ოფიციალური თვალსაზრისი წარმოადგენა პირმშო შვილს იმ პოლიტიკისა, რომელმაც მიგვიყვანა ატომიკის მილიტარიზაციამდე, შეერთებული შტატების გამალებულ სამხედრო სამშადისამდე და წარმოშვა მშის საშიშროება. სანამ უცვლელია შეერთებული შტატების ძირითადი პოლიტიკური წაზი, მანამ ამაოა ველოდეთ, რომ ამერიკის მმართველი წრეები ხელს შეუწყობენ-ატომური ენერგეტიკის არსებით განვითარებას.

## საპრაოა თუ არა ენერგია ზოვრით გული შტატებში

არსებითად, ოფიციალური პოლიტიკის მიზანია ატომური ენერგეტიკის განვითარების ხელოვნური შეფერხება. მეტად საგულისხმო მიმოხილვაში ატომური მრეწველობის მუშაობის შესახებ 1948 წლის ურნალი „ბიზნეს უიკი“ აღნიშნავდა, რომ „მრეწველებს, რომლებთანაც შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისიას კონტრაქტები აქვს, არ უჩევენ მაინცა და მაინც დიდი ძალები დახარჯონ ატომური ენერგეტიკის დარგში“, რადგან მუშაობის პროგრამა ატომური ენერგიის დარგში „პირველ რიგში შეიარაღების პროგრამას წარმოადგენს“. თუმცა, როგორც გვამცნობდა ურნალი, ზოგიერთმა კომპეტენტურმა წრემ რწმენა გამოსთვევა, რომ დაახლოებით 1952 წლისათვის ისინი შესძლებდნენ კომერციული ატომური დანადგარის აგებას, მაგრამ ასეთი შესაძლებლობა მაინც გამორიცხულია, რამდენადაც „შეერთებული შტატების ატომური ენერ-

ჭირის კომისია ამ საქმის მიმართ შაინჯა და შაინც დიდ ინტერესს არ იჩენს". შეიძლებოდა რაგუემატებინა, რომ ამისაკენ არ მასისწრაფვიან არც მსხვილი კომპანიები, რომელიც სასოგადოებრივი მოხსარების საწარმოებს ჰყლობენ. ოფიციალურ ატომურ პოლიტიკაში ესოდენ თვალსაჩინო მისწრაფებამ, რათა დაკმაყოფილებულ იქნას საზოგადოებრივი მოხსარების საწარმოთა მულობელი კერძო კომპანიების მოთხოვნილებები, გამოხატულება ჰპოვა შეერთებული შტატების ატომური კომისიის თავმჯდომარის განკხადებაში, რომელიც მან გააკეთა დეტროიტის ეკონომიკურ კლუბის სხდომაზე:

"არ არსებობს არაეითარი საფუძველი ველოდოთ, რომ ატომური ენერგეტიკული მრეწველობა ერთ ღამეში დაიბადება და შევეყნის ცხოვრებაში ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორად გადაიქცევა, რომ ერთბაშიც ზედმეტი გახდება ენერგეტიკული სამრეწველო წარმოებები, რომლებიც ახლა გვემსახურება, და, რომ რამდენიმე წელში მთლიანად შეიცვლება ჩენი ეკონომიკის ხასიათი. თითქმის დანამდევილებით შეიძლება ითქვას, რომ ატომური ენერგეტიკული მრეწველობა კი არ განდევნის, არამედ შეავსებს ჩენს ეკონომიკაში ენერგომომარაგების წყაროებს".

მიუხედავად ასეთი რწმუნებისა, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ კერძო მონოპოლიები იკეთებენ ყველაფერს, რაც კი მათგანაა დაშორიდებული, რათა წინდაწინვე უზრუნველპყონ ფავისი კონტროლი ატომური ენერგეტიკის განვითარების ტემპებსა და მასშტაბზე. კონტროლის ასეთი გარანტირება უკვე თავს იჩენს იმ გაბატონებულ მდგომარეობაში, რომელიც კერძო მონოპოლიებს უკავია სახელმწიფოებრივ ატომურ მრეწველობაში. მათი გავლენა იქითევნაა მიმართული, რომ შეაჩერონ ატომური ენერგეტიკის განვითარება.

მაგრამ სავსებით ცხადია, რომ ატომური ენერგეტიკის განვითარება გარდაუვალია. მაშასადამე, მონოპოლიები მიისწრაფებიან უზრუნველპყონ კონტროლი ატომური ენერგიის მრეწველობაში გამოყენებაზე, მათი ინტერესების შესაბამისად. ამიტომ, როგორც უკვე დავინახეთ, სამრეწველო კონსულტატიურმა ჯვუშმა, რომლის შემადგენლობაში ძირითადად შედიან ნაეთობის მრეწველობისა და საზოგადო მოხსარების საწარმოთა მავნატები, მოისხოვა სახელმწიფოებრივ წარმოებაში კერძო მრეწველთა მონაწილეობის კიდევ უფრო გადიდება. ეს გულისხმობდა არა მარტო კონტროლის გადიდებას სახელმწიფო მრეწველობის საქმიანობაზე, არამედ სახელმწიფო მრეწველობის მთელი რიგი დარგების გადაცემას კერძო უულებაში,

როგორც კი ეს დარგები შომგებიანი შეიქნებოდნენ, რაც, პირველ რიგში, ატომურ ენერგეტიკას შეეხებოდა. როგორც უკვე დავინახეთ, პოლიტიკის ძირითად საკითხებზე ამ დარგში არავითარი პრინციპული უთანხმოება არ არსებობს, ერთი მხრივ, მთავრობასა და, მეორე მხრივ, მსხვილ კაპიტალისტებს შორის.

ასე იყო თუ ისე, კერძო მონოპოლიებში მაინც შიიღეს გარანტიები. სიფრთხილისათვის მიღებული იყო აუცილებელი ზომები არა მარტო ოპერატიული კონტროლის მხრივ, არამედ საკანონმდებლო დარგშიც. თანახმად კანონისა ატომური ენერგიის შესახებ, ატომური ენერგიის კოშისიას უფლება არ აქვს ლიცენზია გასცეს ატომური ენერგიის გამოყენებაზე მრეწველობაში, სანამ არ გაივლის ორმოც დაათი დღე დღიდან განცხადების შესვლისა, რომელის განმავლობაში კონგრესი წასწორებს საკითხის განხილვას. კანონის ეს მუხლი მონოპოლისტურ კაპიტალს დამატებით საშუალებას ანიჭებს თავი დაიცვას შესაძლო კონკურენციისაგან სამრეწველო ატომიკის დარგში არა მონოპოლისტური სექტორის მხრივ. თავის დროზე ჰენრი უოლესმა, მაშინ კიდევ სავაჭრო მინისტრმა, განაცხადა, რომ კანონის ეს მუხლი „კერძო კაპიტალს უძლიერებს სურვილს დაწოლა აწარჩოოს კონგრესზე ეკონომიკური პროგრესის აკრძალვის ან შეფერხების მიზნით“.

მაგრამ ყველა ამ მნიშვნელოვან სამხედრო და მონოპოლისტურ ძალებს, რომლებიც ატომური ენერგეტიკის განვითარებას აფერხებენ, ემუქრება საქონლის ჭარბი წარმოების ანუ „ჭარბი“ საწარმოო უნარის გარდუვალი აჩრდილი. არსებითად, მიუხედავად ისეთი. ვე-ებერთელა ჩამორჩენილი რაიონების არსებობისა, როგორიცაა სამხრეთი შტატები, შეერთებულ შტატებში, და იმავე მიზეზებით უმრავლეს განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც შეუძლებელია არსებობდეს მუდმივი სტიმული ატომური ენერგეტიკის სწრაფი განვითარებისათვის. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში ისეთი სტიმული, რომელსაც შეეძლოს დასძლიოს ეს შეზღუდვავი ძალები, არ არსებობს.

ამ უკანასკნელი სამი ათეული წლის მანქილზე ენერგიის გამომუშავება შეერთებულ შტატებში ექვსჯერ გაიზარდა, რამაც შექმნა ისეთი საწარმოო სიმძლავრენი, რომლებიც მეურნეობაში მოგების შილების შესაძლებლობას იძლევიან უდიდესი აღმავლობის პერიოდშიაც კი, რომ არაფერი ითქვას დეპრესიების პერიოდის შესახებ. ენერგიის დროებითი ნაკლებობის პერიოდების მიუხედავად, ამჟამ

ენერგია გაცილებით მეტია, ვიდრე ამას არსებული კაპიტალის ტუ-  
რი ბაზრის ფარგლებში მონაბოლიების ინტერესები შოთხოვს.

ურნალი „ბიზნეს უიკი“, ზემოსენებულ მიმოხილვაში საქმაოდ გუ-  
ლახდილად აცხადებს: „ძირითადი შომერი, ომელიც ატომური  
ენერგიის სამრეწველო გამოყენებას განსაზღვრავს, არის ის, რომ შე-  
ერთებულ შტატებში ატომური ენერგეტიკა მაინც და მაინც არავის  
ესაჭიროება“. ცხადია არავის, გარდა ხალხისა, ომელსაც ატომუ-  
რი ენერგიის ფართო გამოყენება სითბოს, სინათლესა და საქონელს  
მისცემს. ასე, როგორც ერთ-ერთი მაგალითთაგანი, შეიძლება დავა-  
სახელოთ, რომ ამერიკელ ფერმერთა მეურნეობების 30%-ზე მეტი  
ჯერ კიდევ არ ლებულობს ელექტრიციენერგიას ცენტრალური სად-  
გურებიდან, მიუხედავად საზოგადოებრივი მოხმარების საწარმოთა  
მფლობელი კამპანიების მქექხარი განცხადებებისა, თითქოს ჩენ ენერ-  
გია ყველა საჭიროების დასაცავის საყოფალოებლად საქმარისხე ბევრად მე-  
ტი გვაქვს. მაგრამ ეკონომიკის მესვეურთ მეტი ენერგია აღარ სჭირ-  
დებათ; კიდევ მეტი, მოახლოებული კრიზისის პირობებში ენერგიის  
არსებული რაოდენობაც კი მათ შიშის ზარს გვრის.

უდავოდ სამირთლიანია ისიც, როგორც ამაზე ხშირად მიუთითებ-  
დნენ, რომ ქვანახშირის მარაგი შეერთებულ შტატებში საქმარისია  
ენერგეტიკული მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად მრავალი საუკუ-  
ნის განმავლობაში, თუ, რასაკვირველია, გამოვალთ იმ მოსაზრე-  
ბიდან, რომ ამერიკელი მოსახლეობის შეზღუდული და თავისი უთა-  
ნაბრობით გასაოცარი საყოფაცხოვრებო პირობები აგრეთვე ასეული  
წლობით იქნება შენარჩუნებული, თუ ვივარაუდებთ, რომ მთელი  
ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ტექნიკა ერთ ადგილზე გაიყინება და  
რომ მომავალშიაც შეერთებული შტატები კვლავინდებურად განაგრ-  
ძობენ სხვა ქვეყნების რესურსების მონაბოლიურ გამგებლობას.

მაგრამ შეერთებული შტატების მაგალითი არ შეიძლება სავალ-  
დებულოდ მივიჩნიოთ სხვა ქვეყნებისათვის, რომელთა რესურსები  
და მოთხოვნილებები შეიძლება დიდად განსხვავდებოდეს ჩვენი რე-  
სურსებისა და მოთხოვნილებებისაგან.

სხვა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ამჟამად იმავე  
შემზღვდეველი ფაქტორების ზემოქმედება იჩენს თავის, რაც ამერიკის  
შეერთებულ შტატებში, მაგრამ ზოგიერთ ცალკე შემთხვევაში გამო-  
რიცხული არ არის თავი იჩინოს უფრო მძლავრმა ძალებმა, რომ-  
ლებიც წინ აღუდგებიან ამ შემზღვდველ ფაქტორებს.

მაგალითად, მიუთითებდნენ, რომ ელექტროფიკაციის ზრდისათვის ატომური ენერგია შეიძლება უფრო ეუექტური და რენტაბელური საშუალება აღმოჩნდეს, ვიდრე, მაგალითად, ქვანახშირის შახტების მოდერნიზაცია ინგლისში ანდა ჰიდროელექტროსადგურების ფართო შენებლობა სხვა ქვეყნებში. ქვეყნებში, რომლებიც ღარიბია ქვანახშირით, ან რაიონებში, რომლებიც ღაშორებულია სათბობის ოსურსებიდან, ატომური ენერგიის გამოყენება შექლებდა ამ ნაკლთა შევსებას და მინშვნელოვან ეკონომიკას მისცემდა იმ შემთხვევებში, როცა ქვანახშირი და ნავთი შორიდან მოდის. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ ატომური ენერგიის განვითარება ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში უფრო სწრაფად მოხდება, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. აკი ამტკიცებენ, რომ ინგლისში ექსპერიმენტული მუშაობა ატომური ენერგეტიკის დარგში უფრო დაწინაურდა, ვიდრე შეერთებულ შტატებში, თუმცა მხოლოდ მომავალს შეუძლია გვიჩვენოს, მოჰყვება თუ არა ამას მისი ნამდვილად ფართო განვითარება.

თუ მონოპოლისტური კაპიტალი აფერხებს ატომური ენერგეტიკის განვითარებას მრეწველობის მხრივ ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყნების პირობებშიაც კი, რომელთა ტექნიკური დონე ყველაზე მეტად უწყობს ხელს მის პროგრესს, მაშინ, მით უფრო უიმედოა იმპერიალიზმის პირობებში ატომური ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივები ეკონომიურად ჩამოჩენილ ქვეყნებში.

## ეკონომიურად ჩამოჩენილი ტერიტორიების განვითარება

ეკონომიურად ჩამოჩენილ ქვეყნებში მეურნეობის განვითარებასათვის ატომიკის გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ ქვეყნებისათვის მისი მნიშვნელობის შეფასებას არ შეიძლება მივუდგეთ მხოლოდ საწვავის ეკონომიკის თვალსაზრისით, თუმცა ეს ეკონომიდან უთუოდ უფრო მნიშვნელოვანი იქნება ბრაზილიის ან ინდოეთისათვის, ვიდრე, ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. ატომიკის მნიშვნელობა ამ ქვეყნებისათვის, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ ატომიკა ამ ქვეყნებს უქმნის არნახულ შესაძლებლობას სწრაფი ელექტროფიკაციისათვის მეტად მოქნილ საფუძველზე და მით მძლავრ ბიძგს აძლევს საერთო ეკონომიურ განვითარებას. ატომიკის გამოყენების შესაძლებლობანი ჩინეთსა და ინდოეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, შეუაღმოსავლეთში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში მართლაც რომ განუსაზღვრე-

ლია, თუ კი ისინი მიბაძავენ ჩინეთის მაგალითს და კაცშირს გასწუ-  
ყოფენ იმპერიალიზმთან.

საფუძვლები არ გვაქვს ვიფაქტოთ, რომ ეკონომიურად ჩამორჩენილ-  
შა ქვეყანამ უნდა გაიაროს განვითარების ცველა ის სტადია, რაც მეტად  
განვითარებულმა კაპიტალის ტურმა ქვეყნებმა გაიარეს. შეერთებულმა  
შტატებმა და გერმანიამ ისარგებლეს ინგლისის სამრეწველი გამო-  
ცდილებით და სულ მოკლე ხანში გაასწრეს მას ტექნიკის მხრივ, იაპონია  
სწავლობდა გერმანიისაგან და ამერიკის შეერთებული შტატებისაგან,  
ხოლო საბჭოთა კავშირმა, ისარგებლა რა ტექნიკის უკანასკნელი მიღ-  
წევებით, თვითონ მძლავრად გასწია ის წინ. იმასევ უნდა მოველლოდეთ  
იმ ქვეყნებიდანაც, რომლებიც ამჟამად ინდუსტრიალიზაციის წინაშე  
დგანან. ამ ქვეყნებში ატომური ენერგიის გამოყენება გაცილებით  
უფრო ეფექტურად და სრულყოფილად შეიძლება, ვიდრე ეკონო-  
მიურად განვითარებულ ქვეყნებში, რომელთა მრეწველობა არსები-  
თად უკვე შექმნილია არსებული ენერგეტიკული რესურსების ნედლე-  
ულის, სატრანსპორტო შესაძლებლობისა და ბაზრების გათვალისწი-  
ნებით.

თავისთავად იგულისხმება, რომ სხვადასხვა ქვეყნები და ტერიტო-  
რიები ერთიმეორიისაგან განსხვავდებიან თავიანთი მოთხოვნილე-  
ბებით, შაგრამ, მიუხედავად ამისა, ატომური ენერგეტიკა შეიძლება  
გახდეს მრეწველობისათვის ენერგიის მოწოდების მთავარ წყაროდ,  
ხოლო ჰიდროენერგეტიკული რესურსები და ქვანახშირი კი დამატე-  
ბით გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ეს სხვა ფუნქციების  
შესრულებასთან შეხამებით გვპირდება საქმიოდ დიდ ეკონომიკას,  
როგორიცაა, მაგალითად, წყლის დონის აწევა ან ქვანახშირის გამო-  
ყენება ფოლადის გამოსაღნობად და სხვა სამრეწველო პროცესე-  
ბისათვის.

სავსებით კხადია, რომ ატომური ენერგეტიკა, ქვანახშირით მო-  
შეუშვეო ორთქლის დანადგარებთან შედარებით, სამრეწველო ობიექ-  
ტების ხელსაყრელი განლაგების შესაძლებლობას იძლევა ნედლეული-  
სა და ბაზრების ადგილმდებარეობის შიმართ. ატომური ენერგეტიკა  
აგრეთვე ხელს შეუწყობს უფრო ნაყოფიერ სამრეწველო ელექტრო-  
ლიტური პროცესების გამოყენებას იმ დარგებში, რომლებიც დიდი  
რაოდენობით მოითხოვს ელექტროენერგიას, როგორიცაა ალუმინის  
ფეროშენადნობების, ქიმიურ ნაწარმთა და ხელოვნურ სასუქთა  
წარმოება. გარდა ამისა, ის ეკონომიკას მისცემს მრეწველობის ისეთ  
დარგებს, რომლებიც დიდი რაოდენობით ხარჯავენ სითბოს, რო-

გორიცაა, მაგალითად, ლითონთა გამოღნობა, მინისა და კერა-შიკული ნაკეთობებისა და ქალალლის წარმოება.

ამ შემთხვევაში ქვეყნის ქვანახშირისა და ნავთობის რესურსები შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყოარა მარტო სათბობის მისაღე-ბად, არამედ როგორც ნედლეული ქიმიური ნაწარმისა და სინთე-ტიკური პროდუქტების მისაღებად, რომლებიც წინააღმდეგ შემთხვე-ვაში უნდა შემოზიდულიყო სახლეარგარეთიდან გამომუშავებული, ქვეყნის შიგნით მეტი ხარჯების გაწევით. მოკლედ რომ ვთქვათ, ატომიკას შეუძლია მისცეს ამ ქვეყნებს არა მარტო ენერგომომარა-გების იატი და მძლავრი წყარო სწრაფი ინდუსტრიალიზაციისათვის, არამედ, მასთან ერთად, მას დიდი მნიშვნელობა ექნება. წარმოებისა და განაწილების მთელი ორგანიზაციისათვის.

ასეთია ზოგიერთ იმ შესაძლებლობათაგანი, რომლებიც ენერგიის ახალმა წყარომ გადაშალა ჩამორჩენილი ქვეყნების წინაშე. მაგრამ ამ შესაძლებლობათა საქმედ ქცევა დამოკიდებულია იმ ურთიერთო-ბათა შეცვლაზე, რომელიც ამჟამად არსებობს ამ ქვეყნებსა და იმპე-რიალისტურ სახელმწიფოთა შორის და აგრეთვე მათი შიდა სოცი-ალური სტრუქტურის გარდაქმნაზე, რამდენადაც ფეოდალური წყო-ბილების გადანაშთები აფერხებენ ამ ქვეყნების ეკონომიკურ განვითა-რებას. მთავარი ფაქტორები, რომლებიც აბრკოლებენ ატომური ენერგიის გამოყენებას იმ ქვეყნებში, სადაც ის ყველაზე უფრო სა-კიროა, — ეს იგივე ფაქტორებია, რომლებიც დღემდე ხელს უშლი-დნენ კოლონიალური და ნახევრად დამოკიდებული ქვეყნების ეკო-ნომიკურ განვითარებას.

ეკონომიკურად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მონო-პოლისტები ისევე შეებრძოლებიან ატომური ძალსადგურებისათვის კაპიტალური მოწყობილობის ექსპორტს, როგორც ისინი კრძალავ-დნენ ტურბინებისა და სხვა მოწყობილობის გატანას, რომელთაც შეეძლო გამოეწვია ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების საერთო ინდუსტრიალიზაცია. ამ დებულების ილუსტრირებისათვის საქმაოა შევჩერდეთ კაპიტალის ექსპორტის შედეგებზე ამ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში შეერთებული შტატებიდან ლათინურ ამერი-კაში, რომელიც წარმოადგენს შეერთებული შტატების მთავარ „კო-ლონიალურ“ სფეროს. შეერთებული შტატები თავის კაპიტალს აბანდებდა უმთავრესად მოპოვებითი მრეწველობაში და საერთო მოხმარების იმ საწარმოებებსა და ტრანსპორტში, რომლებიც აუცი-ლებელია ამ ქვეყნების ბუნებრივი რესურსების ექსპლოატაციისათვის.

ლათინური ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში ამერიკის მიერ დაბანდებული კაპიტალიდან, რაც 3,4 მილიარდ დოლარს შეადგენდა, მხოლოდ 325 მილიონი დოლარი, ე. ი. 10%-ზე ნაკლები, დაბანდებულია დამუშავებითი მრეწველობაში. სავსებით ასეთივე მდგომარეობაა ატომიკის დარღმიაც. ატომური ენერგიის აღმოჩენა ზრდის შეერთებული შტატების ინტერესს ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყნების მიმართ მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ კონტროლი დაწესოს ამ ქვეყნებში ურანის, თორიუმისა და ამ ახალი მრეწველობისათვის. საჭირო სხვა ნედლეულთა საბადოებზე და მონოპოლია გაავრცელოს მათზე სამხედრო წარმოებისათვის. მსგავსად იმისა, როგორც შეერთებულმა შტატებმა თავის დროზე ლათინურ ამერიკასა და სხვა ქვეყნებს ჩამოართვა სპილენძი, ნავთობი და სხვა ნაციონალური რესურსები, და ამავე დროს გასაქანს არ აძლევდა გამოყენებინათ ინდუსტრიალიზაციის საშუალებები, ისე ახლაც, ისინიც ცდილობენ ჩამოართვან ამ რაიონებს შთელი მათი ატომური ნედლეული, მაღავენ რა მათგან მეცნიერულ ინფორმაციას და არ დაუვენ რა მათ ატომური ენერგეტიკის განვითარებისათვის საჭირო ტექნიკურ საშუალებებს.

საერთოდ, ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის ატომური ენერგიის სამრეწველო გამოყენების შანსები არსებული იმპერიალისტური დამოკიდებულების პირობებში მათი საერთო ეკონომიური განვითარების შანსებზე თითქმის უფრო ნაკლებიცაა. ცენტრალური ატომური ძალდანაღვარი რთული ტექნიკისა და მსხვილ კაპიტალურ დაბანდებათა აუცილებლობის პირობებში რენტაბელური რომ გახდეს, საჭიროა სამრეწველო საწარმოთა დიდი კომპლექსის არსებობა, რათა გამოიყენონ ამ დანაღვარის ენერგია. ანალოგიური მიზეზების გამო პრაქტიკულად გამოიყენებელი რჩება მრავალი კონტინენტური ტერიტორიის პილროენერგეტიკული პოტენციალი.

გარდა ჩვეულებრივი ფაქტორებისა, რომლებიც იმპერიალიზმისა და მონოპოლიების არსებობასთანაა დაკავშირებული, ომის შემდგომი სამხედრო სტრატეგიული მოსაზრებანი ხელს უწყობენ ატომური მრეწველობის თავის მოყრას უკვე არსებული სამრეწველო ეკონომიური ცენტრების საზღვრებში. შეიძლება ითქვას, რომ სანამ მსოფლიოში კაპიტალისტური ურთიერთდამოკიდებულება იძატონებს, მანამ ტექნიკის ყოველი დიდი მიღწევის გამოყენება, რაც ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებს გზას უსნის სწრაფი განვითარებისაკენ, ზრდად წინააღმდეგობას წააწყდება.

ლროთა განმაელობაში ატომიკა მეტად მნიშვნელოვანი . როლს  
ითამაშებს ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყნების განვითარების  
საქმეში. მაგრამ დიდი მასშტაბით ეს მხოლოდ მაშინ მოხდება,  
როცა მთავარი კოლონიალური და ნახევრადკოლონიალური ქვეყ-  
ნები თავს დააღწევენ იმპერიალიზმს და დააღვებიან თავისუფლების  
გზას, რაც შეიცავს საზოგადოებრივი წესწყობილების ძირფესვიან  
დემოკრატიულ გარდაქმნას, იმის მსგავსს, როგორც ამჟამად მიმდი-  
ნარეობს ჩინეთში.

ამგვარად, ენერგეტიკული პოტენციური წყაროს სახით, ატომური  
ენერგიის გამოჩენასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ძალით  
მულავნდება მსოფლიო მასშტაბით ჩეენი ეპოქის ძირითადი წინააღ-  
მდეგობა—წინააღმდეგობა საჭარმოო საშუალებებზე კერძო კაპიტა-  
ლისტურ საკუთრებასა და მთელი საზოგადოების ინტერესებისა-  
თვის მათ მოხმარებას შორის. ეს წინააღმდეგობა შეიძლება გადაწყ-  
დეს მხოლოდ კრიზისის მეშვეობით, რომელიც ემუქრება კაპიტა-  
ლიზმს, როგორც საზოგადოებრივ სისტემას.

## ატომური ენერგია და სახელმწიფო ენერგეტიკული მრეწველობა

**მ**ოგორც უკვე დავინახეთ, იარაღის გამომუშავება სახელმწიფოებრივ ატომურ საწარმოებში გაბატონებული მონოპოლისტური ჯგუფების საარსებო ინტერესებს შეესაბამება. სახელმწიფოებრივი საკუთრების, კერძო მონოპოლისტური კონტროლისა და სამხედრო წარმოების ეს კომბინაცია ჩვენს დროში იმ მიზანს ემსახურება, რომ გაქიანურდეს ატომური ენერგიის განვითარება, რათა მან კიდევ დიდხანს ვერ გაუწიოს კონკურენცია ჩვეულებრივი სახის სათბობს და არსებულ ძალსადგურებს.

მაგრამ ასეთი კონკურენცია გარდაუვალად იჩენს თავს, რადგან შეუძლებელია ატომური ენერგეტიკის განვითარების დაუსრულებლივი შეფერხება. ეს პერსპექტივა სულ უფრო ახლოვდება ატომური საწვავის. მარაგის გადილების კეალდაკვალ, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ატომური იარაღის დასამზადებლად, ისე ენერგიის გამოსამუშავებლად და ატომური მრეწველობის ზრდის კვალდაკვალ, მოუხედავად იმისა, რომ ეს მრეწველობა ამჟამად მხოლოდ ატომურ თარაღს ამზადებს; ამიტომ ბრძოლა მონოპოლიებს შორის კონტროლისათვის არსებულ ატომურ მრეწველობაზე, მასთან ერთად ნიშნავს ბრძოლას კონტროლისათვის ახალ ენერგეტიკულ წყაროზე, რომლის პოტენციალური შესაძლებლობანი განუზომელია.

ანალოგიურად მონოპოლისტური ჯგუფები და მეტოქე საქმიანი წრეები ერთ დროს ეწეოდნენ ბრძოლას კონტროლისათვის ჰიდრო-ენერგეტიკულ ნაგებობებზე, რომლებიც სახელმწიფოებრივ საწარმოთა სახით იქმნებოდა უმთავრესად უმუშევრობასთან ბრძოლის პროგრამის საფუძველზე მიშდინარე საუკუნის ოცდაათიანი წლების გრანდიოზული კრიზისის დროს. კარგად ცნობილია თუ როგორ ეწინა აღმდეგებოდნენ ამ მშენებლობას კერძო კომპანიები, რომელთა

საზოგადოებრივი მოხმარების საწარმოები ეკუთვნოდა, მაგრამ ამ წინააღმდეგობაშ არ უნდა დაჩრდილოს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ენერგეტიკული მრეწველობა გაბატონებული მონოპოლისტური ჯგუფების კონტროლის ქვეშ იმყოფება, მათ ინტერესებს ემსახურება. განუწყვეტელი ბრძოლა მეტოქე კაპიტალისტურ ინტერესებს შორის ენერგიის ახალ წყაროებზე კონტროლისათვის გარევნულად გამოიყრება როგორც ბრძოლა სახელმწიფოებრივ და კერძო საკუთრებას შორის, არსებითად კი წარმოადგენს ბრძოლას მონოპოლისტურ დაჯგუფებათა შორის ჰიდროენერგეტიკულ პროექტებზე კონტროლისათვის, განურჩევლად იმისა, თუ ვინ ახორციელებს ამ კონტროლს — მთავრობის ორგანოები, თუ კერძო კომპანიები.

ამჟამად ეს ბრძოლა მონოპოლიებს შორის ახალ ენერგეტიკულ წყაროებზე კონტროლისათვის ატომიკის სფეროზედაც გავრცელდა და საწარმოებზე სახელმწიფოებრივი საკუთრების ფარგლებში მიმდინარეობს. კიდევ მეტი, ეს ბრძოლა, აღბათ, კიდევ რამდენიმე ხანს იმავე ფარგლებში გაგრძელდება.

## სახელმწიფო საკუთრების ტერიტორი საფუძვლები

საქმე იმაშია, რომ ენერგიის ახალი წყაროს თავისებურებანი სახელმწიფოებრივი საკუთრების არსებობას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე კერძო საკუთრებისას და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ცენტრალური ატომური ძალსადგურის მშენებლობისათვის უამრავი კაპიტალია საჭირო. ჩვეულებრივ, სითბური დანაღვარებისაგან განსხვავებით, ატომური ძალსადგური შეძლებს შექმნას დამატებითი ატომგულური საწვავი, რომლის გამოყენება შეუძლია დამხმარე საფურებს. თუ „კვლავ წარმოქმნის“ პროცესში ცენტრალური სადგური მეტ სათბობს შექმნის, ვიდრე დახარჯავს, მაშინ ენერგიის გამოსამუშავებლად შესაძლო შეიქნება ერთგვარი ჯაჭვური რეაქციის შექმნა, რომელშიაც საწყისი სადგური გადამწყვეტ როლს ითამაშებს ქვეყნის შთელი ენერგომომარაგებისათვის. ატომური საწვავის და რადიაქტიური თანანაწარმის — იზოტოპებისა და გამოსხივების გამოყენების ახალ შესაძლებლობათა იღმოჩენასთან დაკავშირებით, პირველადი რეაქტორების მნიშვნელობა მთელი ეკონომიკისათვის ღროთა განმავლობაში შესაბამისად თანდათან გაიზრდება.

ამ მოსაზრებებთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ კიდევ შემდეგი: რამდენადაც ატომური საწვავი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ენერგიის გამოსამუშავებლად, ისე შეიარაღების დასამზადებ-

ლად, იმდენად პირველადი რეაქტორი შეიძლება ერთდროულად წარმოადგინდეს ძალსადგურსაც და არსენალსაც. პირველადი რეაქტორის ეს ორგვარი დანიშნულება წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან გარემოებას, რომელიც, მონოპოლიების თვალსაზრისით, სახელმწიფოებრივი საკუთრების დაწესების სასარგებლოდ ლაპარაკობს; ეს იქნებოდა წამყვანი მონოპოლისტური ჯგუფების მიერ ატომური მრეწველობის დამორჩილების საკუთხევლი ხერხი, მათი მთავარი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნებისა და მოთხოვნილების შესაბამისად.

თუ პირველადი სახელმწიფოებრივი რეაქტორების მიერ გამომუშავებულ ატომგულურ საწვავს, ფედერალური ხელისუფლების კონტროლის ქვეშ, კერძო შესაკუთრებებს შიაწოდებენ მეორადი რეაქტორებისათვის (რომლებიც თვითონ არ ქმნიან ახალ საწვავს), მაშინ, ცხადია, კერძო სექტორი ვერ შესძლებს გამოიმუშაოს სახელმწიფო სექტორზე მეტი ენერგია. ეს იმიტომ, რომ თუ სახელმწიფოებრივი რეაქტორების მიერ გამომუშავებული ენერგია სავსებით ფულში მართავდა, მაშინ ცენტრალურმა სადგურებმა ერთი კალათაზე ენერგია მაინც უნდა გამოიმუშაონ მეორადი სადგურების ყოველ კილოგატზე. მონოპოლიები ამ შესაძლებლობას ამჟამადაც კი უწევენ ანგარიშს, როდესაც სახელმწიფოს რეაქტორების მუშაობაში მთავარია ატომური საწვავის დამზადება შეიარაღების მიზნებისათვის.

ენერგიის გამომუშავება თუგინდ მეორე ხარისხოვან ამოცანად იქნას შიჩნეული, მაშინაც კი ცენტრალური ატომური ქვაბების მუშაობისას უამრავი ენერგია შეიქმნება. როგორც ჰიდროტექნიკური დანალგზრების შემთხვევაში, საღაც ენერგიის გამომუშავება მეორეხარისხოვან როლს თამაშობს წყლის დონის აწევის, ირიგაციის, წყლის მომართებელისა და ნაოსნობის ამოცანებთან შედარებით, ატომურ რეაქტორს შეუძლია შეასრულოს მრავალი სხვადასხვა სახის ფუნქცია. ის შეიძლება ისე იქნას აგებული, რომ მეტად თუ ნაკლებად ასრულებდეს ერთს ან რამდენიმე ისეთ ფუნქციას, როგორცაა შლადი ნივთიერების ან იზოტოპების წარმოება მეცნიერულ-კვლევითი და სამრეწველო მიზნით, რაღიაციის მიღება ტერაპიისა და ენერგიის გამომუშავება მრეწველობისათვის მოცულობითი გათბობისა ან სამრეწველო და ენერგეტიკული მიზნებისათვის. მიუხედავად ამისა, ყოველ ცალკე შემთხვევაში ლაპარაკია უდიდეს ენერგეტიკულ პოტენციალზე.

ამ მხრივ შეიძლება პირდაპირი ანალოგია გავატაროთ პიდროტექნიკურ დანადგარებთან მდინარე ტენესზე, რომლის ძირითადი ამოცანა, როგორც თავდაპირველად ფიქრობდნენ, უნდა ყოფილიყო წყლის დონის აწევა და წყლის ტრანსპორტის განვითარება. ენერგიის გამომუშავება კი მეორეხარისხოვან, დამხმარე ამოცანად ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, პიდროტექნიკური დანადგარები მდინარე ტენესზე გაცილებით მეტ ელექტროენერგიას იძლევიან, ვიდრე სხვა რომელიმე განცალკევებით ალებული ენერგეტიკული კომპლექსი შეერთებულ შტატებში.

როგორც კი დემონსტრირებული იქნება ატომური ენერგეტიკის ეკონომიურობა და ეფექტურობა; სულ უფრო ძნელი გახდება სახელმწიფო ატომური რეაქტორების ენერგეტიკული პოტენციალით სარგებლობაზე უარის თქმა, ისევე, როგორც შეუძლებელი შეიქმნა წყალგარღინილის პოტენციალური ენერგიით სარგებლობაზე უარის თქმა იმის შემდეგ, რაც დამტკიცებულ იქნა პიდროსადგურების რენტაბელობა. ცენტრალურ სადგურებზე ერთი ტონა გამდიდრებული ურანის „დაწვა“, არსებული მარგი ქმედების კოეფიციენტის პირობებში, მოგვცემს 6 მილიარდამდე კილოვატსათ ელექტროენერგიის დაკიდევ, სულ ცოტა, გადაზიდვისათვის მეტად ხელსაყრელი იმდენ პლუტონიუმს, რომელიც საქმაო იქნება. იმავე რაოდენობის ენერგიის მისაღებად სხვა ადგილზე. ამავე დროს, საწყისი ნივთიერებისაგან ამას გარდა მიიღება თითქმის ერთი ტონა ახალი რადიაქტიური ნივთიერება. და დიდი რაოდენობით დამატებითი ენერგია რადიაციის სახით. შესაძლებლობანი, რომლებიც ჩვენს წინაშე იხსნება, იმდენად დიდია თავისი მასშტაბით და გულისხმობს გამოყენების ისეთ მრავალსახეობას, რომ ამ პირობებში სახელმწიფოს ორგანოები წარმოადგენენ მონოპოლისტური კაპიტალისათვის საუკეთესო საშუალებას ატომურ მრეწველობაზე მათი კონტროლის განხორციელებისათვის.

მოკლედ რომ ვთქვათ, ატომიკის თავისებურებანი ხელს უწყობენ ისეთი სიტუაციის განვითარებას, როდესაც თვითაღმდეგი იაფი სახის ენერგია ატომგულურა და პიდროდინამიკური—თავს იყრის უმთავრესად სახელმწიფოს ხელში. მეორე მხრივ, ენერგია, რომელიც მიიღება ჩვეულებრივი სათბობის წყის დროს, რომლის რესურსები შეზღუდულია და ზრდადი ხარჯებითაა ამეამად შებორკილი, უმთავრესად, კერძო კაპიტალის ხელშია. კერძო კორპორაციები, რომელთა ხელშია საზოგადოებრივი მოხმარების საწარმონი, უეჭვე-

ლია, წინააღმდეგობას გაუწევენ ატომური ენერგიის სამრეწველო გამოყენებას, რადგან ეს არა მარტო ფასს დაუკარგავს მათ კაპიტალურ დაბანდებებს, არამედ წარმოშობს იმის საშიშროებასაც, რომ უფრო მძლავრი მონოპოლისტური დაჯგუფებები, დაინტერესებულნი პირველ რიგში იაფი ენერგიის მიღებითა და სამხედრო იარაღის დამზადებით, გამოიყენებენ თავის პრივილეგიურ მდგომარეობას ზრდად სახელმწიფოებრივ ენერგეტიკულ მრეწველობაში ახალ მოგებათა მისაღებად იმ ძველი კორპორაციების ხარჯზე, რომელთაც საზოგადოებრივი მოხმარების საწარმოები ეკუთვნიან და იმ მონოპოლისტური ჯგუფების ხარჯზე, რომელებიც იმ კორპორაციებთან მჭიდრო კავშირში იმყოფებიან.

## სახელმწიფო ჰიდროკუნძული

სახელმწიფო ენერგეტიკული მრეწველობის (რომელიც ძირითადად ჰიდროელექტროსადგურებიდან შედგება) პრობლემების განხილვა აადვილებს სახელმწიფოებრივი ატომური ენერგეტიკის პრობლემისა და მასთან დაკავშირებული კონფლიქტის ბუნების გაგებას.

ატომური ინდუსტრიის შექმნამდე ჰიდრონაგებობები სახელმწიფოებრივი წარმოების ტიპობრივ მაგალითს წარმოადგენდნენ. ჰიდრონაგებობათა მშენებლობის ზოგიერთი დამახასიათებელი მხარეები დახმარებას გვიშევნ გავერკვიოთ როგორც სახელმწიფოებრივი ატომური ენერგეტიკის პრობლემაში, ისე საერთოდ კაპიტალისტური სახელმწიფოს საკუთრების პრობლემაში.

გიგანტური ჰიდრონაგებობანი მრავალგვარ ფუნქციას ასრულებენ (ირიგაცია, წყლის დონის აწევა, წყალმომარაგება, ნაოსნობა მდინარეებზე, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია და სხვ.). ამ ამოცანის გადაჭრა დიდ გარდაქმნებს გულისხმობს სახელმწიფოს მთელ რიგ რაიონების ცხოვრებაში, რომელთა განხორციელებას კურძო მონოპოლია არ ითავსებდა, რადგან ასეთი სახის გარდაქმნიდან შეუძლებელია მოგების უშუალოდ და სწრაფად მიღება მთელი დაბანდებული კაპიტალიდან, ხოლო ამისათვის აუარებელი თანხებია საჭირო; მაგალითად, 1948 წლის ბოლომდე შეერთებული შტატების მთავრობამ 700 მილიონ დოლარზე მეტი გაიღო მდინარე ტენესიზე ჰიდრონაგებობათა მშენებლობისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ თანხებიდან მხოლოდ ნაწილი აღმოჩნდა მომგებიანი ამ სიტყვის პირდაპირი და ვიწრო გაგებით.

ამ სახელშიწიფოებრივი სამუშაოებიდან აღვილობრივ და სპეციალიზირებულ კორპორაციებს შეუძლია სარგებელი მიიღონ ისე, რომ თავისი კაპიტალიდან ერთი ცენტის რისკიც კი არ გაწიონ. ეს სარგებელი გამომდინარეობს ირიგაციისა და ენერგიის გაუმჯობესება-გაიაფებიდან, რასაც დადა მნიშვნელობა აქვს დასავლეთის შრატების მსხველი მექანიზირებული ფერმერული მეურნეობისათვის. კიდევ მ-ტი, ეს სახელმწიფოებრივი საჯაროები შესაძლებლობას უქმნიან ზოგიერთ მონოპოლისტურ ჯგუფს, რომლებსაც სპეციფიკური აღგილობრივი ინტერესები აქვთ და აგრეთვე ზოგიერთ მსხვილ კაპიტალისტებს, იერიში მიიტანონ მონოპოლისტური კაპიტალის ძეველ ან მათ მეტოქე ჯგუფების პოზიციებზე.

ამ დებულების საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიგონოთ დასავლეთის შრატების ზოგიერთი აგვილობრივი მონოპოლისტური ჯგუფის ცაქები, რათა სახელმწიფოებრივი ჰიდროპროექტები გამოეყენებინათ თავის საკონკურენციო ბრძოლაში გაბატონებული აღგრილობრივი მონოპოლიების წინააღმდეგ, მაგალითად, ჯიანინის საბანკო ჯგუფის სარეინიგზო კომპანიის „სუშერნ პასიუიკ რეილვეის“ და გიგანტურ მონოპოლისტური კორპორაციის—პასიფიკ გუბ ენდ ელექტრიკ კორპორეიშნის— წინააღმდეგ. რომელიც საზოგადოებრივი მოთხოვნილების ს-ჭარმოებს აერთიანებს. როცა ვლაპარაკობთ იაფი ენერგიის მნიშვნელობის შესახებ მრეწველობის ზოგიერთი დარგებისათვის, შეიძლება იკუთითოთ იმ სარგებლობაზე, რომელიც მდ. ტენესიზე ჰიდროდანადგართა მოწყობასა და კანადაში სახელმწიფო ენერგეტიკულ საჭაროთა აგებას შედეგად მიიღო ალუმინის ტრესტმა და ზოგიერთმა ქიმიურმა კორპორაციამ, ფერადი ლითონის გამომდნობა კომპანიებმა. თუ ვიტყვით ნაოსნობაზე, მაშინ შეიძლება აღვნიშნოთ ის სარგებლობა, რომელიც მდინარე ტენისზე ჩატარებული მშენებლობის შედეგად წილად ხედა შუა დასავლეთის შრატების მსხვილ კაპიტალისტურ ჯგუფებს, რომლებმაც გახსნეს ნაოსნობა, მდინარე ტენისის ხეობის გავლით, მდინარე მისისიპისაკენ. ამ მხრივ დამახასიათებელია ის მხარდაჭერა, რასაც ამერამად წერ ლავრენტის უბისაკენ ახალი არხის მშენებლობას უწევენ კლივლენდის ფოლადის მეფეები, რომლებმაც ამ უკანასკენელ ზანებში შეიძინეს რკინის მაღნის საბადოები ლაბრადორში და ეძებენ იაფ სანაოსნო გზას, რომელიც მათ რკინის საბადოებს ფოლადსასხმელ ქარხნებთან შეაერთებს.

ამრიგად, პიდრონაგებობათა მშენებლობას მხარს უკერს მსხვილ კაპიტალისტურ გაერთიანებათა მნიშვნელოვანი ნაწილი, ხოლო, როგორც წესი, ამ მშენებლობას წინააღმდეგობას უწევენ ის მსხვილი კორპორაციები, რომლებიც ჰყლობენ საზოგადო მოხმარების საწარმოებს და ზოგიერთ ცალკე შემთხვევაში — რეინიგზის კომპანიებიც, როცა მათ ინტერესებს საფრთხე მოელის. ხშირად ისედაც ხდება, რომ საწინააღმდეგო ინტერესები თვით რომელიმე მონოპოლისტური ჯგუფის კონტროლის ქვეშ მყოფ გაერთიანების წიაღში ჩადება, და არა მარტო სხვადასხვა კაპიტალისტურ დაჯგუფებათა შორის, რომლებიც მეურნეობის სხვადასხვა დარგში მოლვაწეობენ. საერთოდ, წარმოება თანდათან სულ უფრო და უფრო რთულდება; ამიტომ შესაძლოა რომ ერთი და იმავე წარმოების სხვადასხვა სექტორი შეიძლება ფინანსიურ კონტროლის სხვადასხვა ცენტრებს ექვემდებარებოდეს. ენერგიის წარმოება-მოხმარებაში მრავალი კომპანია დაინტერესებული. ამიტომ შესაძლო შეიქნა პიდროელექტრო წარმოების როგორც სახელმწიფოებრივი საკუთრების წარმოშობა, რომელიც კომპანიების ურთიერთგადახლართულ და ურთიერთმოწინააღმდეგე ინტერესთა ბირთვილან იშვა. ეს კომპანიები მიისწრაფებიან მიიღონ ესა თუ ის პრივილეგია სახელმწიფო აპარატის მეშვეობით, რომლის წიაღში გრძელდება მონოპოლისტური ბრძოლა, თუმცა, საერთოდ რომ ითქვას, ეს სახელმწიფოებრივი აპარატი მონოპოლიების ძირითად ინტერესებს ემსახურება.

ასეთი ვითარებით აისწნება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში პიდროენერგეტიკული რესურსები ჯერ კიდევ ვერ პოულობს სრულ გამოყენებას, თუმცა მათ შეეძლო მეტად მნიშვნელოვანი როლი ეთამაშნა მთელი რაიონების ეკონომიური განვითარების საქმეში. უს გავლენას ასდენს სითბოელექტროკენტრალების და პიდროელექტროსადგურების ხელით წონაზე ქვეყნის ენერგეტიკული მრეწველობის განვითარებაში, ამ უკანასკნელი ოცდახუთი წლის მანძილზე, როცა ელექტრობა მრეწველობის მთავარ მაძოძრავებელ ძალად გადაიქცა. 1920—1947 წწ. მანძილზე ელექტროენერგიის გამომუშავება სათბობის, უმთავრესად ქვანახშირის, დაწვის ხირზზე გაიზარდა შვიდჯერ, ხოლო პიდროელექტროსადგურების გამომუშავება — მხოლოდ ხუთჯერ. — გასაკებია, რომ პიდროენერგეტიკულ რესურსებს ყოველთვის როდი შეუძლია შეცვალოს ყველა სხვა სახის ელექტროენერგიის გამომუშავების წყარო, მაგრამ ზემოაღნიშნული შეფარდება ენერგეტიკის მძლავრი განვითარების პერიოდისათვის

(მიუხედავად იმისა, რომ ჰიდროელექტროენერგია თბოელექტრო-ცენტრალების ელექტროენერგიაზე უფრო იაფია და მიუხედავად იმი-სა, რომ ქვეყანაში მოიპოვება გამოუყენებელი ან მხოლოდ ნაწილობ-რივად გამოყენებული უამრავი ჰიდროენერგეტიკული რესურსების მოწმობს, თუ როგორ აფერხებდნენ სახელმწიფო ენერგეტიკული მრეწველობის განვითარებას კორპორაციები, რომლებიც საზოგადო-ებრივი ხმარების საწარმოებს ფლობენ.

კიდევ მეტი, სახელმწიფო ენერგეტიკულ მრეწველობას უქვემდე-ბარებდნენ სხვადასხვა მონოპოლისტურ დაჯგუფებათა და მათთან საზოგადოებრივი მოხმარების საწარმოების მფლობელთა კორპორა-ციების სპეციფიკურ მოთხოვნილებებსა და ინტერესებს. ეს იქიდან ჩანს, თუ როგორ ნაწილდებოდა მოხმარებელთა შორის სახელმწიფო ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ენერგია.

ასე, მაგ., მთელ იმ ელექტროენერგიიდან, რომელიც 1947 წელს გამოიმუშავეს ჰიდროსადგურებმა მდინარე ტენისიზე, 12%, მიიღო კორპორაციამ—„ალიუმინიუმ კომპანი თფ ამერიკა“, 12%—საზო-გადოებრივი მოხმარების საწარმოების მფლობელთა კორპორა-ციამ კერძო მომხმარებელთა შორის გასანაზილებლად; 35%— სხვა სამრეწველო და სახელმწიფო საწარმოებმა (უმთავრესად კი, რასაკვირველია, ოკრიჯის არომურმა ქარხანამ) და 30% კი მუნი-ციპალიტეტმა და სამომხმარებლო კოოპერატივებმა. როგორც ვხე-დავთ, მდინარე ტენისიზე ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამო-მუშავებული საერთო ენერგიის ნახევარი ერგო კერძო კომპანიებს. მასთან გაცილებით უფრო დაბალ ფასებში, ვიდრე მუნიციპალიტე-ტებს და კოოპერატივებს. მთელ იმ ელექტროენერგიიდან, რომე-ლიც გამოიმუშავა დასავლეთის მელიორაციის ბიუროს თხუთმეტმა ელექტროსადგურმა „გრანდკულის“ და „ბოულდერ დამის“ სადგურე-ბის ჩათვლით, 30% მიეცა საზოგადოებრივი მოხმარების საწარმოების მფლობელთა კორპორაციებს, კერძო მომხმარებლებზე შისასყიდად, 3% უშუალოდ მომხმარებლებს, ხოლო 67% საზოგადო დაწესებულე-ბებს და კოოპერატივებს, რომელთაგან მრავალი მსხვილი სასოფლო-სამეურნეო კორპორაციების კევეშ იმყოფებოდნენ.

## სახელმწიფო ეგზოგრაფიკის როლი

ჰიდროელექტროენერგიის გამომუშავების ზრდასთან ერთად მთე-ლი ქვეყნის მასშტაბით შემოღებულ იქნა ენერგეტიკული მრეწვე-ლობის სახელმწიფოებრივი რეგულირების გარკვეული ზომები. ეს

ზომები ითვალისწინებდა ფასების რეგულირებას; იმ ენერგიაზე, რომელიც საზოგადოებრივი მოხმარებისათვის იხარჯებოდა და განსაზღვრული სახელმწიფოებრივი კონტროლის დაწესებას კორპორაციებზე, რომლებიც საზოგადოებრივი მოხმარების საწარმოებს აერთიანებენ. ეს კონტროლი ხორციელდება ისეთ დაწესებულებათა მეშვეობით, როგორიცაა ფედერალური კომისია ენერგეტიკის საქიანებზე და ფასიანი ქალალდებისა და სავალიუტო ფონდების კომისია.

საერთო საზოგადოებრივი მოხმარების ელექტროენერგიის ფასებზე კონტროლის უპირველეს ამოცანას შეადგენდა შეესუსტებინა კონკურენცია არსებული სახელმწიფოებრივი ჰიდროელექტროსადგურების უფრო იაფი ენერგიისა და ქვანახშირით ჩომუშავე კერძო ელექტროსადგურების ენერგიას შორის, რასაკვირველია, სახელმწიფოს უფრო დაბალი ფასების აწევით. სახელმწიფო ორგანოების კონტროლის დაწესება კერძო მესაკუთრეთა კორპორაციებზე, რომლებიც საზოგადოებრივი მოხმარების საწარმოებს ფლობენ, ნაწილობრივ გამოწვეული იყო წვრილ აქციონერთა მოთხოვნილებით —დაცვათ ისინი იმ ბოროტმოქმედებისაგან, რომლებიც ე.წ. აოლდინგ-კომპანიის სისტემის არსებობიდან გამომდინარებდა. ეს სისტემა საშუალებას აძლევდა მსხვილ საქმოსნებს საზოგადოებრივი მოხმარების საწარმოების მფლობელთა კორპორაციებიდან, მცირედი კაპიტალის დაბანდებით კონტროლი გაეწიათ მთელი „იმპერიებისათვის“. ამ სახელმწიფოებრივმა ზომებმა ვერ შესძლო ვერც ხოლდინგ-კომპანიის სისტემის ალკვეთა, რომელიც მსხვილი კორპორაციების მიერ წვრილი აქციონერული კომპანიების დამორჩილებისაკენ იყო მიმართული, ვერც საერთო საზოგადოებრივი მოხმარების საწარმოთა მონოპოლიზაციის შეჩერება და ვერც ერთი მუქა მსხვილი მონოპოლისტების შერივ მათზე კონტროლის შეუერხება. სინამდვილეში სახელმწიფო რეგულირების ორგანოები ემსახურება ცალკეულ მონოპოლისტურ დაჯვაფებათა ინტერესებს, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად კარტელურ გაერთიანებათა ხასიათს ატარებენ. სამრეწველო მაგნატების ხელში ეს ორგანოები გადაიქცნენ იმ იარაღად, რომლის მეშვეობით ისინი ცდილობენ გარკვეული წონასწორობა დაამყარონ საზოგადოებრივი მოხმარების სახელმწიფო და კერძო საწარმოთა შორის, და გადაჭრან ურთიერთ შინააღმდეგობანი თვით მონოპოლიათა შორის, თუმცა კონკურენ-

ციია მონოპოლიათა შორის სახელმწიფო ოეგულირების ორგანოთა არსებობის დროსაც გრძელდება.

ჰიდროენერგეტიკის ზოგიერთ დამახასიათებელ თავისებურებათა ამ მოკლე მიმოხილვიდან შევვიძლია გავაკეთოთ რამდენიმე დასკვნა, რომელიც შეეხება როგორც ატომურ ენერგეტიკას, ისე საზოგადო სახელმწიფო საწარმოებს. თუ სახელმწიფო ენერგეტიკის შექმნის ისტორია რამდენადმე მაინც გამოგვადგება როგორც მაგალითი, მაშინ თეორიულად ამერიკის შეერთებულ შტატებში შესაძლოა სახელმწიფო ატომური ენერგეტიკის განვითარება, მაგრამ, ცხადია, იმ პირობით, თუკი დაძლეული იქნება ის მთავარი დაბრუკოლება მისი განვითარების გზაზე, რასაც ატომური ენერგეტიკის მილიტარიზაცია წარმოადგენს. სახელმწიფო ატომური ენერგომრეწველობის განვითარებას იგივე შეზღუდვები და იგივე ჩარევა შეაფერხებს, რაც სახელმწიფო ჰიდროენერგეტიკულ საწარმოთა მშენებლობის შემთხვევაში, და, იქნებ გაცილებით უფრო მეტადაც, იმის გამო, რომ ატომიკას იყენებენ სამხედრო მიზნებისათვის და რომ შესაძლებელია მისი მრავალგვარი მოხმარება მრეწველობაში, მეცნიერებასა და მედიცინაში.

მაგრამ სახელმწიფო ატომურ პროექტებს არ შეუძლია ალევეთოს ბაზრების ძალების ძირითადი გავლენა, რომლებიც, საბოლოო ჯამში, ატომიკის სამრეწველო გამოყენების ტემპებს და მასშტაბებს განსაზღვრავენ. კაპიტალისტური ბაზრის იგივე წინააღმდეგობანი, რომლის შედეგად ამჟამად ენერგეტიკულ მრეწველობაში „ჭარბი“ სიმძლავრეები წარმოიქმნება, ატომურ ენერგეტიკაზე დაც იქონიებენ გავლენას, დაშოუკიდებლად იმისა, სახელმწიფოს თუ კერძო კაპიტალის ხელში იქნება იგი. სახელმწიფოებრივი საკუთრება ამერიკის შეერთებულ შტატებში კერძო საკუთრების ბაზას ეყრდნობა და, მაშასადამე, ვერ დასძლევს კაპიტალისტური საზოგადოების კანონების მოქმედებას. როგორც ჰიდროენერგეტიკის შემთხვევაში, მთავრობას შეუძლია თავისთავზე აიღოს კონტროლის ზოგიერთი ფუნქციების განხორციელება და მრეწველობაში ატომიკის გამოყენების გზაზე მრისხანე ზღუდეებაც კი ააგოს, როგორც ამას ძირითადი კაპიტალისტური ჯგუფების ინტერესები და მათ მიერ წარმოებული პოლიტიკა მოითხოვს. მაგრამ ამ კონტროლის და შეზღუდვების, მათი გაძლიერების გინდ შესუსტების განხორციელება კაპიტალიზმის პირობებში, შესაძლოა, რომ დღითი დღე სულ უფრო და უფრო საძნელო გახდეს მრავალ ურთიერთსაწინააღმდეგო

და ურთიერთმებრძოლი ძალების წინაშე, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ამრიგად, კაპიტალისტურ მეურნეობაში სახელმწიფოს მზრდად როლს არავითარი საერთო არა აქტს საზოგადოებრივ დავეგმეას-თან იმ გავებით, რა გაგებითაც ჩვენ ამ ცნებით ვსარგებლობთ იმ პროცესის დასახასიათებლად, რომლის დახმარებით წარიმართება და ვითარდება მთელი ეკონომიკა სოციალიზმის პირობებში. რამდენადაც სახელმწიფოს მხრივ სხვადასახვა საწარმოების მიმართ, სახელმწიფოებრივი საკუთრების ჩათვლით, ჩარევა ან კონტროლი კიბიტალიზმის ბაზაზე ხორციელდება გაბატონებული მონოპოლი-სტური ჯგუფების ინტერესთა საიარგებლოდ, იმდენად ყოველივე ეს, არსებითად წარმოების და უგეგმობისა და კორპორაციების არსებული სტრუქტურის ხელშეუხებლობის პირობებში ხდება. სახელმწიფოს შეუძლია ზოგიერთი მცტად მნიშვნელოვანი მარეგული-რებელი და პოლიციური ღონისძიებანი განახორციელოს მონოპო-ლისტური კაპიტალის ინტერესთა სასარგებლოდ, მაგრამ ეს იწვევს მონოპოლისტური კაპიტალის სახელმწიფოსთან კიდევ მეტ შეზრდას და ხელს უწყობს ეკონომიკის კარტელიზაციას. სახელმწიფო რეგულირება სახელმწიფოებრივ მონოპოლისტური კაპიტალიზმის მხოლოდ ერთ მხარეს წარმოადგენს. მას არ შეუძლია შეაჩეროს ურთიერთსაწინააღმდეგო და მეტოქე ძალთა შეტაკება, რომლებიც განსაზღვრავს კაპიტალისტური სახოგადოების ეკონომიკას.

ამიტომ სახელმწიფოებრივი ატომური ენერგეტიკის განვითარება, რომელიც, შესაძლოა, კიდევ შეფერხდეს რამდენიმე ხნით, ვერ გადასჭრის კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში ატომიკის მთავარ პრობლემას— დალხთა ფართო მასების საკეთილდღეოდ უზარ-მაშარი საწარმოო ძალების გამოყენების პრობლემას.

---

## შეჯიბრების საუზადლები ატომური მცირების დარგი

**პ**რომური ენერგიის დარგში ქვეყნებს შორის შეჯიბრებას ამერიკის შეერთებულ შტატებში უყურებენ თითქმის მხოლოდ გამალებული სამხედრო შეიარაღების თვალსაზრისით. პირდაპირ უნდა ითქვას, დიდ უმრავლეს შემთხვევაში ამ საკითხს, როგორც გავს, იმ თვალსაზრისით უდგებიან, რომ მსოფლიო კონფლიქტში თავის აშენარა უპირატესობას უზრუნველყოფს ის ქვეყანა, როგორც ატომური იარაღის უფრო მეტი მარაგი აქვს დავროვილი. დამოუკიდებლად იმისა, პირდაპირ ლაპარაკობენ ამას თუ არა, სწორედ ასეთია ის თეორია, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ატომიკის მილიტარიზაციას უდევს საფუძვლად.

### მითი აბსოლუტური იარაღის შესახებ

ემ შეხედულების მომხრენი, ჩვეულებრივ, გულისხმობენ, რომ ომი შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის გარდაუვალია. ამაშია ომის გამჩალებელთა „დოქტრინის“ არსი, რასაც მრავალგზის ნიღაბი ახადა საბჭოთა კავშირმა, რომლის წარმომადგენლებს არაერთხელ განუცხადებიათ კაპიტალისტური და სოციალისტური ქვეყნების შევიღობიანი თანაარსებობის შესაძლებლობის შესახებ. ომის გარდაუვალობის თეზის ამერიკის შეერთებულ შტატებში იყენებენ როგორც საბაზს სასწრაფო ხელახალი შეიარაღებისათვის და როგორც „ცივი ომის“ მთელი პოლიტიკის გასამართლებელ საბუთს, რომლის მოფარებით ამერიკის იმპერიალისტური კაპიტალი მსოფლიო ბატონობისაკენ ისწრაფვის.

ამ „დოქტრინის“ პროპაგანდისტებს, როგორც ჰავას, სრულიადაც არ ეურცხვებათ წინააღმდეგობანი მათ მსჯელობაში. ურყევად დარწმუნებულნი, რომ მონოპოლიურად ჰქონდენ ატომურ ბომბს,

ასინი წმინდა ტექნიკურ და სამხედრო ნორმებს ეყრდნობიან და ცდილობენ წანაწარ განკურიტონ მოჩენებითი კონფლიქტის შესაძლო შედეგი ორ მოპირდაპირეს შორის, რომლებიც უფრო მეტად, ვიღრე სხვა რომელიმე ქვეყნები, წარმოადგენენ თანამედროვე ეპოქაში ძირითად დაპირისპირებულ სოციალურ და ისტორიულ ძალებს. შეჯიბრება ისტორიულად დრომოქმედულსა და ისტორიულად გარდაუგალ ხანას შორის შეიძლება ომის გარეშედაც მიმდინარეობდეს და მთოლოდ ამერიკის შეერთებობის შტატებსა და საბჭოთა კავშირს როდი შეეხება. სოციალიზმი შეერთებულ შტატებში ისეთივე ისტორიულად აუცილებელი გახდება ამერიკის საზოგადოების წინააღმდეგობათა ძირფესვიანი გადაჭრისათვის, როგორიც ის იყო რუსეთში. ხოლო უფრო დაგვიანებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიაც.

ატომურ ბომბებს, ანდა სხვა რაიმე სახის იარაღს არ შეუძლია ვაღასჭრას ეს დავა, თუმცა ატომური ბომბის ბოროტად გამოყენებას შეუძლია გამოიწვიოს კაპიტალიზმის ნგრევის დაჩქარება, ისე როგორც მეორე მსოფლიო ომის შედეგად აღმოსავლეთ ევროპის ხალხები სოციალიზმის გზას დაადგა, ხოლო დასავლეთ ევროპის კაპიტალიზმი კი სრული კატასტროფის მიჯნაზე აღმოჩნდა. ომის საფრთხე საზოგადოებრივ სისტემათა შეჯიბრებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ იმ მსოფლიო ექსპანსიიდან, რომელსაც ამჟამად ამერიკის იმპერიალიზმი ახორციელებს.

თუნდაც მარტო სამხედრო მეცნიერების თვალსაზრისით, ატომური იარაღის მარაგის შექმნის პოლიტიკას საფუძვლად უდევს მრავალი საღაო დებულება. მათგან ყველაზე მავნეა წარმოდგენა, რომ უპირატესობას შეიარაღების რაიმე ერთ დარგში, თუნდაც ისეთი შემთხვევების დარგში, რომელსაც საშინელი ნგრევითი უნარი აქვს, არაუქოს შეუძლია სხვ. სახის შეიარაღების სტრატეგიული კონცეფციის სრული მცდარობის, ომის ხასიათის სრული უსამართლობისა და ეკონომიკისა და სოციალური წყობილების საბეჭისწერო უძლურების კომპენსირება.

ეს არის „ტექნიკის ფეტიშიზაციის“ ის ახალი გამოსახულება, რომელზედაც საუბარი გვქონდა წინა თავებში. ეს არის რწმენა იმისა, რომ ნაციათა და საზოგადოებათა შორის გამომდინარე შეჯიბრების სასურველი დასასრულის უზრუნველსაყოფად მხოლოდ ტექნიკური უპირატესობაა საკმაო.

ბლეკეტშა თავის წიგნში დამაჯერებლად დაასაბუთა ამერიკის ოფიციალური პოლიტიკის ძირითადი შეცდომა.

მეორე მსოფლიო ომის დროს წარმოებულ სტრატეგიულ ბომბარდირებათა მნიშვნელობის ამომწურავი ანალიზის საფუძველზე ბლეკეტმა გვიჩვენა, რომ ამერიკის პოლიტიკა ატომური ენერგიის დარგში აგებულია უსუსური სამხედრო სტრატეგიის საფუძველზე, რომელშიაც სრულ უაზრობამდე გადაფასებულია საპარო ბომბარდირებათა მნიშვნელობა საერთო სამხედრო ოპერაციებში.

ბლეკეტის აზრით, ატომური ბომბის უფრო მეტ ნგრევით მოქმედებას, მეორე მსოფლიო ომში გამოყენებულ სხვა უძლიერეს ბომბებთან შედარებით არ ძალუდს იმ სამხედრო სტრატეგიის მცდარობის კომპენსირება, რომელიც ესოდენ დიდ მნიშვნელობას აძლევს თავდასხმას ჰაერიდან. მოაცლის რა შარავანდედს მითს აბსოლუტური იარაღის შესახებ (უნდა ითქვას, რომ ასეთი შარავანდედის მოცულა ხდება ყოველთვის ახალი სახის იარაღის გამოგონებისას), ბლეკეტი ააშეარავებს იქ სამხედრო მიზანდასახულობის მცდარობას, რომელიც საფუძვლად უდევს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას ატომური ენერგიის დარგში.

ბლეკეტი ასევე გვიჩვენებს, რომ ატომურ ენერგიაზე საერთაშორისო კონტროლის დაწესების ამერიკული გეგმა ნაკარნახევია არა მარტო სამხედრო მოსაზრებებით, არამედ ის გამომდინარეობს ატომური ენერგეტიკის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებიდან. ბლეკეტი ამტკიცებს, რომ საბჭოთა გეგმა მიხნად ისახავს ატომური ენერგიის მაქსიმალურ გამოყენებას მრეწველობაში, საბჭოთა კავშირის სამეურნეო მოთხოვნილებათა შესაბამისად.

მოპყავს რა ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკური ხაზი ატომური ენერგიის დარგში. ბლეკეტი მკვეთრად ჯანასხვავებს ერთი-მეორისაგან ამ ორ ხაზს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში.

თავის წიგნში ის მიღის იმ დასკვნამდე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წამოყენებული საერთაშორისო კონტროლის გეგმა უპასუხებს მთავარი იმპერიალისტური სახელმწიფოს სტრატეგიულ მიზნებს (რომელმაც უკვე დღესაც კი აღარ იცის თუ რა მოუხერხოს თავის საწარმოო ძალებს), სრულიადაც არ უზრუნველყოფს უშიშროებას და არც იძლევა მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების არავითარ გარანტიას. პირიქით, კონტროლის ამერიკული გეგმა ითვალისწინებს ატომური მონოპოლიის (რომელიც მხოლოდ მოჩვენებითია) შენარჩუნებას ამერიკის შეერთებულობრიტების მიერ და მსოფლიო მასშტაბით იმ დაბრკოლებათა გამა-

რადისებას, რომელიც მათ აღმართეს ატომური ენერგიის სასარგებლოვანების გზაზე, რაც დამახასიათებელია შეერთებული შტატების მრეწველობის მთელი სტრუქტურისათვის.

## საზოგადოებრივ სისტემათა შეჯიბრება

ჩვენს აშოუანას არ შეაფენს ატომურ ენერგიასთან დაკავშირებული კონტროლისა და სამხედრო პოლიტიკის პრობლემათა შემდგომი განხილვა. ნაცვლად ამისა ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია გავცილდეთ იმ დასკვნებს, რომელთა გაკეთების უფლებას ბლეკეტის წიგნი გვაძლევს.

თუკი შეიარაღება თავისთავად ატომური იარალის ჩათვლით გადამწყვეტ ფაქტს არ წარმოადგენს გამარჯვების უზრუნველყოფისათვის, არამედ წარმოებულია სხვა უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორებისაგან, მაში, რაღა უდევს საფუძვლად ატომურ შეჯიბრებას?

საქმე იმაშია, რომ საზოგადოებრივი სისტემა, რომელსაც შეუძლია მაქსიმალურად გამოიყენოს ატომური ენერგია სამშვიდობო-საქმიანობისათვის, სხვა ტექნიკურ გაუმჯობესებებთან ერთად, ისტორიულ განვითარების მსვლელობაში გამარჯვებული აღმოჩნდება, როცა დაისმება საკითხი ერთი საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობის შესახებ მეორე საზოგადოებრივი წყობილების წინაშე.

ატომიკის გამოყენების ხასიათი, როგორც საზოგადოდ ტექნიკისა, საზოგადოების კეთველუნარიანობის ერთ-ერთ მაჩვენებელს წარმოადგენს. საესებით ცხადია, რომ საზოგადოებას, რომელსაც შესწევს უნარი გამოიყენოს ახალი ტექნიკა შემოქმედებითი მიზნებისათვის, შეუძლია გაცილებით მეტი მისცეს მსოფლიოს ხალხებს, იმ საზოგადოებასთან შედარებით, რომელიც ატომიკას უმთავრესად ნერევის მიზნებისათვის ავითარებს. უკეთელია, რომ საბჭოთა კავშირი არ უგულებელყოფს ატომიკის სამხედრო მხარეს, რამდენადაც თავდაცვის საკითხებს მისთვის ჯერ კიდევ უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, როგორც ეს არაერთხელ იყო აღნიშნული, საბჭოთა კავშირი გააჩნია ყველა ტექნიკური მონაცემი და, უპირველეს ყოვლისა, სათანადო სოციალური ორგანიზაცია, სახალხო მეურნეობაში ატომიკის ეფექტურად გამოყენებისათვის.

ჩვენ არ ვიცით, თუ რატენად ინტენსიურად ავითარებს ამჟამად საბჭოთა კავშირი ატომურ ტექნიკას, თუმცა საბჭოთა წარმომადგენლებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ საბჭოთა კავშირიც დაფუფლდ ატომიკას, ისევე როგორც შეერთებული შტატები და, რომ

საბჭოთა მეცნიერება კიდევ დაწინაურდა ამ მხრივ. ჩვენთვის უცნობია ისიც, თუ რა მასშტაბით გამოიყენებს საბჭოთა კავშირი ატომიკას მრეწველობასა და ტრანსპორტზე, როგორც კი შექმნილ იქნება სათანადო ტექნიკური წინაპირობები. ატომიკის ჩანერგვა მეურნეობაში განხორციელდება საბჭოთა გეგმიანობის მტკიცე პრინციპების შესაბამისად. ასიგნობანი ატომური ენერგეტიკის განვითარებისათვის ვანხილული იქნება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში კაპიტალურ დაბანდებათა გეგმით დასახული ამოცანების განხორციელებისათვის, სხვადასხვა ტექნიკური მეთოდების სარგებლიანობის გათვალისწინებით. ატომური ენერგეტიკის განვითარების ტემპები მრავალ სხვა საერთო მეურნეობის ფაქტორებისგანაც იქნება დამოკიდებული. ყოველ შემთხვევაში, როგორც კი საბჭოთა კავშირი დამთავრებს წინასწარ სამზადისს ატომიკის დიდი მასშტაბით გამყენებისათვის, ის გაცილებით უფრო სწრაფად და უფრო ეფექტურად, ვიდრე სხვა რომელიმე ქვიყანა, შესძლებს მის დანერგვას.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება, მაგალითად, მივუთითოთ, რომ საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას წარმოების გასაფართოებლად საჭირო ენერგიაზე შეუძლია მართლაც რომ მძლავრი ბიძგი მისცეს სამრეწველო ატომიკის სწრაფ განვითარებას. ახალი და უფრო იაფი ენერგიის წყაროები, გარდა უკვე არსებულისა, ხელს შეუწყობენ სწრაფ სკლას კომუნიზმისაკენ, რომელიც მიზად ისახავს პროდუქციის მნიშვნელოვან ზრდას მოსახლეობის სულადობაზე. სწორედ ამაში მდგომარეობს საბჭოთა საზოგადოების მთავარი სამეურნეო ამოცანა. თუ საბჭოთა კავშირის სამრეწველო წარმოება სამოციანი წლებისთვის სამჯერ უნდა გაიზარდოს ომამდელ პერიოდთან შედარებით, როგორც ამაზე ომის შემდეგ მიუთითებდა სტალინი თავის სიტყვაში<sup>1</sup>, სადაც ლაპარაკია გეგმებზე, მაშინ სავსებით ცხადია, რომ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ენერგიის ზრდა შესაბამისი ტემპებით. ატომიკა, ახალ ჰიდროენერგეტიკულ დანალგარებთან ერთად, შეიძლება გამოიყენებულ იქნას ელექტროსალგურების არსებული ქსელის გასაფართოებლად და ენერგომომარაგების ისეთი წყაროებისაგან დამოკიდებულების შესასუსტებლად, როგორიცაა ნავთობი და ქვანახშირი.

<sup>1</sup>. იხილე: ი. ბ. სტალინი, სიტყვა ქ. მოსკოვის სტალინის სახელობის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასარჩევნო კრებაზე, სახელმწიფო პოლიტგამომცემლობა, 1946 წ. გვ. 22.

(რედაქტორის შენიშვნა).

როგორც ვსედავთ, ატომური ენერგეტიკა არნახულ შესაძლებლობას ჰქმნის ეკონომიურად ჩამორჩენილი რაიონების განვითარებისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, მრეწველობაში ახალი ტექნოლოგიისა და ახალი მასალების დანერგვისათვის და, საზოგადოდ, სამრეწველო განვითარების ტემპების გადიდებისათვის, რაც საბჭოთა დაგეგმვის მთავარ ამოცანას შეიღვინებს. გარდა აშისა, სახალხო მეურნეობის დაგეგმილი ზრდის შესაბამისად, აუცილებელი ხდება დიდ მანძილებზე გადაზიდვის ორგანიზაცია და სატრანსპორტო საშუალებათა გაფართოება, რაც დამატებით მძლავრ სტიმულს ჰქმნის ატომური ძრავების შესაქმნელად. არსებობს მრავალი მამოძრავებელი ძალები და მიზეზები, რომლებიც ზელს უწყობენ ატომიკის გამოყენებას იმ მიზნით, რომ გაადვილდეს და შემოქლდეს გზა კომუნიზმისაკენ, რომელიც ხალხისათვის სიუხვესა და სიმშვიდეს მოასწავებს.

მაგრამ საბჭოთა კავშირის ძირითადი განსხვავება კაპიტალისტური ქვეყნებისაგან მდგომარეობს არა მისი სახალხო მეურნეობის საწარმოთა გაფართოების აბსოლუტურ მოთხოვნილებაში, არამედ საბჭოთა საზოგადოების უნარიანობაში, უზრუნველყოს წარმოების ზრდა ხალხთა საკეთილდღეოდ, სულ უფრო და უფრო მზრდადი მასშტაბით. წარმოების განვითარების აბსოლუტური მოთხოვნილება არსებობს ყველგან, როგორც ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებსა და კოლონიებშიც. ინდოეთის ენერგეტიკული მოთხოვნილებები, მაგალითად, თავისი აბსოლუტური მნიშვნელობით გაცილებით მეტია, ვიღრე საბჭოთა კავშირის შესაბამისი მოთხოვნილებები, მაგრამ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ინდოეთი შესძლებს ატომიკის მნიშვნელოვან განვითარებას, ვინაიდან მას ხელს უშლიან ის შეზღუდვები, რომელსაც მას უქმნის მისი სოციალური წყობილება და იმპერიალისტური სისტემა. დაბახასიათებელი თავისებურება, რომელიც მხოლოდ საბჭოთა ეკონომიკას ახასიათებს, იმაში მდგომარეობს, რომ ის თავისუფალია თავის განვითარებაში, თავისუფალია ყოველგვარი შეზღუდვისაგან მონოპოლისტური კაპიტალისა და იმპერიალიზმის მხრივ, რომ თავისი სოციალისტური ბუნებით ის ყოველთვის უდიდესი ტემპებით ვითარდება, რამდენადაც ამის საშუალებას აძლევს მას არსებული რესურსები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მთავარ დაბაზრკოლებელ ფაქტორს, ატომური ენერგიის შემოქმედებითი გამოყენებისათვის, წარ-

მოადგენს არა სხვა სახის ენერგიათა სიჭარბე, არამედ წინააღმდევობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და ძირითად საწარმოო საშუალებებზე კერძო კონტროლის ან კერძო საკუთრებას შორის. ცწორედ ეს წინააღმდევებობა უშლის ხელს ხალხთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას აბსოლუტური მნიშვნელობით, რამდენადაც წარმოების მამოძრავებელ ძალას მოგება წარმოადგენს და, რამდენადაც სამრეწველო წაომოების განვითარება, ყოველ აღებულ მომენტში, კაპიტალისტური ბაზრის ტევადობით განისაზღვრება.

თუ კაპიტალისტურ ბაზარს შესწევს ცოტა ხნით გაფართოების უნარი, ეს გაფართოება მხოლოდ ცალკეულ მომენტში შეესაბამება საწარმოო ძალების განვითარებას. ეს აისანება კაპიტალისტური ექსპლოატაციით, როცა მუშათა კლასს ერთმევა ზისი შრომის პროდუქტის უდიდესი ნაწილი, რომელსაც კაპიტალისტი მოგებად აქცევს. ამიტომ მოთხოვნილების ხასიათი პირობითი და არარეგულარულია. იგი, ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებასთან შედარებით, ყოველთვის შეზღუდულია მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარით, დამოკიდებულია დოკუმენტის უკიდურესად უთანაბრო განაწილებაზე და განიცდის კაპიტალისტური წარმოების მუდმივი ანარქიის, ხან აღმავლობისა და ხან ჩავარდნის გავლენას.

მიწოდება თავის მხრივ განისაზღვრება უმთავრესად ბაზრის მოგებიანობით და არა ქვეყნის ფაქტიური პოტენციური რესურსებით.

ეს უმთავრესი წინააღმდევებანი, რომლებიც ზედმიწევნით გაიზარდა და გამწევდა მეორე მსოფლიო ომის შედეგად, აბრკოლებენ და აყოვნებენ ატომიკის სამშვიდობო გამოყენებას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საბჭოთა კავშირში არ არსებობს ის მთავარი წინააღმდევებანი, რომელიც კაპიტალისტურ საზოგადოებას ახასიათებს. ეს წინააღმდევობა მოისპონ წარმოების მთავარ საშუალებებზე კერძო საკუთრების ლიკვიდაციით. კერძო კაპიტალისტური საკუთრება და კონტროლი შეიცვალა სოციალისტური სახელმწიფოს საკუთრებით მთელი საზოგადოების ინტერესების შესაბამისად და ხელისუფლების სათავეში მუშათა კლასის ჩადგომა აღინიშნა ძირითადი შემობრუნებით კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ.

ამ გარდაქმნის შედეგად მოთხოვნილება საქონელზე საბჭოთა კავშირში დღითი დღე იზრდება და უსწრებს მიწოდებას; მასთან, მიჲ აბსოლუტური ზრდა შეიძლება შეზღუდულ იქნას მხოლოდ ნედ-

ლეულთა არსებული ნაციონალური რესურსებით, ხოლო შეფარდებითი ზრდა კი თავდაცვითი საჭიროებებით და კაპიტალის დაბანდების აუცილებლობით, შემდგომი განვითარების მიზნით. ასეთ პირობებში საზოგადოებრივი მოთხოვნილება თავისუფლად გამოვლინდება და არ განიცდის რამე წინააღმდეგობას ან შეზღუდვას, რომელიც ჩატარის ჩემნის კაპიტალისტური ბაზარი. მაშასაღამე, მოსახლეობის მოთხოვნილება წარმოადგენს უდიდეს სტიმულს საწარმოო ძალთა განვითარებისათვის, რაც თავის მხრივ, იწვევს შრომის ტეირთის შემსუბუქებას.

რამდენადაც მცირეა რესურსები ხალხის მოთხოვნილებებთან შედარებით, იმდენად ბუნებრივია მისწრაფება წარმოების ეფექტურობის გადიდებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდისაკენ. საშინაო ბაზოის განუსაზღვრელი მასშტაბი წარმოადგენს მუდმივად მოქმედ სტიმულს ტექნიკის განვითარებისათვის. და რამდენადაც საარსებო დონე ქვეყანაში პირდაპირ დამოკიდებულია შრომის ნაყოფიერებისაგან, იმდენად მუშის ინიციატივა ყოველთვის მიმართულია იქითკენ, რომ არ დაუშვან ტექნიკური განვითარების მოღუნება წარმოების არც ერთ მნიშვნელოვან უბანზე.

საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობა კიდევ უფრო მკეთრი ხდება, როცა ჩვენ გადავდივართ ტექნიკის გამოყენების ზოგიერთ სპეციულურ მხარეთა განხილვაზე. ისეთი მნიშვნელოვანი ახალი ტექნიკის გამოყენება, როგორიცაა ატომიკა, იწვევს შეტად დიდი გარდაქმნების აუცილებლობას, როგორც კაპიტალისტურ, ისე სოციალისტურ საზოგადოებაში, მაგრამ თვით „გარდაქმნის“ პროცესი იქა და აქ სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს. არსებოთ ეს ცნება არც კი შეიძლება გამოყენებულ იქნას კაპიტალიზმის მიმართ, ვინაიდან კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიკაში ახალი ტექნიკის დანერგვის პროცესი არ შეიძლება ჩაითვალოს გეგმიან გარდაქმნის პროცესად, რამდენადაც ის მთელი რიგი კონტროლის გარეშე მყოფი და ერთიმეორის საწინააღმდეგო ძალები. სა და ტენდენციების მოქმედების შედეგია.

წარმოების უაღრესი კონცენტრაციისა და ფინანსური კონტროლის ცენტრალიზაციის პირობებშიც კი, რაც მონოპოლიური კაპიტალის დამახასიათებელია, ახალ ტექნიკურ გაუმჯობესებათა შემოღება განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, ბაზრის პირობებით, ე. ი. მოგების ნორმის გადიდების შანსებით. ტექნიკურ პროგრესს შეიძლება ხელი შეუწყოს აგრეთვე მრეწველობის სხვადასხვა დარ-

გებსა და მონოპოლისტურ ჯგუფებს შორის კონკურენციამაც და მსხვილი და საშუალო კაპიტალის ონტერესების შეჯახებამ. მაგრამ ბიძგს, რასაც ბაზრის გაფართოება იძლევა, ყოველთვის თან სდევს საწინააღმდეგო ზეგავლენა, გამოწვეული მისი შევიწროებით, ხოლო ტექნიკის განვითარებას, რომელიც მოგებისათვის საკონკურენტო ბრძოლასთანაა დაკავშირებული, სულ უფრო უშლის ხელს მზრდადი შეზღუდვები მონოპოლიების მხრივ, რასაც ისინი ახორციელებენ თავისითავად ან სახელმწიფოს მეშვეობით. რაც უფრო მაღალია მონოპოლიზაციის დონე, მით უფრო მოდუნებას განიცდის ეკონომიკა, მით სულ უფრო ძნელი ხდება ახალ ტექნიკურ გაუმჯობესებათა დანერგვა.

საბჭოთა კავშირში მოწინავე ტექნიკის დანერგვა და მასთან დაკავშირებული გარდაქმნები წარმოადგენ ჩვეულებრივი დაგეგმვის ძირითად ამოცანას და არა ბაზრის ფუნქციას ან მოქიშვე ძალთა მოქმედების შემთხვევით შედეგს. სოციალისტური საკუთრება დაგეგმვის შესაძლებლობას ჰქმნის უდიდესი მასშტაბით. მოწინავე ტექნიკის დანერგვის საკითხის გადაჭრა ხდება არა მარტო სწრაფი და რომელიმე დარგით შეზღუდული მოგების მიღების თვალსაზრისით, არამედ მთელი მრეწველობის, მთელი რაიონის, მთელი სამეურნეო კომპლექსის, მთელი ქვეყნის ინტერესების შესაბამისად, დროის განსაზღვრული პერიოდისათვის, რომელიც წლებით იზომება.

ამიტომაც საბჭოთა კავშირი მოწინავე ტექნიკის გამოყენების საკითხში მოქმედების გაცილებით მეტი თავისუფლებით სარგებლობს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები. თუ შეერთებულ შტატებს ხელს უშლიან ისეთი მრავალრიცხოვანი დაბრკოლებები, როგორიცაა მოძველებულ ტექნიკურ მოწყობილობაში დაბინდებული კაპიტალი, მონოპოლისტური კონტროლი მთლიან სამეურნეო კომპლექსებზე ან უბნებზე, წარმოების „ჭარბი“ სიმძლავრის საშიშროება, საბჭოთა კავშირს შეუძლია ატომური ენერგეტიკა და ატომური ძრავები გამოიყენოს მის წინაშე მდგომი სამეურნეო ამოცანების განსახორციელებლად, ამისათვის საჭირო რესურსებითა და კეალიფიცირებული მუშა ძალით უზრუნველყოფით.

შეერთებული შტატების დაქსაქსულ და მონოპოლიებზე დაქვემდებარებულ ეკონომიკასთან შედარებით საბჭოთა კავშირი სარგებლობს განუსაზღვრელი თავისუფლებით იმ სიძნელეთა გადაწყვეტის საქმეში, რომელიც გარდაუვალად წარმოიშვება მნიშვნელოვან ტექნიკურ წამოწყებათა დროს.

დიდი ხარჯების გაწევა რაც ტექნიკურ დანადგარების მოდერნიზაციასთან, მრეწველობის ხალი დარგების შექმნასთან და ქვეყნის ახალი რაიონების ეკონომიკურ განვითარებასთანაა დაკავშირებული, ყოველთვის უფრო ადვილია, როდესაც ეს მთელი ქვეყნის ეკონომიკის, მთელი სამეურნეო სექტორის მასშტაბით ხდება და დამოუკიდებელი არაა ამა თუ იმ მონოპოლისტური ჯგუფის მიერ მოების მიღების პერსპექტივაზე. გარდა ამისა, სოციალისტური გეგმიანობა უზრუნველყოფს უფრო მეტ შესაძლებლობას მრეწველობის საწარმოთა განლაგების საქმეში (არსებულ ენერგომომარაგების წყაროების ნედლეულთა რესურსების, რაიონებისა და მთელი კავშირის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით), ვიღრე ეს არის შეერთებულ შტატებში, სადაც უკვე დიდხანს არსებული კერძო კაპიტალისტური კონტროლის გამო გამეფებულია შეურიგებელი განწყობილება ყოველივე ახალის მიმართ. მოწინავე ატომური ტექნიკის უპირატესობანი, რომლებიც მეურნეობის მთელ რიგ ძირითად დარგებს შეეხება, საბჭოთა კავშირში შეიძლება, არსებულ ტექნიკასთან ერთად, გამოყენებულ იქნას გეგმით დასახულ ამოცათა გიდასაწყვეტად და არა საკონკურენციო ბრძოლისათვის ტექნიკურ მოწყობილობასთან.

დაგეგმვის ამოცანის მიზანს შეადგენს არა მარტო რეგულირება და მართვა; დაგეგმვა ყოველ საფეხურზე—დაწყებული სამქროდან და გათავებული უმილესი დამგეგმავი ორგანიზაციებით, წარმოადგენს მამოძრავებელ ძალას, რომელიც ემსახურება სოციალისტური განვითარების ამოცანის გადაჭრას დროის მოცემულ პერიოდში. მოწინავე ტექნიკა ხელს უწყობს არა მარტო ხუთწლიანი გეგმის უახლოესი ამოცანების შესრულებას, არამედ განვითარების მოცემული ისტორიული პერიოდის ამოცანების განხორციელებასაც. ასე, პირველი ხუთწლიანი გეგმის ამოცანას შეადგენდა სოციალიზმის შენებლობა. შემდგომი ხუთწლედები მიმართული იყო სოციალისტური საზოგადოების განმტკიცებასა და კომუნიზმში გადასცლის მომზადებისაკენ. კომუნიზმი სოციალისტური განვითარების შემდგომი ეტაპი, ეტაპი, როცა ყველა მიიღებს მოთხოვნილების მიხედვით. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მაღალი წარმოების ნაყოფიერება და იმიტომ აუცილებელია ტექნიკის გამუდშებული პროგრესი. ამგვარად, ტექნიკური პროგრესის მამოძრავებელი ძალები საბჭოთა საზოგადოებაში შესუსტების არავითარ ნიშნებს არ იჩენენ, არამედ, პირიქით მუდმივად მოქმედ ფაქტორს წარმოადგენენ.

ზოგიერთ წერში ჯერ კიდევ აღგილი აქვს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის შეუფასებლობას. სანამ საბჭოთა კავშირი არსებულ ეკონომიურ განვითარების დონეს მიაღწევდა, მას უამრავ სიძნელეთა დაძლევა დასჭირდა ტექნიკის დარგში და, მასთან ერთად, კვალიფიცირებული მუშა ძალის მომხადების საქმეში, რაღვან საბჭოთა კავშირი ამ საქმიანობას ქვეყნის მეტად დაბალი ეკონომიური განვითარების დონიდან შეუდგა. საბჭოთა კავშირის მიღწევების მასშტაბი შეიძლება დავინახოთ შემდეგი მაგალითიდან.

ჯერ ერთი, რომ მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ საბჭოთა კავშირის მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქცია თითქმის თორმეტჯერ აღემატებოდა მეფის რუსეთის სამრეწველო პროდუქციას, 1913 წელს, ე. ი. პირველი მსოფლიო ომის წინ. 1928 წლიდან—პირველი ხუთწლედის პირველი წლიდან—1940 წლამდე, მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზარდა ექვსნახევარჯერ, ხოლო წარმოების საშუალებათა წარმოება—ათჯერ.

მეორე ის, რომ საბჭოთა ეკონომიკაშ გადასჭრა ფრონტისათვის ისეთი მაღალი ხარისხისა და ისეთი დიდი რაოდენობით იარაღის მიწოდების ამოცანა, რომ ის საქმაო აღმოჩნდა ისეთი მრისხანე სამხედრო მანქანის დასამსხრევად, როგორიც ისტორიას არ ახსოვს. ეს ამოცანა შესრულებულ იქნა, მიუხვდავად იმისა, რომ ომით გამოწვეული დანაკარგებისა და სამრეწველო წარმოებების აღმოსავლეთში ევაკუაციის გამო, რაც ნაცისტთა შემოსევის უმძიმეა პერიოდში მიმდინარეობდა, მრეწველობის საერთო პროდუქცია თითქმის 60 პროცენტით შემცირდა, ხოლო ლენდლიზით მიწოდება საბჭოთა სამხედრო პროდუქციის 4% ზე მეტს არ შეადგენდა. დამთავრდა თუ არა ეს ტიტანური შებრძოლება, რამაც იმსხვერპლა მიღიონაბით საბჭოთა მოქალაქე და გამოიწვია უდიდესი ზარალი, საბჭოთა ქვეყანა შეუდგა თავისი ეკონომიკის აღდკენას და შემდგომ განვითარებას ისეთი ტემპებითა და წარმატებით, რომ წარმოების დონე, წინასწარი შედეგების მიხედვით, 1950 წელს 50% -ით მაინც გადააჭარბებს ომისწინა დონეს.

მესამე ის, რომ განვითარების ისეთი ტემპების პირობებში, როგორსაც მთელმა საბჭოთა ეკონომიკაშ 1928 წლის შემდეგ მიაღწია, და ამავე დროს ომის წლებში—არაკუპირებული რაიონების ეკონომიკის საფუძველზე, საბჭოთა კავშირი შესძლებს მიაღწიოს დასახულ

მიზანს — გაუსწროს შეერთებულ შტატებს წარმოების დონის მხრივ სამოციან წლებში.

სავსებით ცხადია, რომ საბჭოთა კავშირის ესოდენ დიდი მიღწევები შეუძლებელი იქნებოდა პირველხარისხოვანი ტექნიკის განვითარებისა და შრომის შესაბამისი ჩვევების შეძენის გარეშე. ასევე შეუძლებელია უახლოესი ათწლედის ამოცანების გადაწყვეტა შემდგომი მიღწევების გარეშე ტექნიკისა და მუშების კვალიფიკაციის ამაღლების დარგში. ტექნიკის გაუმჯობესება საბჭოთა ხუთწლიან გეგმებში ყოველთვის დიდ როლს თამაშობს. ავტორიტეტული მონაცემების თანახმად, ომის შემდგომ ხუთწლიან გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი წარმოების მექანიზაციას და ქვეყნის შემდგომ ელექტროფიკაციას. თანამედროვე მოწინავე ტექნიკის განვითარების დარგში გათვალისწინებულია უანგბადისა და ელექტროდენის ჩანერგვა, წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებში ინფრაწითელი გამოსხივების, რეაქტიული და ატომური ტექნიკის გამოყენება წარმოებაში. ჯეროვანი ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე დიდი სიმძლავრის მუდმივი დენის შორს მანძილებზე გადაცემის შემდგომ განვითარებას, სინთეტიკური პროდუქტების წარმოებას, რაღიოლოკაციასა და შორსხედვის განვითარებას.

ირკვევა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არ არის ტექნიკის არც ერთი ისეთი დარგი, რომელიც ინტენსიურ განვითარებას არ განიცდიდეს საბჭოთა კავშირში. საბჭოთა მეცნიერები და ტექნიკოსები ამუშავებენ ურთულეს ტექნოლოგიურ პროცესებს. კარგადაც ცნობილი, რომ მეორე მსოფლიო ომის წლებში საბჭოთა კავშირი თავისი ქარხნებიდან უკვე უშვებდა სპეციალურ ელექტრულ ნათურებს რადარებისათვის და უკვე ჰქონდა მოქმედი ციკლოტრონი. მეცნიერულ-აკლევითი მუშაობის ჩასატარებლად, ატომური ენერგიის დარგში, ეს იმ დროს, როცა ამ ხელსაწყოების დამუშავება შეერთებულ შტატებში სრულიად საიდუმლო დარგად ითვლებოდა. ვტოვებთ რა განხილვის გარეშე მაგალითს საბჭოთა ტექნიკის უპირატესობის შესახებ, მთელ რიგ სხვა დარგში (როგორიცაა ფოლადის წარმოება, სინთეტიკური პროდუქტების წარმოება, ენერგომრეწველობა), შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ შეერთებულ შტატებს არ შეუძლია დაასახელოს არც ერთი თავისი უპირატესობა, რომლის მიღწევა საბჭოთა კავშირს უახლოეს მომავალშივე არ შეეძლოს.

მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ტექნიკის დარგში საბ-

კოთა კავშირი და შეერთებული შტატები თითქმის, ასე თუ ისე, თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან.

შეერთებულ შტატებს აქვთ რიცხობრივი უპირატესობა, რაც ნაწილობრივ აიხსნება მათი უპირატესობით პროდუქციის საერთო მოცულობის მხრივ. მაგრამ ეს უპირატესობა სულ უფრო და უფრო იყლებს, რამდენადაც საბჭოთა საზოგადოება სწრაფად და განუწყვეტლივ ავითარებს თავის საწარმოო ძალებს სოციალისტური საზოგადოების მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამავე დროს მოწინავე ტექნიკის განვითარების ტემპები შეერთებულ შტატებში ამჟღავნებს მერყეობის ტენდენციას, ეკონომიკის მერყეობის შესაბამისად. კიდევ მეტი, ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა, მიაღწია რა 1943 წელს სამხედრო წარმოების უმაღლეს დონეს ომის წინა პერიოდთან შედარებით, მიუხედავად წარმოების მაღალი დონისა, მაინც ამჟღავნებს დაქვეითების საერთო ტენდენციას, მსგავსად იმისა, რასაც ადგილი პქონდა ოცდაათიან წლებში, და ამით ამჟღავნებს კაპიტალიზმის დაღუპვის ნიშნებს. გადამეტწარმოების ახალი კრიზისი, რომელიც, როგორც ჩანს, 1948 წლის ბოლოს დაიწყო, გამოიწვევს არა მარტო ამერიკული წარმოების მოცულობის მნიშვნელოვან შემცირებას, არამედ ტექნიკის განვითარების ახალ მუხრუჭად იქცევა.

შედარებით ხელსაყრელ პირობებშიაც კი ამერიკის შეერთებულ შტატებში მრავალი ახალი ტექნიკური მიღწევა ცხრაკლიტულშია ჩაკეტილი, მერყევი ეკონომიკა და მონოპოლისტური კონტროლი ამ ცოდნით და მიღწევებით სარგებლობის უფლებას კვეცს იმასთან შედარებით, რაც საკიროა ჩვენი ეკონომიკის ნამდვილი და აუცილებელი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მონოპოლიებზე დაქვემდებარებულ ჩვენს ქაოტურ მეურნეობაში მოწინავე ტექნიკა სრულ გამოყენებას ვერ პოულობს. საბჭოთა კავშირში კი, სოციალისტური გეგმიანობის წყალობით, ტექნიკა უფრო რაციონალურად და მეტი წარმატებით გამოიყენება. შეერთებულ შტატებში ტექნიკის განვითარების ტემპები კლებულობს, ხოლო საბჭოთა კავშირში ეს ტემპები განუწყვეტლივ იზრდება.

მაშასადამე, შეერთებული შტატების უპირატესობა, პროდუქციის საერთო მოცულობის მხრივ, ატარებს მხოლოდ დროებით და ფარდობით ხასიათს. ამავე დროს, არც ტექნიკურ ცოდნათა დარგში, არც საერთო მეცნიერების დარგში შეერთებულ შტატებს არ შეუძლია რაიმე უპირატესობის დაჩინობა.

იმავე დაგეგმვის პროცესის მეშვეობით, რაც მრეწველობის მოწინავე ტექნიკის შეიარაღების ტემპებს განსახლვრავს, საბჭოთა კაფშირს შეუძლია განახორციელოს საზოგადოების გარდაქმნა, რომლის აუცილებლობა ტექნოლოგიის შეცვლითაა გამოწვეული. მუშები, რომლებიც თავისუფლდებიან მრეწველობის რომელიმე დარგში უფრო სრულყოფილი მანქანებისა და ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენების შედეგად, შეიძლება გადაყვანილ იქნენ სხვა სამუშაოზე. მასთან, მათი პროფესიონალური მომზადება ახალ უბანზე სამუშაოდ, სადაც ახალი ტექნიკის ცოდნაა საჭირო, შეიძლება აგრეთვე გეგმიანად მიმდინარეობდეს: შრომის ნაყოფიერების ზრდა, რაც მოწინავე ტექნიკით შეიარაღებასთანაა დაკავშირებული, აგრეთვე გათვალისწინებულია გეგმის შესაბამისად, საერთო სამეურნეო ბალანსში. მოკლედ რომ ვთქვათ, არც „ტექნიკური უმუშევრობა“, არც საწარმოო აპარატის ჭარბი სიმძლავრე ბაზრის მიმართ არ წარმოადგენერირობლების იმ საზოგადოებაში, რომლის თანდაყოლილი თვისებაა მაქსიმალურად განვითარებული წარმოება და მუშა ძალის მთლიანი გამოყენება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კი მდგომარეობა სულ სხვაგვარია. ტექნიკის პროგრესი ზრდის როგორც საწარმოო აპარატის სიმძლავრეს, ისე შრომის ნაყოფიერებას. მაგრამ სწორედ ამის გამო ტექნიკის პროგრესი იწვევს საზოგადოების წინააღმდეგობათა გაძლიერებას. საწარმოო აპარატის სიმძლავრის ზრდა შეერთებულ შტატებში აღრმავებს უფსკრულს საწარმოო ძალებსა და მოსახლეობის ყიდვითი უნარიანობას შორის. საერთოდ, ასეთივე შედეგები შორის უნარიანობის უნარიანობის ზრდასაც, რადგან პროდუქციის ნაშატის მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო ნაწილი ხმარდება ხელუასის გადიდებას, მასთან ხელფასის გადიდების დონე მუშაობა პროფესიონალური კავშირების ძლიერებაზე და ბრძოლის უნარზეა დამოკიდებული. პროდუქციის ნაშატის უდიდესი ნაწილი ხმარდება მოგების ზრდას, ასე, რომ მოხმარებითი უნარიანობა ისევ უკან ჩამორჩება ნაყოფიერების ზრდას.

კრიზისის ამ ელემენტებს აძლიერებენ სხვა ფაქტორებიც, რომლებიც ტექნიკის გაუმჯობესებასთანაა დაკავშირებული. ერთ-ერთ ასეთ ფაქტორს წარმოადგენს მონოპოლიების ზრდა, რასაც ხელს უწყობს ტექნიკის სულ მეტი და მეტი გართულება, რაც, თავის მხრივ,

იწვევს სამრეწველო საწარმოთა შემდგომ კონცენტრაციას და მოი-თხოვს კაპიტალის დიდი რაოდენობით დაბანდებას. ამით კიდევ უფრო მწვავდება კონკურენცია როგორც თვით მონოპოლისტურ ჯერთიანებათა შორის, ისე მონოპოლიებსა, ერთის მხრივ, და სა-შუალო და წერილ მრეწველთა შორის, მეორე მხრივ. ეს კონკუ- რენცია უდავოდ ვითარდება არა უკანასკნელთა სასარგებლოდ. მონო- პოლიების ზრდისას - სულ უფრო და უფრო მკაფიოდ იჩენს თავს საწარმოო დონის შემცირების ტენდენცია ეკონომიკის გადამწყვეტი (და ყველაზე უფრო მონოპოლიზირებულ) უბნებზე, რათა არით შენარჩუნებულ იქნას მაღალი ფასები. ეს გარემოება, იმ გავლენას- თან ერთად, რომელსაც მონოპოლიები ახდენენ ეკონომიკის მთელ სხვადასხვა დარგზე, იწვევს იმას, რომ ბაზარზე ზედმეტი პროდუქ- ციის გამოჩენას უშეტეს შემთხვევაში მოსდევს წარმოების არა „ზო- მიერი“ შემცირება, არამედ მძაფრი შეკვეცა.

რაც უფრო სრულყოფილი ხდება მანქანები შეერთებულ შტატებ- ში, მით მეტი მუშები რჩებიან უმუშევრად. ეს შედეგია არა მარტო ახალი ტექნიკის დანერგვისა, რაც მუშის შრომის მანქანის მუშაო- ბით შეცვლის საშუალებას იძლევა, არამედ ოფლსალენი სისტემის ინტენსიფიკაციისაც, რაც ახალ ტექნიკასთანაა დაკავშირებული. რადგან, მასობრივი წარმოების მეთოდები ხელს უწყობს მუშაობის ტემპების სისტემატურ ზრდას, ხოლო ის სამრეწველო საწარმოები, რომლებიც არახელსაყრელ პირობებში ვარდებიან სხვა საწარმოე- ბში ახალი ტექნიკის დანერგვისა და ახალი ნედლეულის გამოყენე- ბის გამო, ცდილობენ თავი დააღწიონ ამ მდგომარეობას მუშათა- ეჭსპლოიტაციის გადიდების ხარჯზე, ოფლსალენი სისტემის შემოლე- ბის საშუალებით.

ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკაში მანქანის მიერ მუშის გამოდენა და ოფლსალენი სისტემა ჯერ კიდევ მეორე მსოფ- ლიო ოშის წინ გადაიქცა სერიოზულ პრობლემად. ათწლეულის (1921—1930 წწ.) მანძილზე, პირველად შეერთებული შტატების ისტორიაში, შოხდა წარმოებაში ჩაბმული მუშების რიცხვის შემცი- რება, მიუხედავად პროდუქციის საერთო რაოდენობის მნიშვნელო- ვანი ზრდისა. ეს ტენდენცია გრძელდებოდა ოცდაათიან წლებშიაც, თუმცა გრანდიოზული კრიზისის დროს ტექნიკურმა უძრაობამ რა- მდენიმედ შეანელდ მუშების მანქანით შეცვლის ტემპები. მეორე მსოფლიო ომის დროს სამრეწველო მუშების რიცხვის ზრდის ტემ- პები ორჯერ ნაკლები იყო მრეწველობის საერთო პროდუქციის

ზრდის ტემპებთან შედარებით. დღითი დღე სულ უფრო შესამჩნევი ხდება მუშათა კლასისათვის ომის დროს განხორციელებული ახალი ტექნიკით შეიარაღებისა და ომის შემდეგ მრეწველობის გადახალი-სების შედეგები.

იზრდება ნაწილობრივად დატერიტულ მუშათა რიცხვი, მიმდინარეობს მუშათა მასობრივი დახოვნა, რაც ხელს უწყობს უმუშე-გართა არმიის ზრდას შეერთებულ შტატებში.

ჯერ კიდევ სავსებით ნათელი არ არის ატომიკის ის მხარეები, რომლებიც დაკავშირებულია მუშის შეცვლასთან მანქანის მიერ, ფინაიდან ეს ახალი ტექნიკა ჯერ კიდევ თავისი განვითარების საწყის სტადიაში იმყოფება. მაგრამ, რამდენად შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ატომური ენერგეტიკა შეეხება პირველ რიგში და უშუალოდ ქვანახშირის მოპოვებასა და ქვანახშირის გადაზიდვას, განსაკუთრებით კი რკინიგზით გადაზიდვას. ქვანახშირის მოპოვების მრეწველობაშიაც და რკინიგზაშედაც მექანიზაციას და კონკურენციას, ახალი სახის საწვავისა ან სხვა სახის ტრანსპორტის მხრივ, წინა-მდებარების გამოუწვევით მასობრივი უმუშევრობა. ატომური ენერგიის გამოყენების გაფართოება ეკონომიკის ახალ დარგებში, მასთან ელექტროფიკაციის გაგაფებასა და ზრდასთან ერთად, გამოიწვევს სოციალურ უთანხმოებათა გამწვავებას, უმუშევრობის, კრიზისებისა და ეკონომიკაში კონკურენციის ზრდის გამო. ატომური ტექნიკის განვითარებას სულ ახალი და ახალი დაბრკოლებები გადაელობება. ამგვარად, ატომიკა, უწყობს რა ხელს მონოპოლიების ზრდასა და სამრეწველო პარატის ჭარბ სიმძლავრეთა შექმნას, იმავე დროს თვითოვე წარმოშობს დაბრკოლებებს თავისი განვითარების გზაზე.

ასეთია ის საფუძვლები, რომლებზედაც ემყარება ორი სისტემის ფარმულა, როგორც ატომური ენერგიის დარგში, ისე საზოგადო-უბრივი განვითარების მთელ სფეროშიაც.

ამ ორ სისტემის შორის შეჯიბრება არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ როგორც ბრძოლა გამალებული შეიარაღებისათვის, ვინაიდან ესა თუ ის იარაღი შეუძლებელია უფრო მძლავრი იყოს, ვიდრე ის საზოგადოებრივი. სისტემა, რომელიც მას ჰქმნის, ან უფრო ეფექტური, ვიდრე ის პოლიტიკა, რომელიც მის გამოყენებას განსაზღვრავს. შეერთებულმა შტატებმა, მიშართა რა თავისი მთავარი ძალები ატომიკის დარგში ატომური ბომბების მარაგის დაგროვებისა და „ზებომბის“ შექმნისაკენ, შესაძლოა, უკვე წააგო შეჯიბრება ატომიკის სხვა უფრო მნიშვნელოვან დარგში, როგორც მათ ეს წააგს ტექნიკის საზოგადოებრივი გამოყენების საქმეში საერთოდ.

## ატომიკის პროგლობა

**პ**რომური საშიშროება არ წარმოიქმნება საზღვარგარეთიდან და არც „ატომური ჯაშუშებიღან“ ქვეყნის შეგნით. მას თვით ჩვენი ქვეყნის საზოგადოებაში ლრმა კონფლიქტები ჰქონდნენ. თუ ჩვენ ტექ-ნიკის ამ ახალ საკვირველებას ნგრევითი მიზნებისათვის გამოვიყე-ნებო, მაშინ ჩვენ სრულიად სამართლიანად გვეწვევა ჰიტლერული გერმანიის ანალოგიური ბედი. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ატომიკის ხალხის საკეთილდღეოდ გამოყენებას, მაშინ გახრმა კიდევ უფრო მოედება ჩვენს საზოგადოებას. ავ საკითხის გადაჭრა მხოლოდ სო-ციალიზმს შეუძლია, რომელიც ატომური პრობლემის დადებითი გადაჭრის საფუძველს უზრუნველყოფს.

იმ საფუძველით განსაკუთრებული პირობების გამო, რომელშიაც დაი-ბადა და თავდაპირველად ვითარდებოდა ატომიკა, ეს ახალი ტექ-ნიკა თავის გამოვლინებათა უმრავლესობაში იქცა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის სიმპტომად. ატომიკა, როგორც სამხედრო შრეწვე-ლობა, ისეთ დროს დაიბადა, როცა ომის მსვლელობის მიხედვით ამერიკის შეერთებული შტატები მთავარ იმპერიალისტურ სახელმ-წიფოდ უნდა გამხდარიყო. მონოპოლისტურ მიტაცებათა, სტრატე-გიული ექსპანსიისა და ახლად-თავწამოწეული მსოფლიო რეაქციის დახმარების პოლიტიკაში ატომიკა, ატომური ბომბის სახით, ცენ-ტრალურ როლს თამაშობდა. „ატომური დიპლომატია“ გახდა ის ეპითეტი, რომელსაც სულ უფრო ხშირად ხმარობენ შეერთებული შტატების იმპერიალიზმის მიმართ, როდესაც ეს უკანასკნელი ცდი-ლობს მის მიერ ახალი იარაღის დაუფლება, თავისი მრეწველობის უპირატესობასთან ერთად, გამოიყენოს საკუთარი მიზნების განსა-ხორციელებლად შევიწროებულ და საერთოდ დაუძლურებულ კაპი-ტალისტურ სამყაროს ფარგლებში და ამავე დროს ლამობს შეზღუ-

ჭოს და ძირი გამოუთხაროს სოციალისტურ ან სოციალიზმისაკენ მიმავალი ქვეყნების სამრეწველო განვითარებას. ამგვარად, ატომური იარაღი გახდა ორგვარი პოლიტიკის ინსტრუმენტად: სოციალიზმის მიმართ მტრული გარემოცვის შექმნის პოლიტიკის ინსტრუმენტად ერთის მხრივ, და სხვა ქვეყნების შეერთებულ შტატებზე დამონების პოლიტიკის ინსტრუმენტად, მეორეს მხრივ.

უნდა გვახსოვდეს, რომ შეერთებულმა შტატებმა მხოლოდ ომის შეოხებით შესძლეს გაესწროთ სხვა ქვეყნებისათვის ატომური ენერგიის დარღვი, რომ მათ ბედმა ააცილა ომის საშინელება და ნგრევა, რამდენადაც ამერიკა სხვა ქვეყნებისათვის არსენალის როლს ასრულებდა. ბრძოლის ველიდან დიდი მანძილით დაშორებულმა შეერთებულმა შტატებმა შესძლეს ატომური ბომბის შესაქმნელად თავი მოეყარათ მეცნიერებისათვის მრავალი ქვეყნიდან (ბოროტგანზრახვით გამორიცხეს რა მათი რიცხვიდან საბჭოთა მეცნიერები) და დაგროვილი დიდძალი კაპიტალი გრანდიოზულ და ძვირ ტექნიკურ სამუშაოებზე გამოყენებინათ უკვე წინათ გაკეთებულ მეცნიერულ აღმოჩენათა განსახორციელებლად. სხვების ხარჯზე მიღებულმა უპირატესობამ შეერთებულ შტატებს მიანიჭა ატომური ბომბის დროებითი შონოპოლისტური მფლობელობა. გაბატონებული იმპერიალისტური სახელმწიფოს მდგომარეობა შეერთებულმა შტატებმა გამოიყენა საზღვარგარეთელ მეცნიერთა მოსახყიდად, ატომური ნედლეულის მტაცუმლურად მისათვისებლად, ატომგულური საწვავის მარაგის დასაგროვებლად და აგრეთვე იმ მასალათა გადასამაღავად, რომლებიც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო შემოქმედებითი მიზნებისთვის.

მასასადმე, პირველი უდიდესი წინააღმდეგობა, რაც ატომიკის განვითარებამ წარმოშვა, არის წინააღმდეგობა უდიდესი საწარმო ძალების გამოყენებასა—ნგრევის მიზნებისათვის, ერთის მხრივ, და ამავე ძალების გამოყენება სამშვიდობო მიზნებისათვის—მეორე მხრივ. მეცნიერებისა და ტექნიკის ერთ-ერთი უდიდესი თანამედროვე მილწევა—ატომიკის განუსაზღვრული ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენება შეერთებული შტატების მიერ აღკვეთილ იქნა ჩასახვის-თანავე და მიმართულ იქნა სამხედრო მიზნებისაკენ. ხოტბის ჰიმნი, რომელსაც უძღვნიან ატომურ ბომბს და რომლითაც ესოდენ დაფინებით გვიმასპინძლდებოდნენ მისი იაპონიის წინააღმდეგ პირველი შესაზარებელი გამოყენების დღიდან და თანამედროვე შეერთებული შტატების მესვეურების ამ მასობრივი ხოცვაულეტის იარაღის წინაშე

მუხლმოდრეკა საოცარი სიცხადით გვიჩვენებს იმ მორალური კრიზისის სილრმეს, რომელსაც განიცდის შეერთებული შტატები—იმპერიალიზმის ეს ციხე-სიმაგრე.

მეცნიერებმა სხვებზე უფრო ადრე გაიგეს ატომიკის ამ პირველი გამოყენების მნიშვნელობა. ბევრი მათგანი გრძნობდა, რომ ატომურმა აფეთქებამ ხიროსიმში დაბრკოლებები შექმნა ატომიკის უდიდესი დადებითი პოტენციალის გამოყენების გზაზე. მათ იგრძნეს უდიდესი სულიერი გაპარტახება, რომელიც მოიცავს აღამიანს, როცა მოულოდნელად ფასს კარგავენ ის მორალური სიმღიდრენი და იდეალები, რომელთაც ისინი პატივს სცემდნენ. ისინი მხოლოდ უაზრო განადგურების პერსპექტივებს ხედავდნენ.

მრავალი მათგანი გაბედულად ჩაება ბრძოლაში მრეწველობის ამ ახალ დარგზე სამხედრო კონტროლის შენარჩუნების წინააღმდეგ, რაც ფაქტიურად ატომიკის სამშვიდობო რელსებზე გადაყვანისათვის ბრძოლას წარმოადგენდა. სამოქალაქო კონტროლის დადგენა მხოლოდ ფორმალური გამარჯვება იყო ამ ბრძოლაში. არსებითად ატომური ინდუსტრია ისევ სამხედრო მრეწველობად რჩება და სამხედრო პოლიტიკის ინტერესებს ექვემდებარება, რამდენადაც ანტიკომუნისტური, ფაშისტური „ჯვაროსნული ლაშქრობის“ ვითარებაში, რომელიც შეერთებულ შტატებში მშვინვარებს, ხალხმა ვერ შესძლო მთლიანად შეეგნო მშვიდობიანობის ბრძოლის გაშლის აუცილებლობა და ამიტომ ვერ მოაწრო ფართოდ გაეშალა ეს ბრძოლა.

ატომური ფსიხოზისა და ანტისაბჭოთა პროპაგანდის საფარის უკან ახალი მრეწველობა ისევ სამხედრო და მონოპოლისტური გევლენის ხუნდებითაა შებორკილი. ეს განუზომელ ზიანს აყენებს როგორც ატომურ მეცნიერებას, ისე ატომურ ტექნიკას ისეთ დროს, როცა ატომური ტექნიკის მშვიდობიანი განვითარება უქმნის ჩვენს თაობას ყველა ქვეყნისათვის ესოდენ საჭირო და სასარგებლო სამრეწველო ენერგიით მომარაგების განუსაზღვრელ შესაძლებლობას. ეს შეძლულები, საწარმოო და მეცნიერულ მიღწევათა დარგში, ემთხვევა ატომიკის პოლიტიკური მიზნებისათვის ბოროტად გამოყენებას რეაქციის მიერ, რაც ემუქრება ჩვენს თავისუფლებასა და მშვიდობიანობას მთელს მსოფლიოში.

ამერიკელმა ატომისტ-მეცნიერებმა უნდა იკისრონ პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რომელიც მშვიდობიანობის საქმეს მიადგა. იმის პერიოდში ატომური ბომბის შექმნაზე მომუშავე ცნობილ მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა მხარი დაუჭირა ატომური ბომბის

გამოყენებას იაპარიის წინააღმდეგ, ფიქრობდნენ რა, რომ ატომური ბომბი მოახლოებდა ომის დასასრულს, თუმცა ასეთი გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა მთლიანად ვაშინგტონს ეკისრება. ეს გადაწყვეტილება მაშინ მიღებული იყო აშეარა პოლიტიკური მოსაზრებით და მიზნებით, რომლებიც შიმართული იყო იაპონიაზე ცალმხრივი ამერიკული კონტროლის დამყარებისაკენ, როცა უკვე ცნობილი შეიქნა, რომ სადაცაა საბჭოთა არმია იაპონიის მთავარ შეიარაღებულ ძალებს მანჯურიაში შემუსრავდა.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მეცნიერები, რომლებიც ითვალისწინებდნენ საფრთხეს ატომური ბომბის ნგრევითი უნარის გამო და სურდათ გაეფრთხილებინათ ხალხი ახალი ომის საშიშროების შესახებ, არსებითად ხელს უწყობდნენ ომის გამჩალებლებს, რამდენადაც ეხმარებოდნენ მათ შეექმნათ მითი აბსოლუტური იარალის შესახებ, და ბერავდნენ ახალი ფეთქებადი მასალის ნგრევით უნარს, რაც რეალური სინამდვილის ყოველივე ჩარჩოს სცილდებოდა მსოფლიო პოლიტიკისა და ომის წარმოების თანამედროვე ხერხების დარგში. სწორედ ამ შიშს, გაძლიერებულს იდუმალობის ნილაბით და ფანტასტიკური მსჯელობით ავტომატური ომის შესახებ, იყენებენ ამერიკელი ატომური დიპლომატები თავიანთი ინტერესებისათვის.

ისინი იყენებდნენ შეერთებულ შტატებში გულმოდგინედ გავრცელებულ იმ ერთ-ერთ ძირითად მცდარ შეხედულებას, თითქოს გაერთიანებული გრების ორგანიზაციის მიერ ატომურ ენერგიაზე კონტროლს ამერიკული გეგმების სახელმობრ „ბარუშის გეგმის“ მიღება თავისებთავად უზრუნველვყოფლის მშეიღობიანობას. ეს აშეარა შეკრიტიკა, ვინაიდან ყოველი ქმედითი კონტროლის სისტემა უკრიტულს დიდი სახელმწიფოების მშეიღობიანი მორიგების მიზანს; კონტროლი ატომურ ენერგიაზე უნდა იყოს მხოლოდ უსატერითი საკითხი შეთანხმების სხვა მნიშვნელოვან საკითხთა შორის. კიდევ მეტი, ამერიკული გეგმის ძირითად და ჰეშმარიტ მიზანს შეადგენს მთელს მსოფლიოზე ატომური მონოპოლიის ისეთი სისტემის დადგენა, რომელიც უზრუნველყოფდა შეერთებული შტატების გაბატონებულ მდგომარეობას და მითს აბსოლუტური იარალის შესახებ გახდიდა სხვა ქვეყნების დამორჩილების საშუალებად. როდესაც საბჭოთა კავშირმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წინადაღება შეიტანა ატომური იარალის, სხვა მასობრივი ხოცვის იარალთან ერთად, დაუყოვნებლივი აკრძალვისა და შეიარაღების საერთო შეკვეცის შესახებ, როგორც საერთაშორისო

კონტროლის გეგმის აუცილებელი და განუყრელი პირობა, მაშინ შეერთებული შტატების პოლიტიკის მესვეურები მიუთითებდნენ ამ წინადაღებაზე როგორც „საბუთზე“, თითქოს საბჭოთა კავშირს არ სურდეს მათთან თანამშრომლობა და გამოიყენეს ეს წინადაღება როგორც ახალი მიზეზი „ციფი ოშის“ საწარმოებლად.

ამგვარად, ატომიკის ბოროტად გამოიყენებამ ახალი, მეტად ლრმა კრიზისი შეჰქმნა მეცნიერებაში. კრიზისმა დაღი დაასვა მთელ მეცნიერებას, მაგრამ განსაკუთრებული ძალით იჩინა მან თავი ატომიკაში, სადაც წინააღმდეგობა მის სამხედრო და სამშვიდობო გამოიყენებას შორის განსაკუთრებით მკეთრად მულავნდება. კრიზისი მეცნიერებაში გამომდინარეობს უშუალოდ იმ გარდაუვალი და ზრდადი კონტრასტიდან, რასაც ადგილი აქვს მისი მიღწევების ნგრევითსა და შემოქმედებით გამოიყენებას შორის. ამ წინააღმდეგობის გალრმავება თანამედროვე კაპიტალიზმის საერთო ხრწნის შედეგია. ატომიკაც გაიხლართა იმ შიდა კონფლიქტებისა და ინტერესთა დაჯახების კომპლექსში, რომლებიც დამახასიათებელია დალუპვის გზაზე მდგომი მთელი კაპიტალისტური სისტემისათვის.

მეცნიერების ამ კრიზისის გამწვავების მომენტში სერიოზულად გამოთქვამდნენ შეხედულებას, თითქოს ჩვენ შეგვეძლო ნაწილობრივ გამოგვესყიდა დანაშაული ხიროსიმოს ტრაგედიაში და აგვერიდებინა მომავალი შესაძლო ტრაგედიები, თუ სამუდამოდ უარს ვიტყოდით ატომური საწვავის წარმოებაზე. ასეთივე წარმატებით შეიძლებოდა შეერთებული შტატებისათვის წინადაღება მიგვეცა წინასწარ მოფიქრებით მოესპოთ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალები და შრომის შეძენილი ჩვევები, რამდენადაც ისინი საჭიროა თანამედროვე ომის წარმატებით ჩასატარებლად. ასეთივე ლოგიკით შეგვეძლო წამოგვეუწყებია წინადაღება ჩვენი საწარმო ძალების სანახევროდ მოსპობა-განაღვეურების შესახებ იმ მიზეზით, რომ ახალ ეკონომიკურ კრიზისს შეუძლია გაანახევროს ეს წარმოება. სასოწარკვეთილებით ნაკარინახევ გამოსავალს არეფერი საერთო არა აქვს არც საქმის კეშმარიტ ვითარებასთან მსოფლიო პოლიტიკისა და საზოგადოების განვითარების დარგში, არც მეცნიერების ნამდვილ დანიშნულებასთან, როგორც ინსტრუმენტთან, რომელიც მოწოდებულია გააძლიეროს ბუნებაზე ადამიანის ბატონობა მისი საარსებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

მეცნიერების კრიზისის ნამდვილი სილრმე მაშინვე ნათელი გახდება, როგორც კი მივხვდებით, რომ ეს კრიზისი გამოწვეულია კაპი-

ტალისტური საზოგადოების ძირითადი წინააღმდეგობებით და, აქედან გამომდინარე, ატომიკის კაცობრიობის საკეთილდღეოდ გამოყენების შეუძლებლობით. ასე, მაგალითად, მრეწველობაში ატომიკის გამოყენების წარმატება გამოიწვევდა ახალ ნახტომს წინ საწარმოო ძალთა განვითარებაში, რაც ბევრად გადააჭარბებდა ტექნიკის განვითარების არსებულ მაღალ დონეს, კაპიტალიზმს კი უკვე დღეს აღარ ძალუს გამოიყენოს. \*არსებული ტექნიკა კაცობრიობის ნამდვილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისას ხსენებულმა ძირითადმა წინააღმდეგობამ იჩნახული ძალით იჩინა თავი მთელს მსოფლიოში, რაც ყველაზე უფრო მკეთრად ჩანს ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე, საღაც ხელოვნურად გაბერილი საწარმოო ძალები გასაქანს ვეღარ პოლობდა მსოფლიო ბაზრის შემცირებისა და გაჩანაგების პირობებში.

ამ ძირითად წინააღმდეგობას ესაჭიროება მხოლოდ ერთი რადიკალური გადაწყვეტა, საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნა, ნაციონალურ რესურსებზე და შრომის პროდუქტებზე კერძო საკუთრების მოსპობით, რაც გარანტიას იძლევა, რომ ჩვენი საწარმოო ძალები მაქსიმალურად იქნება გამოყენებული ხალხის საკეთილდღეოდ. იმისათვის, რომ მეცნიერება შეერთებულ შტატებში ფეხზე დავაჭრონთ და ვაძლეოთ იგი ემსახუროს საზოგადოებას, მეცნიერება უნდა გავანთავისუფლოთ მონაპოლისტური კაპიტალის ულლიდან და შევუქმნათ მას მეცნიერების თანამედროვე განვითარების შესაფერი ბაზა, რაც მხოლოდ სოციალიზმის პირობებშია შესაძლებელი. ფრიდრიხ ენგელსი, ლაპარაკობს რა ბურუჟაზიული ფილოსოფიის გაქორებაზე, ამბობს: „რაც უფრო გაბედულად და ურყევად გამოიტანს მეცნიერება, მით უფრო შეესაბამება იგი მუშების მისწრაფებასა და ინტერესებს“<sup>1)</sup>.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ, სანამ სოციალიზმის გზაზე შევდგებით, ჩვენ შევძლებთ თავი დავალწიოთ იმ უფსკრულს, რომლისკენაც გვიბიძგებს მომაკვდავი კაპიტალიზმი. შედეგი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორი წარმატებით შესძლებენ ამერიკის მუშათა კლასი და მისი დემოკრატიული მოქავშირენი, რომლებიც შეადგენენ ხალხთა უმრავლესობას, წინ აღუდგნენ იმ საშიშროებას, რაც მათ ემუქრება.

<sup>1)</sup> კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ტ. 14,გვ. 677—678 (რუსული გამოცემა).

ჩვენ მართლაც რომ გვემუქრება უშუალო და დიდი საშიშროებანი. ჩვენ ახლაც კი ატომიკისა და სხვა მოწინავე ტექნიკის მრეწველობაში გამოუყენებლადაც. არ ვიცით თუ რა მოვუხერხოთ „ჭარბ“ საწარმოო ძალებს, რომლებიც გამოვლინებას პოულობენ საქონლის გასაღების კრიზისში, რაც შეიძლება კიდევ უფრო მძაფრი შეიქნას მომავალში. ატომიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის სხვა მნიშვნელოვანი დარგების მილიტარიზაცია ზრდის ომის საფრთხეს. მონოპოლიების მყიდრო შეზრდა სახელმწიფო აპარატთან ბადებს ფაშიზმის საშიშროებას.

ეს რეალური საშიშროებანი, რაც ამცრიყელ ხალხსა და მთელ მსოფლიოს ემუქრება, შეიძლება დაძლეულ იქნას მხოლოდ ხალხთა ბრძოლის პროცესში მშვიდობიანობისათვის, დემოკრატიისათვის და ეკონომიური სიმტკიცისათვის. ჩვენი გიგანტური მრეწველობის განვითარებამ შეცნიერები გახდა საწარმოო პროცესების განუყრელ მონაწილედ, მაგრამ ამით ისინი პოლიტიკური დისკუსიისა და ბრძოლის ფერხულში ჩაბმული აღმოჩნდნენ. შეცნიერებსაც მოუხდებათ გააკეთონ არჩევანი, თუ ვის ემსახურონ—მონოპოლიებს და მილიტარიზმს, თუ ხალხს. მრავალი შეცნიერი მთელს მსოფლიოში უკვე მიხედა, რომ შეცნიერთა კანონიერი აღგილია ხალხის გვერდით, მის ბრძოლაში უკეთესი მომავლისათვის.

ამ ადამიანებისათვის მეორე მსოფლიო ომის დამთავრება არ ნიშნავდა ფაშიზმთან ბრძოლის დამთავრებას. მათი დეზორიენტირება და დემორალიზება ვერც მეცნიერების კრიზისმა შესძლო, ვინაიდან მარქსიზმში და სოციალისტური საზოგადოების მიღწევებში, რაც უზრუნველჰყოფს მეცნიერების იდეოლოგიურ დამოუკიდებლობას მონოპოლიებისაგან და მათი დაკნინებული თეორიისა და პრაქტიკისაგან, მეცნიერებმა მტკიცე და საიმედო საყრდენი პპოვეს. უერთდებიან რა ხალხთა ზრდად მოძრაობას ახალი ომის გაჩაღებისა და „ერთგულების ფიცის“ ტირანიის წინააღმდეგ, მეცნიერები შესძლებენ დახმარება აღმოუჩინონ და იხსნან მეცნიერება შეერთებულ შტატებში იმ ბედისაგან, რომელიც გას წილად ხვდა პიტლერულ გერმანიაში.

ატომიკის, როგორც მეცნიერების, დემილიტარიზაცია წარმოადგენს იმ საბრძოლო გეგმის ნაწილს, რომელიც ჭეშმარიტი მშვიდობიანობის განმტკიცების საქმეს ემსახურება. მეცნიერება განთავისუფლებულ უნდა იქნას თანამედროვე სამხედრო ბორკილებისაგან, მას უნდა მიეცეს უფლება კვლევითი მუშაობა აწარმოოს ატომური ენერგიის ყველა

ჭარგში გამოსაყენებლად, რასაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი მეცნიერებისათვის და საზოგაცოებისათვის. მეცნიერების კარგა ხნის ჩამორჩენილობას შეერთებულ შტატებში შეიძლება ბოლო მოელოს, თუ მას სამშვიდობო გზაზე დავაყენებთ და აღვადგენთ მეცნიერული ინფორმაციის თავისუფალი გაცელა-გამოცვლის ტრადიციულ პრინციპებს.

„თავისუფალი მიწვედომის“ კონცეპცია, რომელსაც ასე მობეჭრებით ქაღაგებენ ამერიკული ექსპანსიონისტები სხვა ქვეყნების დოვლათის მიმართ, უპირველეს ყოვლისა, განხორციელებულ უნდა იქნას თვით შეერთებულ შტატებში იმ ატომურ ნედლეულით თავისუფალი სარგებლობის დაშვებით, რომლის მთავარი წყაროები ამჟამად სამხედრო წარმოების მიზნებისთვისაა მონოპოლიზირებული. ამერიკულ ატომურ საწარმოთა მეცნიერული და ტექნიკური მიღწევები, რაშიაც დიდი წილი მიუძლვის უცხოეთის მეცნიერებს, საესებით უნდა დაექვემდებაროს სამშვიდობო საქმიანობის მიზნებს. მთელი სახელმწიფო მრეწველობა უნდა შეუდგეს ატომური ენერგიის სამრეწველო გამოყენების ამოცანის გადაწყვეტას. ამ მუშაობის შედეგები უნდა გავუზიაროთ სხვა ქვეყნებსაც, განსაკუთრებით ეკონომიურად ჩამორჩენილი ტერიტორიების ხალხებს, რომლებიც ახლა იმპერიალიზმის ბორკილების დამსხვრევისა და საუკუნოებრივი სიღარისებან დალწევისათვის იბრძვიან. ატომგულური საწვავი, დაგროვილი აშშ-ს მიერ სტრატეგიული მიზნებისათვის, გამოყენებული უნდა იქნას ძალსადგურებზე და არა ატომური ბომბების დასამზადებლად. ატომური ბომბების დამზადებით, რაც ამჟამად გაბატონებულ აგრესიულ და რეაქციულ პოლიტიკას გამოხატავს, შეიძლება შეწყვეტილ იქნას, თუ ხალხი გადაჭრით გამოსათვეამს თავის მტკიცე მისწრაფებას მშენებისანობისადმი. ხალხის ნებას შეუძლია ბოლო მოულოს ახ-არისკო ამერიკულ საგარეო პოლიტიკას, რომელსაც ომისაკენ მივყენართ და შესცვალოს პოლიტიკით, რომლისთვის ამერიკის ხალხი იბრძოდა მეორე მსოფლიო ომის დროს, ესე იგი ყველა ერთა თანაშრომლობის პოლიტიკით მშვიდობიანობის ინტერესებისათვის.

მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის განადგურების შედეგად მიღწეული დემოკრატიული და სოციალისტური მონაპოვარით გაძლიერებული ხალხთა მშვიდობიანობის დიადი საერთაშორისო ფრონტის დახმარებით ამერიკელი ხალხი თავის სამშობლოში შესძლებს შეცვალოს მოვლენათა შსვლელობა, აიძულოს ქვეყანა რეაქციის გზიდან გადავიდეს პროგრესის გზაზე. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ჩვენ ჩვენი უზარმაზარი საწარმოო ძალების ხალხის სამსახურში ჩაყენებას.

# შინაარსი

83-

3

19:

შესავალი სტატია . . . . .	.
ავტორის წინასიტყვაობა . . . . .	19:

## თავი I

ატომიკის პოტენციური შესაძლებლობანი . . . . .	21
ენერგიის ახალი წყარო . . . . .	24
სამრეწველო რევოლუცია ? . . . . .	37

## თავი II

მილიტარიზებული ატომიკა . . . . .	37
მეცნიერების მიღწევების არასწორი გამოყენება . . . . .	37
ატომგულური მეცნიერების შეზღუდვები . . . . .	41
ტექნიკის ფეტიშიზაცია . . . . .	46
დასაიდუმლოების კულტი . . . . .	49
სამხედრო მონაბოლია . . . . .	52

## თავი III

მონოპოლიზირებული ატომი . . . . .	58
ტერმინის—„მთავრობის საკუთრების“ მნიშვნელობა . . . . .	58
კონტროლი, რომელსაც მონოპოლიები ახორციელებენ . . . . .	63
ბრძოლა ურანისათვის . . . . .	68
მონოპოლია აფერხებს ატომიკის განვითარებას . . . . .	71

## თავი IV

ატომური ენერგეტიკა . . . . .	75
რენტაბელურია თუ არა ატომური ენერგეტიკა . . . . .	75
ურანის „ნაკლებობა“ . . . . .	81
საკმაოა თუ არა ენერგია შეერთებულ შტატებში? . . . . .	84
ჰკონომიურად ჩამოტრჩენილი ტერიტორიების განვითარება . . . . .	88

## თავი V

ატომური ენერგია და სახელმწიფო ენერგეტიკული მრეწველობა . . . . .	93
სახელმწიფო საკუთრების ტექნიკური საფუძვლები . . . . .	94
სახელმწიფო პიდროპროექტები . . . . .	97
სახელმწიფოებრივი რეგულირების როლი . . . . .	100:

## თავი VI

შეჯიბრების საფუძვლები ატომური ენერგიის დარგში . . . . .	104
მითი აბსოლუტური იარაღის შესახებ . . . . .	104
საბოგადოებრივ სისტემათა შეჯიბრება . . . . .	107
საბჭოთა მეცნიერების შეუფასებლობა . . . . .	114
„ტექნიკური უმუშევრობა“ . . . . .	117

## თავი VII

ატომიკის პრობლემა . . . . .	120
-----------------------------	-----

---

~~3060-5-336.~~

3. 8. 52

14

—

ДЖЕЙМС АЛЛЕН  
АТОМНАЯ ЭНЕРГИЯ И ОБЩЕСТВО  
(На грузинском языке)

Гостехиздат Грузинской ССР  
«Техника да Шрома»  
Тбилиси  
1951